



**ეკონომიკა**

**ღალი ზირაქიშვილი**

ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზრებზე გასასვლელ პოტენციალს ვერ იყენებს -----3

**ვაჭრობის**

**ნანა შონია**

როგორ ამოვიღოთ ვადაგადაცილებული სესხები ----7

**საკრედიტო პოლიტიკა**

**ოთარ სუფენია**

„პრობლემური სესხების“ ხელოვნური პრობლემები ----- 12

**ფინანსური აღრიცხვა**

**ნინო კარტოზია**

ფინანსური ინსტრუმენტები – სიახლენი და პერსპექტივები ----- 14

**აღრიცხვა-ანგარიშგება**

**დავით ჯალალონია**

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა ----- 17

**ნადეჟდა კვატაშიძე**

მოგებიდან გადასახადების აღრიცხვა ----- 20

**ჯამლეთ შათირიშვილი, ლეონა შათირიშვილი**

როგორ სრულდებოდეს ძირითადი საშუალებების ცვეთისა და საამორტიზაციო ანარიცხების განსაზღვრის მეთოდიკა ----- 30

**გადახდების აზრი**

**რამაზ ჭილიტაშვილი**

ისევე ბუნდოვანი, ისევე გაუგებარი ----- 34

**სადაზღვევო საქმე**

**კობა ბინაძე**

სადაზღვევო ომები ----- 36

**თვალსაზრისი**

**თამაზ აფხარაძია**

რატომ ვერ დაძლია საქართველომ სიღარიბე -- 40

**PR**

**ეკა ჯიშველაძე**

მარიამ კუბლაშვილი: სიტყვა ადვოკატი პროფესიონალიზმთან, საქმის ერთგულებასა და ძლიერებასთან უნდა ასოცირდებოდეს! ---- 43

პროფესიონალებს კონკურენციის არ ეშინიათ! --- 45  
ICES ინდუსტრიული მშენებლობის ლიდერი კავკასიაში ----- 47  
BP-ში განათლების ინვესტირება პრიორიტეტული მიმართულებაა ----- 49

**ექსპერტის კომენტარი**

**მარინა ავალიშვილი**

სამენარმეო რისკ-მენეჯმენტი ----- 51

**უშანგი სამადაშვილი**

ეკონომიკური პოლიტიკის არსი, მიზნები და ამოცანები ----- 54

**მერაბ ხვალაძე**

კიდევ ერთხელ დემოგრაფიისა და დემოგრაფიული სტატისტიკის შესახებ ----- 58

**მერაბ ვანიშვილი, გიორგი ჯუღელი**

სასურსათო უსაფრთხოების გლობალური პრობლემები ----- 61

**ნინო სამჭკაშაშვილი**

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ზოგადი ასპექტები ----- 64

**თვალსაზრისი**

**თამაზ ვაშაკიძე**

ეკონომიკური სასწაული, თუ სწორად შერჩეული ეკონომიკური მოდელი ----- 66

**მაკროეკონომიკა**

**მელიტონ ბახია, აკაკი მანჯავიძე, დალი ბაიდაური**

საჭიროა ახალი მაკროეკონომიკური პოლიტიკა ----- 70

**ტურიზმი და ეკონომიკა**

**მ. ცინცაძე, გ. ნატროშვილი, ნ. ნატროშვილი**

საერთაშორისო ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში ----- 72

**პრაქტიკული რჩევები**

**კობა ბინაძე**

გიყვარდეს კონკურენტი შენი ----- 74

**„ბიზნეს-მაცნე“ ჟურნალი ჟურნალში**

# ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზრებზე ბასსვლელ პოტენციალს ვერ იყენებს

თავისუფალი ვაჭრობისა და სხვადასხვა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე საუბარი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც რუსეთმა ქართულ პროდუქციასზე ემბარგო დააწესა. საქართველომ თითქოს მსოფლიოს სხვა ბაზრების ათვისებაც დაიწყო, მაგრამ არც ისე ეფექტიანად, როგორც ეს თუნდაც ბალტიის ქვეყნებმა შეძლეს.



ევროპულ ბაზარზე გასვლა ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც ასევე ხანგრძლივი მოლაპარაკებები უძღოდა წინ. თუმცა, ფაქტია, რომ რუსული აგრესიის გამოვლენამდე ჩვენი მონდომება დასავლეთზე არც ისე ეფექტურ გავლენას ახდენდა.

ევროპაში საქართველოს საკითხი აგვისტოს ომის შემდეგ კვლავ აქტუალური გახდა. როგორც მაშინ ითქვა, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის დაწყება დაჩქარებული ტემპებით მოხდებოდა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო ეს საკითხი კვლავ გადაუჭრელია.

ევროპის მხრიდან რამდენიმე ნაბიჯი მაინც გადაიდგა, მაგალითად, ნორვეგიის მხრიდან საქართველოსთვის **GSP** ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება. აღსანიშნავია, რომ საქართველო ნორვეგიის მთავრობასთან ამ საკითხზე 2003 წლიდან აწარმოებდა მოლაპარაკებებს (GSP-ს სქემა განვითარებადი ქვეყნებისთვის რამდენიმე ტიპის საიმპორტო-სატარიფო შეღავათებს ითვალისწინებს. სასაქონლო პოზიციების მიხედვით, შეღავათი შეიძლება შეადგენდეს 100 პროცენტს, 50 პროცენტს, 30 პროცენტს, 15 პროცენტს, 10 პროცენტს).

აღსანიშნავია, რომ პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმით საქართველო ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, შვეიცარიასთან, კანადასთან, იაპონიასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და თურქეთთან სარგებლობდა.

**ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსულმა აგრესიამ საქართველოს მისცა შანსი, ევროპასთან**

**ინტეგრაციის პროცესი მნიშვნელოვნად დააჩქაროს და მთავრობამ ამ შანსის გამოსაყენებლად ყველაფერი უნდა გააკეთოს. რაც შეეხება ევროკავშირს, საქართველოს მასთან ახალ, უფრო მაღალი ხარისხის სახელშეკრულებო ურთიერთობებზე გადასვლის შესაძლებლობა წელს მიეცა.**

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია საქართველოზე „ოთხი თავისუფლების“ თანდათანობით გავრცელება. იგი გულისხმობს როგორც ადამიანის გადაადგილების თავისუფლებას, ასევე, თავისუფლებას საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის გადაადგილებაზე.

როდესაც აგვისტოს ომის შემდეგ ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე საქართველოსთვის დახმარება გამოიყო, ექსპერტები იმედოვნებდნენ, რომ თუკი ქვეყნის მთავრობა დასავლეთიდან მიღებულ დახმარებას სწორად განათავსებდა ქართულ ეკონომიკაში, შესაძლებელი იყო ადგილობრივი წარმოების იმ დონეზე განვითარება, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება რეალურად დაჩქარებულიყო. დონორთა მიერ გამოყოფილი თანხები თითქმის ათვისებულია, თუმცა, საქართველო კვლავ ძველი პრობლემების წინაშე დარჩა!

## რუსული ბაზარი

ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ შესაძლოა, ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე ემბარგოს გაუქმების გარეშე აღმოჩნდეს.

რუსული წყაროების ინფორმაციით, თემის გააქტიურების მიზეზი საქართველოს მთავრობის თხოვნაა. ქართული მხარე კი ირწმუნება, რომ რეალური მიზეზი სულ სხვაა.

**რუსეთმა, ყაზახეთმა და ბელორუსმა შექმნეს საბაჟო კავშირი. 2011 წელს, ეს უკვე ერთიანი სივრცე იქნება, სადაც საბაჟოები აღარ იარსებებს. დღესაც შესაძლებელია ბელორუსში შეტანილი პროდუქცია დაბეგვრის გარეშე გადაიტანო რუსეთში. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ვერ აკრძალავს ქართული პროდუქციის შეტანას. თუმცა, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე არ გამოირიცხავს, რომ ჩვენ ეს ბაზარი შეიძლება დაგვიზიარონ, მაგრამ სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი საფრთხე შეიქმნას, რადგან, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ პოლიტიკური განწყობის მიხედვით ქართული ღვინოცა და წყალიც ნებისმიერ დროს შეიძლება მავნედ გამოცხადდეს.**

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში კი მიიჩნევენ, რომ ბაზრის დახურვის საკითხი არც ისე მარტივია, რადგან, საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნები აპირებენ ერთობლივი კომისიის შექმნას, რომელიც ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული ნორმების საბაჟო კავშირის ფარგლებში უნიფიცირებას მოახდენს.

ამის გარდა, რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქცია თითქმის ჩანაცვლებულია. ქართულმა პროდუქციამაც, მეტ-ნაკლებად, მაგრამ სხვა ქვეყნების ბაზარზე შედნევა შეძლო. თუმცა, თუ რუსეთის ბაზა-



რი გაიხსნა, სავარაუდოდ, ტრადიციული პროდუქცია: მინერალური წყლები, ალკოჰოლური სასმელები, ციტრუსი და თხილი თავის სეგმენტს, სავარაუდოდ, კვლავ დაიბრუნებს.

რუსული ბაზრის ქართული პროდუქციისთვის გახსნის კიდევ ერთი მცდელობა ცოტა ხნის წინ უშედეგოდ დასრულდა. რუსეთ-საქართველოს საზღვარზე სამწლიანი შესვენების შემდეგ ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი გაიხსნა. თუმცა, რუსეთმა მოლოდინი არ გაამართლა და საზღვრის მიმდებარე ტერიტორიების მცხოვრებთათვისაც კი არ აღადგინა საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული რეჟიმი.

ექსპერტთა შეფასებით, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შესვლა წმინდა პოლიტიკური საკითხია და შედეგებიც მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მიიღება.

### თურქული ბაზარი

რუსული ბაზრის ჩაკეცივის შემდეგ საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით, თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა გახდა. ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვის წილი თითქმის გაორმაგებულა.

იმპორტთან ერთად, გაზრდილია ისეთი სასაქონლო ჯგუფების ექსპორტი როგორიცაა: შავი ლითონების

ჯართი, ფეროშენადნობები და აზოტოვანი სასუქები. გაიზრდა თურქეთიდან იმპორტიც. განსაკუთრებით, გაზრდილია სამკურნალო საშუალებების, ცემენტის და შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციების სასაქონლო ჯგუფების იმპორტი.

შარშან თურქეთის პარლამენტმა თურქეთ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის დაწყება ევროპისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. საქართველოს მთავრობაში აცხადებენ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან თურქული ბაზარი ერთ-ერთი უდიდესი ბაზარია.

თუმცა, არის ერთი პრობლემა, რომელიც ყურადღებას იმსახურებს. ვიდრე თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობაზე დოკუმენტის რატიფიცირება მოხდებოდა, ვრცელდებოდა სხვადასხვა პროდუქციის ჩამონათვალი, სადაც განსაზღვრული იყო, რა სახეობა როგორი საბაჟო განაკვეთით დაიბეგრებოდა. ეს სიები ქართული პროდუქციისთვის საუკეთესო პოზიციებით არ გამოირჩეოდა, თუმცა, დოკუმენტის დამტკიცების დროს რატომღაც ეს ჩამონათვალი გასაიდუმლოვდა, რამაც სერიოზული ეჭვები გააჩინა.

ოპოზიციის ერთი ნაწილი მიიჩნევს,

რომ თურქეთიდან შემოტანილი დაუბეგრავი სოფლის მეურნეობის პროდუქცია დიდ კონკურენციას გაუწევს საქართველოს სასოფლო პროდუქტებს და გლეხების შრომა არარენტაბელური გახდება.

თურქეთის აგრესიული პოლიტიკა ახალ ბაზრებზე შესვლისას მრავალი წელია, ცნობილია. იქაური ხელისუფლება თურქ მენარმებს ავალდებულებს და სპეციალურ შეღავათებსაც უწესებს, რათა თურქული პროდუქცია სხვა ქვეყნების ბაზრებზე იაფად შევიდეს და დამკვიდრდეს. ამდენად, ქართულ მხარეს ამ თემაზე საფიქრალი ნამდვილად ჰქონდა.

ალსანიშნავია, რომ საქართველო-თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ექსპორტში არ ითვალისწინებს სტრატეგიულ პროდუქციას, როგორიცაა: ყურძენი, ციტრუსები და ვაშლი. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, საბაჟო გახსნილობა დამლუპველია. ზოგიერთის აზრით კი, შეიძლება ბაზრის გახსნით საქართველომაც მიიღოს სარგებელი. თუმცა, ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების ნებაზე დამოკიდებულია.

**ამ ეტაპზე, ეჭვებს ბადებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ პროდუქციის ჩამონათვალი ხელმისაწვდომი არ არის. ეს კი არ გამორიცხავს, რომ საქართველოში თურქეთიდან გაუკონტროლებლად შემოვა გენმოდირაციონებული და სხვა უხარისხო პროდუქცია, რითაც საფრთხე შეექმნება აგრარულ სექტორსა და მრეწველობის სხვა დარგებს. სხვათაშორის, რუსეთმაც არცთუ დიდი ხნის წინ სწორედ ამ მოტივით შეაჩერა თურქეთთან ვაჭრობა. საქართველოს კი, რომელსაც პროდუქციის ხარისხის კონტროლის არანაირი მექანიზმი არ გააჩნია, შესაძლოა, ბევრად სერიოზული პრობლემები შეექმნას.**

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი გამოსავალი ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ამოქმედებაა. მათი აზრით, თუ საქართველოს მთავრობა მოინდომებს და ევროკავშირის კეთილ ნებას, თავისუფალი ვაჭრობის ბარიერების გამარტივების თაობაზე, სათანადოდ გამოიყენებს, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი

მნიშვნელოვნად გაიზარდა და საქართველოს განვითარებულ ქვეყნად გადაქცევის შანსი მიეცემა.

### საქართველო და ევროკავშირი

ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის აღსადგენად რამდენიმე აუცილებელი პირობის შესრულებაა საჭირო. თუმცა, თუ განვიხილავთ მიღებულ გადაწყვეტილებებს გადავხედავთ, აშკარაა, რომ საქართველოს მთავრობა მიზანმიმართულად ცდილობდა იმ სტრუქტურების მოშლას, რომლის შექმნასაც დღეს დასავლეთი გვთხოვს. ამაზე საკმაოდ ბევრი იტყვა და ეს თემა ალბათ, კიდევ ბევრჯერ გახდება მსჯელობის საგანი, თუმცა, ისიც შესაძრწევია, რომ ამ კუთხით ნელ-ნელა სასიკეთო პერსპექტივებიც იკვეთება. თუნდაც ქართული ღვინის დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმში მოქცევა.

ქართული პროდუქციის მთავარი პრობლემა მისი სიძვირეა. მაგალითად, ევროპაში ქართული ღვინის გატანა, ტრანსპორტირების ხარჯებსა და იქ არსებულ მაღალ გადასახადებთან ერთად პროდუქციას კონკურენტუნარიოს ხდის. შესაბამისად, ქართული ნაწარმის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება არცთუ იოლი საქმეა. მაგალითად, ადგილობრივი ჩეხური ღვინო თითქმის 6-ჯერ იაფია, ვიდრე ქართული საექსპორტო პროდუქცია.

თუ გადავხედავთ ევროპაში ქართული პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებლებს 2006 წლამდე და 2006 წლის შემდეგ, მაჩვენებელი შესამჩნევად არ შეცვლილა. საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობები დღემდე ერთფეროვანია. აქ სულ რამდენიმე სასაქონლო კატეგორია დომინირებს, რომელთა შორისაა ახალი, ან გამხმარი კაკალი; მინერალური და შაქრის დანამატის შემცველი წყლები; სპილენძის მადნები და კონცენტრატები; მინერალური, ან აზოტოვანი სასუქები. ეს მაშინ, როცა სხვა არანაერთი ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველო ევროკავშირის განსაკუთრებული სატარიფო შეღავათებით სარგებლობს. ქართველ მენარმეებს ევროპულ ბაზარზე 7 200 დასახელების პროდუქტის ნულოვანი ტარიფით შეტანის უფლება აქვთ.



როგორც ექსპერტები განმარტავენ, ქართველ მენარმეებს თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობას უქმნის არასატარიფო ბარიერები. ლაპარაკია იმ ტექნიკურ, სანიტარიულ, თუ ფიტოსანიტარულ სტანდარტებზე, რომლებსაც პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე შესაღწევად უნდა აკმაყოფილებდეს.

შეღავათების ახალმა სისტემამ ევროკავშირში ქართული ექსპორტის უდიდესი ნაწილი მოიცვა. 43 დასახელების პროდუქციიდან, რომელიც გაერთიანებული ევროპის ბაზარზე გადის, უშუალოდ GSP+-ს 34 დაექვემდებარა. ექსპერტები აცხადებენ, რომ ევროპული შეღავათები უნიკალურ შანსს აძლევს საქართველოს აგროსამრეწველო სექტორს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის ხილისა და ბოსტნეულის წვენების, ხილფაფებისა და ჯემების და სხვა პროდუქტების ექსპორტირებისთვის.

**ამის მიუხედავად, ქართული ექსპორტი ევროკავშირში, უმნიშვნელოდ იზრდება და შეღავათების მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. ამ, ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაციის ახსნა ძნელი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობაში ერთობ რთული არასატარიფო ბარიერები არსებობს, რომლებიც ქართული პროდუქციის ევროპული ბაზრების**

**მოთხოვნებთან შესაბამისობას უკავშირდება.**

### როგორ მოხვდეთ ევროპაში

საქართველოში ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე, შემდგომ კი მის ექსპორტირებაზე მსჯელობა 20 წელია, მიმდინარეობს, როგორც უკვე ვთქვით, საქართველომ გარკვეულ პროდუქციაზე შეღავათებიც მიიღო (GSP+), თუმცა წლების მანძილზე ქვეყნიდან გასატანი თითქმის არაფერი მოიძებნა. თავის დროზე ევროპამ შეღავათების გარდა ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამაც შეგვიქმნა (2003 წელს).

ევროპის ასეთი მცდელობის მიუხედავად, ქართული სოფლის მეურნეობა ადგილობრივ მოთხოვნებსაც კი ვერ აკმაყოფილებს, თუმცა ბოლო დროს ერთი ტენდენცია გამოიკვეთა. უცხოელებს ძალიან მოსწონთ ქართული პროდუქტები. მაგალითად, თურქი იმპორტიორები თურქულ კარტოფილს საქართველოში ყიდნიან, შემდეგ, ქართულ, ახალციხის კარტოფილს ყიდულობენ და სამშობლოში მიაქვთ.

როგორც ქართველი ექსპერტები აცხადებენ, ანომალიაა, როცა ერთი ჰექტარი მიწა 50 ლარი ღირს, ხოლო, მისი მორწყვა 100 ლარი. ეს ნიშნავს, რომ ქართულ პროდუქციას სასათბურე პირობების შექმნის

გარეშე შანსი არა აქვს.

ამის მიუხედავად, საინტერესოა გზა, რომელიც ქართულმა პროდუქტმა უნდა გაიაროს, იმისათვის, რომ უცხოეთის ბაზარზე მოხვდეს. მას შემდეგ, რაც წარმატებულ მეურნეობას აანყობ, რამდენიმე აუცილებელი დოკუმენტი უნდა მოიპოვო, რომელიც ევროპისკენ გზას გაგიხსნის. მოდით, ევროპისკენ მიმავალი გზა ერთ კერძო კომპანიასთან ერთად გავიაროთ, რომელსაც ბარიერების დაძლევაში ევრობანკი დაეხმარა.

შპს „ჰერბია“ უკვე თანამედროვე სტანდარტების მქონე მწვანის ექსპორტიორი. მას მოჰყავს კამა, ოხრახუმი, მიხაკი, ასევე ნიორი, ტარხუნა და ქინდარი. „ჰერბია“ მწვანის გერმანულ და ჰოლანდიურ საბითუმო მოვაჭრეებზე ყიდის. ნედლეულ მწვანეებზე მოთხოვნილება ევროპის ბაზრებზე გამუდმებით იზრდება, ამიტომ, ევროპელი მომხმარებლები უკვე დიდი ხანია სთხოვდნენ „ჰერბიას“, წარმოების მოცულობები გაეზარდა. პროდუქციის ტრანსპორტირება მწვანის მოკრეფისთანავე ხდება და ქვეყნის ტერიტორიიდან ევროპაში ნაწარმი სატვირთო მანქანებით გააქვთ. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი სახელმწიფო არ არის, ევროკავშირის საბაჟოზე საქონლის შემოწმებას ხანდახან 2-3 დღე სჭირდება. ეს ვადა ძალზედ

აქტუალურია ისეთი მაღალეფექტური პროდუქტებისთვის, როგორცაა მწვანელი. ამან შეიძლება პროდუქციას დაუკარგოს სინედლე და სუნი. ნაწარმი კი ბაზრისთვის შეუსაბამო ხდება.

„ჰერბიამ“ ხელშეკრულება გააფორმა რამდენიმე ევროპულ კომპანიასთან, რომლებიც მწვანის შესყიდვას ახორციელებენ. ამის შემდეგ ევრობანკის ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ფინანსური დახმარებით ხელშეკრულება გააფორმა კომპანია „ჯედიისაისთან“.

ეს არის საქართველოში მოქმედი ერთადერთი საკონსულტაციო კომპანია, რომელიც ამ სფეროშია სპეციალიზებული. ამის გარდა, საკვები პროდუქტების უსაფრთხოებისა და ხარისხის მართვის სრული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაში ლიცენზიის მფლობელიცაა.

შემდეგი ნაბიჯი „ჰერბიასთვის“ აუდიტის ჩატარება გახდა, ეს „გლობალგეპის“ სისტემასთან შესაბამისობის დასადგენად იყო საჭირო. „გლობალგეპი“ კერძო სექტორში მოქმედი ორგანიზაციაა, რომელიც ნებაყოფლობით აწესებს სტანდარტებს მსოფლიოში აგრარული პროდუქციის წარმოების პროცესის სერტიფიცირებისთვის. მას შემდეგ, რაც კომპანიამ „გლობალგეპის“ აუდიტი წარმატებით გაიარა, მას

სტანდარტებთან შესაბამისობის სერტიფიკატი მიენიჭა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა“ სპეციალურად შპს „ჰერბიასთვის“ შედგა და ევროპაში გასასვლელი „საშვიც“ სპეციალური ფინანსური დახმარებით მოიპოვა, ცხადი ხდება, რა სირთულეების წინაშე დგანან ქართული კომპანიები.

საკითხავია, როგორ უნდა მოიპოვონ ევროპასა და სხვა ბაზრებზე გასასვლელად სავიზიტო ბარათები იმ კომპანიებმა, რომლებსაც ევრობანკი არ მფარველობს, ან, რა უნდა ქნას ჩვეულებრივმა გლეხმა, რომელიც ცდილობს საუკეთესო პროდუქტის მოიყვანოს? უმეტეს შემთხვევაში, ისინი საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას ვერ ახერხებენ. ვერც ევრობანკი ჩაჰკიდებს ყველა ქართველ გლეხს ხელს, იმისათვის, რომ ევროპულ ბაზარზე გაიყვანოს. ექსპერტები ამბობენ, რომ ამ ყველაფრის მოწესრიგება სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციაა.

საექსპორტო პროდუქციის სერტიფიცირებას საქართველოში აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული სპეციალური ორგანოები ახორციელებენ, მაგრამ, ადგილზე სერტიფიცირებული პროდუქტის ევროპულ ბაზარზე მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც აღნიშნულ ლაბორატორიებს საერთაშორისო აღიარება ექნებათ. დღესდღეობით, ქართული საექსპორტო საქონლის სერტიფიცირება მთლიანად ევროპულმა, ან მესამე ქვეყნების სასერტიფიკაციო ცენტრებმა უნდა განახორციელონ, რაც ქართველი ექსპორტიორისგან დამატებით დროსა და დანახარჯებს ითხოვს.

ქართული ექსპორტის ევროპული პერსპექტივა, პირველ რიგში, სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების პრობლემის მოგვარებას უკავშირდება და როგორც სპეციალისტები გვიჩვენებენ, ყველაზე მოკლე გზა ამ მიმართულებით საქართველოში საერთაშორისო აღიარების მქონე უცხოური სასერტიფიკაციო ცენტრების ფილიალების სრულფასოვანი ამუშავება და სათანადოდ აღჭურვილი ადგილობრივი ლაბორატორიების საერთაშორისო აკრედიტაციაა.

ლალი ზირაქიშვილი



# როგორ ამოვიღოთ ვალაგადასცილებული სესხები

საქართველოში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა ვალაგადასცილებული სესხები, რომლის მიზეზიც მრავალფეროვანია. ის პრობლემას წარმოადგენს როგორც მსესხებლისთვის, ისე, კომერციული ბანკებისა და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. ამდენად, დროა გამოიძებნოს რეალური გზა ვალაგადასცილებული სესხების დაბრუნებისთვის.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ადგილი აქვს მრავალი ინოვაციური პროდუქტების დანერგვას, რის გამოც იცვლება ეკონომიკა, იცვლება ქვეყანა, იცვლება მიდგომები და იცვლება თეორიები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჯიღუვ ერთი ინოვაციური პროდუქტის - ფაქტორინგული ოპერაციების - დანერგვა კომერციულ ბანკებში, ან ფაქტორინგოპერაციების ჩამოყალიბება, რაც საგრძნობლად შევკლის ვალებთან დამოკიდებულების საკითხს და კრედიტ-ინფოს სიასაც.

საინტერესოა, რა არის “ფაქტორინგი” და ვისთვის რა დადებით ეფექტს იძლევა იგი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ რამდენიმე ავტორის განმარტება ფაქტორინგის შესახებ: **ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონის** მიხედვით, **შაქტორინგი** – საბანკო ოპერაციის სახეობაა, რომლის მეშვეობითაც მომწოდებლებს წინაშე ვალდებულებებს სრულად, ან განსაზღვრული ვადით იღებს ფაქტორი (ფაქტორინგული კომპანია), რომელიც ყიდულობს რომელიმე კომპანიის მოთხოვნებს და შემდეგ თვითონ იღებს მასზე გადასახდელს. ამასთან, როგორც წესი, საქმე ეხება, მიმოქცევაში მყოფ იმ მოკლევადიან მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიშობა სასაქონლო მიწოდებიდან. კლიენტის სურვილის მიხედვით ფაქტორი სამი სახის მომსახურებას ეწევა:

- **საგარეო სავაჭრო გარიგებების დაფინანსება;**
- **საკრედიტო რისკებიდან დაცვა;**
- **სხვა მომსახურება - მოვალის საბუღალტრო ანგარიშების წარმოება, ოპერაციები ინ-**

**კასოზე, სავაჭრო სტატისტიკა და ა.შ.**  
**პროფესორების ს.ბაბიჩევის, ა.ლაბზენკოს და ა.პოდლესნოვის** განმარტებით, **შაქტორინგი** ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს **აგენტს, შუამავალს, კომისიონერს**. ის არის დაფინანსების სისტემა ვალის გადახდევინების უფლების გაყიდვის სახით, რომლის დროსაც სპეციალიზებული კომპანია (ფაქტორკომპანია) შეისყიდის კლიენტის დებიტორულ დავალიანებას, რათა შემდგომში მოვალეს აზღვევინოს იგი დამოუკიდებლად: ხშირ შემთხვევაში ფაქტორ-კომპანია შეისყიდის საწარმოთა დებიტორულ დავალიანებას მათ მიერ მიწოდებული საქონლის სრული ღირებულების 70 -80%-ის დაუყოვნებელი ანაზღაურების პირობით. ამასთანავე, საწარმო იძენს სრული დავალიანების დაფარვის გარანტიასაც. ფაქტორინგის ოპერაციის ჩატარების დროს კრედიტის ვადა ჩვეულებრივ შეადგენს 90-დან 120 დღემდე, ხოლო, პროცენტული განაკვეთი 2-4%-ით აღემატება ოფიციალურ სააღრიცხვო განაკვეთს. გაწეული სამსახურ-



**ნანა შონია,**  
 ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

რისთვის ფაქტორ-კომპანია დებულობს საკომისიო განაკვეთის სახით კონტრაქტის ღირებულების 2%-მდე [С. Н. Бабичев, А. А. Лабзенко, А. Ю. Подлеснова - Факторинг, Университетская серия, Издательство: Маркет ДС, 2010 г].

**პროფესორების შოთა და ლევან ქისტაურების** განმარტებით, **შაქტორინგი** ვალების ამოღების უფლების გადასინჯვას წარმოადგენს [ქისტაური ლ., ქისტაური შ., საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობაში გამოყენებული ტერმინების მოკლე შინაარსი, თბილისი, 1992];

**ფაქტორინგი** – სავაჭრო-კომისიური ოპერაციების სახესხვაობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან; მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო ბაზრებისაგან გარანტიას [Русско-английский толковый словарь международных финансовых, валютных, биржевых терминов и понятий, М., 1991];



განმარტებებიდან ჩანს, რომ ფაქტორინგული ოპერაციის განხორციელების უფლება აქვთ როგორც კომერციულ ბანკებს, ასევე, სპეციალიზირებულ საკრედიტო დაწესებულებებს, რომლებიც ცნობილია ფაქტორ-კომპანიების სახელით, მაგრამ საქართველოში ამის მსგავსი ჯერ არ არსებობს. ამიტომ, აუცილებელია, კომერციულმა ბანკებმა სასწრაფოდ დაიწყო ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება, ან ჩამოყალიბდეს ფაქტორ-კომპანიები, რადგანაც ფაქტორინგული კომპანიების და ბანკების ფაქტორინგული განყოფილებების საქმიანობის მიზანია საკრედიტო რისკების მართვა და გადახდევინების ვადების პრობლემის გადაჭრა.

**ისმება კითხვა: რას წარმოადგენს ფაქტორინგული ოპერაციები? ვინ არიან მისი მონაწილე პერსონაჟები?** როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიტყვა **ფაქტორი** ინგლისური წარმოშობისაა და ნიშნავს მაკლერს, შუამავალს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ფაქტორინგი მიეკუთვნება საშუამავლო ოპერაციებს. ფაქტორინგი შეგვიძლია განვსაზღ-

ვროთ, როგორც სპეციალური დაწესებულების (ფაქტორინგული კომპანიის, ან ბანკის ფაქტორინგული განყოფილების) საქმიანობა თავისი კლიენტის მოვალისგან (სამრეწველო და სავაჭრო კომპანიის) ფულადი სახსრების გადახდევინებისა და ამ კლიენტის სავალდებულო მოთხოვნების მართვის შესახებ.

**განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში** ფაქტორინგული კომპანიები და ბანკის ფაქტორინგული განყოფილებები ფაქტორინგული ოპერაციების გარდა სხვა სერვისულ მომსახურებასაც ეწევიან (კლიენტის საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება, აუდიტი, სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და სხვ.), სადაც ფაქტორინგული კომპანიები არცთუ იშვიათად ქალიშვილი ფირმების სახით არიან წარმოდგენილი მსხვილ ბანკებთან. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ფაქტორინგული ოპერაციები დიდი ფულადი სახსრების მოზიდვას საჭიროებენ, რაც ფაქტორინგულ კომპანიებს საწყის ეტაპზე არ გააჩნიათ და მას „მშობელი ბანკისგან“ ღებუ-

ლობენ შედავათიანი კრედიტების პირობებით. ფაქტორინგულ კომპანიების საკუთარი სახსრები, ჩვეულებრივ, მათი რესურსების არაუმეტეს 30%-ს შეადგენენ.

ამრიგად, ფაქტორინგულ ოპერაციებში მონაწილეობენ:

1. **ფაქტორინგული კომპანია** (ან, ბანკის ფაქტორინგული განყოფილება) – სპეციალური დაწესებულება, რომელიც თავისი კლიენტებისგან ანგარიშ-ფაქტურებს შეისყიდის;

1. **კლიენტი** (საქონლის მომწოდებელი, კრედიტორი) – სამრეწველო, ან სავაჭრო ფირმა, რომელიც ხელშეკრულებას დებს ფაქტორინგულ კომპანიასთან;

2. **ფირმა-მსესხებელი** – საქონლის მიყიდველი (მსესხებელი).

ფაქტორინგული გარიგების განხორციელებას წინ უძღვის სერიოზული **ანალიტიკური მუშაობა**: მიიღებს რა ფირმის შეკვეთას, ფაქტორინგული კომპანია ყურადღებით სწავლობს **პოტენციური კლიენტის ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას**, მისი **საქმიანობის სფეროს**, **სარეალიზაციო საქონლის სახეს**, **ბაზრის კონიუნქტურას**. **ანალიზს ექვემდებარება, აგრეთვე, ფირმის ბალანსები უკანასკნელ წლებში და ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებები**. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიყიდველთა რაოდენობას და ფირმის საქმიან კავშირებს, რომლებიც მუდმივ, ან შემთხვევით ხასიათს ატარებენ.

ასეთი ანალიზი, ჩვეულებრივ ერთი-ორი კვირა გრძელდება. შემდეგ კომპანია ან თანხმობას აძლევს, ან, უარს ამბობს კლიენტის მომსახურებაზე.

თუ ფირმა ფაქტორინგული კომპანიის კლიენტი გახდა, მათ შორის თანამშრომლობა შემდეგნაირად ხორციელდება: **კლიენტი ფაქტორინგულ კომპანიას უგზავნის ყველა ანგარიშ-ფაქტურას**, რომლებიც წაყენებულია მიყიდველების მიმართ. **ცალკეული დოკუმენტის მიხედვით, კლიენტმა უნდა მიიღოს თანხმობა ანაზღაურებაზე**. ფაქტორინგული კომპანია სწავლობს ყველა ანგარიშ-ფაქ-



ტურას, განსაზღვრავს რა ამით მყიდველების გადახდისუნარიანობას, ამისთვის ეძლევათ ვადა 2-3 დღე.

**ფაქტორინგულ კომპანიას შეუძლია** აანაზღაუროს ანგარიში გადახდის ვადის დადგომის მომენტში, ან ვადაზე ადრე. ამ უკანასკნელი შემთხვევის დროს იგი ბანკის ფუნქციებს ასრულებს, ვინაიდან, კლიენტისთვის ფულადი სახსრების ვადაზე ადრე მიცემა მისთვის კრედიტის გაცემის თანაბარი ძალისაა. ყველაზე მნიშვნელოვან მომსახურებას აქ წარმოადგენს კლიენტისთვის გადახდის გარანტია. ეს გარანტია მოიცავს საშინაო და საერთაშორისო ოპერაციების სრულ მოცულობას. ფაქტორინგული კომპანია ვალდებულია, აუნაზღაუროს კლიენტს დებიტორული დავალიანება, ან დაუფაროს ვალი, მკვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაშიც კი.

**მსოფლიო პრაქტიკაში** ფაქტორინგული მომსახურების ღირებულება ორი ელემენტისგან შედგება:

1. **საკომისიო გადასახადი**, რომელიც დგინდება ანგარიშ-ფაქტურის თანხის ჯამიდან პროცენტებში (ჩვეულებრივ 1,5 - 2,5%-ის დონეზე). გარიგებების მოცულობის ზრდის შესაბამისად იზრდება, აგრეთვე, საკომისიო თანხაც.

2. **საპროცენტო განაკვეთი**, რომელიც გადაეხდებინება წარმოდგენილი დოკუმენტების ვადაზე ადრე ანაზღაურების

დროს. საპროცენტო განაკვეთი კრედიტზე ვადაზე ადრე ანაზღაურების სახით, როგორც წესი, 1 - 2%-ით უფრო მაღალია, ვიდრე, ფულის ბაზრის (მოკლევადიანი კრედიტის ბაზრის) განაკვეთი.

**აშშ-ის კომერციულ ბანკებში** (აშშ ფაქტორინგის სამშობლოდ ითვლება) ფაქტორინგული ოპერაციები განიხილება არა როგორც დაკრედიტების ერთ-ერთი ფორმა, არამედ ბანკი თავისი კლიენტისგან შეისყიდის დებიტორულ ანგარიშებს (უფრო ხშირად მისგან, უკუმოთხოვნის უფლების გარეშე) და, ფულადი სახსრების მიცემის გარდა, აღმოუჩენს (გაუწევს) მთელ რიგ მომსახურებას, ვიდრე ანგარიშები მთლიანად არ იქნება დაფარული, ანუ, მომსახურების წარმოება, ინკასაცია და თავის თავზე რისკის აღება. ბანკი აფასებს კლიენტის დღევანდელი და პოტენციური მოვალეების კრედიტუნარიანობას და წინასწარ ადგენს მომწოდებლისთვის ავანსის, ზღვრულ სიდიდეს მისი საგადასახადო მოთხოვნილებების მიხედვით წინასწარი ანაზღაურების სახით. დებიტორები დებულობენ მითითებას განახორციელონ უშუალოდ ბანკისთვის გადახდები, რომელშიც მიდის ანგარიშ-ფაქტურების ასლები, ხოლო კრედიტორზე პროცენტები და საკომისიო დაუკავდებათ მომწოდებლებს.

ჩვეულებრივ, ბანკი ერთდროულად აანაზღაურებს ანგა-

რიშ-ფაქტურის ღირებულების 80-90%-ს. ყოველი თვის ბოლოს ბანკი ანგარიშობს კუთვნილ პროცენტს და საკომისიოს, აგრეთვე, გამოავლენს არაინკასირებული ფაქტურების ნარჩენს, რომელზედაც გამოიწერება ანგარიში და გადაეცემა კლიენტს.

**ამერიკული ბანკები**, რომლებიც ვალის გადახდევინების უფლებას ყიდულობენ, სამაგიეროდ, საკომისიოს მომსახურებაზე დებულობენ ჯილდოს სახით „**პლუს სასახლო პროცენტი**“ კლიენტისთვის გადახდილი ავანსის ყოველდღიური ნარჩენიდან. პროცენტი გადაეხდებინება ავანსის გაცემის დღიდან დავალიანების დაფარვის დღემდე.

საკომისიო გადასახადის სიდიდე დამოკიდებულია კლიენტის სავაჭრო ბრუნვაზე, რისკის ხარისხსა და კანტორული სამუშაოების მოცულობაზე. რისკის ხარისხზე, რომელსაც ბანკი დებულობს თავის თავზე, გაგვენას ახდენს კლიენტის მოვალეების გადახდისუნარიანობა, მაშინ, როდესაც კანტორული სამუშაოების მოცულობა დამოკიდებულია ძირითადად ფაქტურების ჯამების საშუალო სიდიდეზე (მოცემული სავაჭრო ბრუნვისას). და თუ, მაგალითად, საკომისიო ჯილდოს განაკვეთი შეადგენს 1,5%-ს, ხოლო დებიტორული ანგარიშების ბრუნვის პერიოდი 30 დღე-ღამეს, მაშინ, საკომისიო შეადგენს წლიური დავალიანების 18% -ს, ანუ  $1,5\% \times 12 \text{ თვეზე} = 18\%$ .

დებიტორული დავალიანების ინკასირების შესაძლებლობა, ე.ი. ფულის მიღების შესაძლებლობა გაუნადგებელ მოთხოვნილებაზე და ანგარიშ-ფაქტურებზე განსაკუთრებით მიმზიდველია მცირე და საშუალო კომპანიებისთვის, ვინაიდან, სწორედ მათ აქვთ ლიკვიდური სახსრების დროებით უკმარისობის პრობლემა და მოვალეების გადახდაუუნარობის გამო მოვების მიუღებლობის საკითხი დგას ყველაზე მწვავედ. ფაქტორინგს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს და სასარგებლოა კომპანიის შექმნისა და საწარმოო საქმიანობის და-





საწყის პერიოდში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფაქტორინგული შეთანხმების დასაღებად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების, ფირმა-მომწოდებლის საქმიანობის ფინანსური მახვევებლების ანალიზის მისი კრედიტუნარიანობის შესწავლის მიზნით. გაანალიზდება, აგრეთვე, მისაწოდებელი პროდუქციის ნომენკლატურა, ხარისხი, კონკურენტუნარიანობა, რეკლამაციების რაოდენობა და საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევები. ბანკი სწავლობს, აგრეთვე, ფირმის მევაღეების გადახდაუნარიანობას. მთელ ანალიზურ სამუშაოებს ბანკი აწარმოებს თვითონ დამოუკიდებლად, ან, ხელშეკრულებას უდებს აუდიტორულ კომპანიას. ბანკი განსაზღვრავს, აგრეთვე, ფაქტორინგული ოპერაციების მიხედვით მაქსიმალურ თანხას, რომლის ფარგლებშიც საქონლის მოწოდება, ან მომსახურების გაწევა შეიძლება მოხდეს გადასახდელის მიუღებლობის რისკის გარეშე.

ფაქტორინგული ოპერაციების შესრულების შესახებ

ხელშეკრულებაში დათქმული უნდა იყოს **ზღვრული თანხის ანგარიშსწორების წესი**. მსოფლიო პრაქტიკაში, ჩვეულებრივ, ზღვრული თანხების დადგენის სამი მეთოდი გამოიყენება:

- **საერთო ლიმიტის განსაზღვრა;**

- **გადატვირთვების ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრა;**

- **ცალკეული გარიგებების მიხედვით დაზღვევა.**

საერთო ლიმიტის განსაზღვრა. ყოველი ცალკეული გადახდელისთვის დგინდება პერიოდულად განახლებადი ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ფაქტორინგული განყოფილება ავტომატურად ანაზღაურებს მისთვის დათმობილ საგადასახდელო მოთხოვნებს. თუ გადახდელის დავალიანების თანხა მიმწოდებლის წინაშე გადააჭარბებს ლიმიტის თანხას, მაშინ, ფაქტორინგული ხელშეკრულების დებულების შესაბამისად, გადახდელის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, მყიდველის მიმწოდებლის წინაშე ვალის დაფარვის ანგარიში, პირველ რიგში, უნდა მივიდეს ფაქტორინგულ განყოფილებაში მანამდე, ვიდრე თავისთვის

არ შეივსებს (კომპენსირებას არ მოახდენს) გადასახდელის თანხას, რომლებიც ადრე იქნება განხორციელებული მიმწოდებლის სასარგებლოდ, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ფულის თვით მიმწოდებლის ანგარიშზე ასახვა.

**გადატვირთვების ყოველთვიური ლიმიტების განსაზღვრა.** მოცემულ შემთხვევაში დგინდება თანხა, რომელზედაც თვის განმავლობაში შეიძლება გადატვირთული იყოს საქონელი ერთი გადახდელისთვის. თუ გადახდელი არ გადააჭარბებს ლიმიტს, იგი დაზღვეულია საექვო ვალების გამოჩენის რისკისაგან. ზოგჯერ ლიმიტი დგინდება არა თვეების, არამედ კვირების მიხედვით.

**ცალკეული გარიგებების მიხედვით დაზღვევა.** ეს მეთოდი გამოიყენება, როდესაც გამყიდველის საწარმოო ან გასაღების საქმიანობა ითვალისწინებს არა ერთი და იმავე გადახდელისთვის საქონლის რეგულარულ მიწოდებას, არამედ მთელ რიგ ცალკეულ, ერთჯერად გარიგებებს მსხვილ თანხებზე, საქონლის მიწოდების სრულ ღირებულებას.

ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს **ფაქტორინგული ხელშეკრულება**. იგი შეიძლება იყოს ორი სახის:

- **ღია ფაქტორინგი, როცა ფაქტორკომპანიისთვის დებიტორი ცნობილია;**

- **დახურული ფაქტორინგი, ანუ კონფიდენციალური, როდესაც დებიტორებს არ იცნობენ.**

ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს, გაითვალისწინება თუ არა რეგრესიის უფლება, ე.ი. მოთხოვნების უკუდათმობა (მიმწოდებლისათვის მათი უკან დაბრუნება).

**რეგრესიის უფლებით ხელშეკრულების დადების დროს** მიმწოდებელს შეიძლება დაუბრუნდეს საგადასახდელო მოთხოვნაც, რომელიც გადაცემულია მათ მიერ ფაქტორინგული განყოფილებისათვის იმ შემთხვევაში, თუ გადახდელმა უარი თქვა თავისი ვალდებულებების შესრულებაზე. მაგრამ უნ-

და შევნიშნოთ, რომ მსოფლიო პრაქტიკაში რეგრესიის უფლებებით ხელშეკრულებები იშვიათად იდება, როდესაც სადავო მომენტების წარმოქმნით შესაძლებლობა, ან გადამხდლების გადახდაუნარიანობის დადგომა დაყვანილია მინიმუმამდე. ამ შემთხვევაში, ბანკის ფაქტორინგული განყოფილება მთლიანად იღებს თავის თავზე მყიდველის (გადამხდელის) მხრიდან გადაუხდელობის რისკს.

არსებობს ფაქტორინგული ხელშეკრულებების სხვადასხვა ვარიანტები და ეს საშუალებას იძლევა სრულად იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული მომწოდებლების მოთხოვნები.

ასე, მაგალითად, სრული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება დაიდება ჩვეულებრივ მომწოდებელსა და ბანკის ფაქტორინგულ განყოფილებას შორის ხანგრძლივი კონტაქტების დროს და ითვალისწინებს: **საეჭვო ვალების წარმოშობისგან 100 პროცენტთან დაცვას, აღრიცხვის წარმოებას და კრედიტების მართვას, ფულადი სახსრების გარანტირებული მოდელის უზრუნველყოფას, მომწოდებლის სურვილის მიხედვით თანხის წინასწარ გადახდას.** ხელშეკრულებაში აღნიშნული ტარიფისთვის ფაქტორინგული განყოფილება ვალდებულია მომწოდებელს გადაუხადოს საგადასახდლო მოთხოვნების თანხის განსაზღვრული წილი. მომწოდებლის ერთადერთ მოვალეობას წარმოადგენს ფაქტორინგულ განყოფილებასთან გარიგებების აღრიცხვა. განყოფილება მომწოდებელს უხდის დათმობილი მოთხოვნების თანხას, მიუხედავად იმისა, მყიდველმა გადაიხადეს თუ არა თავიანთი ვალი. რეგრესიის უფლებით ხელშეკრულების

დადებისას განყოფილებას შეუძლია მომწოდებელს დაუბრუნოს საგადასახდლო მოთხოვნა ნებისმიერ თანხაზე, რომელიც გადახდილი არ არის განსაზღვრული ვალის განმავლობაში. თუ მომწოდებელი უარს აცხადებს უკან მიიღოს ეს მოთხოვნები და ფაქტორინგულ განყოფილებას სთავაზობს, განაგრძოს ინკასირების ჩვეულებრივი პროცედურა, ან სთხოვს, რომ გამოიყენოს კანონიერი მოქმედება ვალის ასანაზღაურებლად (ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟში გადაცემულ საქმესთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ეწევა მომწოდებელი) ფაქტორინგული განყოფილება ახდევინებს ე.წ. **რეფაქტორინგზე.** უნდა შევნიშნოთ, რომ მომწოდებელთან ფულადი სახსრების გარანტირებული და თავისდროული მიღება შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ რეგრესიის უფლების გარეშე ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.

**სრული ფინანსური მომსახურება წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც მომწოდებელი უთმობს ფაქტორინგულ განყოფილებას ყველა მისი გადამხდლების ვალს.** ფაქტორინგული ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს აგრეთვე, სრული მომსახურების ამა თუ იმ ელემენტების შეხამებით.

ცნობილია, რომ მცირე და საშუალო კომპანიების დიდი უმრავლესობა ფულადი სახსრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან, ამ დროს ხელშეკრულების დადება შესაძლებელია „წინასწარ გადახდის“ პირობით. მისი ძირითადი უპირატესობაა მომწოდებლის დაკრედიტების მოცულობის ავტომატური გაზრდა ფაქტორინგული განყოფილებების მხრიდან. წინასწარი გადახდა გულისხმობს, რომ ფაქტორინგული განყოფილება დაუყოვნებლივ უხდის მომწოდებელს გადამხდელის მიერ აქცეპტირებული საგადასახდლო მოთხოვნების მთელ თანხას, ან მის ნაწილს (დაახლოებით 80%) მოწოდებულ საქონელზე, შესრულებულ სამუშაოსა და გაწეულ მომსახურებაზე ღირებულების დანარჩენი თანხის გადახდა საკომისიო გასამრჯელო თანხის გამოკლებით, ხორციელდება ცალკე, საგადასახდლო დავალებით გათვალისწინებული ვალისთვის. გადამხდელის მიერ განყოფილების სასარგებლოდ გადახდილი უნდა იქნეს ვალის

თანხა და საურავი თავის დროზე გადაუხდელობის გამო.

ვალის სრული თანხის გადახდა ფაქტორინგული გარიგების დადების მომენტში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაიშვება. ამასთან, საკომისიო გასამრჯელო მომწოდებელ განყოფილებას ფაქტორინგული ოპერაციების შესრულებისთვის გადაურიცხავს საგადასახდლო დავალებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

სრული ღირებულების წინასწარ გადახდა ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი ფაქტორ-კომპანიისთვის. ამის მთელი რიგი მიზეზები არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შესაძლებელია სავალო საკითხებსა და ანგარიშებში შეცდომების წარმოქმნა გამოიწვიოს. თუ მომწოდებელი წყვეტს თავის საქმიანობას, ან რაიმე მიზეზით არღვევს ფაქტორინგული ხელშეკრულების პირობებს, ფაქტორინგულ განყოფილებას წინასწარ ანაზღაურებული თანხის დაფარვის დაზღვევის სხვა რაიმე საშუალება არ გააჩნია, გარდა თვით საგადასახდლო მოთხოვნებისა. ამრიგად, ანგარიშ-ფაქტურის ღირებულებაში 10-12%-ით განსხვავება აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ საჭიროების შემთხვევაში კომპენსირდეს წინასწარ გადახდილი თანხები.

გამომდინარე აქედან, ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელია კომერციულმა ბანკებმა დანერგონ ისეთი ინოვაციური პროდუქტი; როგორცაა: **ფაქტორინგი**, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ვადაგადაცილებული სესხების და სხვადასხვა დებიტორული დავალიანებების დაფარვა, და საერთოდ, საკრედიტო რისკის შემცირება.

**მეორეც,** ფაქტორინგული ოპერაციების განხორციელება პირდაპირ კავშირშია დასაქმების პრობლემის გადაჭრასთან. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ოპერაციები კომერციული ბანკების მეშვეობით განხორციელდება, თუ ცალკე ფაქტორ-კომპანიების ჩამოყალიბებით, შედეგი იქნება გარკვეული რაოდენობის მუშა-ხელის დასაქმება.

# „პრობლემური სესხების“ ხელოვნური პრობლემები

საყოველთაო კრიზისის გავლენა საქართველოზე სულ უფრო საგრძნობი ხდება. ეროვნული კრიზისის გამწვავების ერთ-ერთი ამჟამად სიმპტომია ჩვენს მოქალაქეებსა და საბანკო სექტორს შორის

გართულებული საკრედიტო ურთიერთობა. კერძოდ, საგრძნობლად გაიზარდა იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებიც ვერ ფარავენ, ან დაგვიანებით (ნანილობრივად) ფარავენ კრედიტებს.

ოფიციალური მონაცემებით, ასეთ მდგომარეობაშია 280 000-ზე მეტი მოქალაქე. ნიშანდობლივია ისიც, რომ მათი რიცხვი ბოლო თვეების განმავლობაში თითქმის გაორმაგდა. სამწუხაროდ, ჩვენს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები არ იძლევა ოპტიმისტური პროგნოზის საშუალებას.

მასხენდება ამერიკული დოკუმენტური ფილმი „ზეიგეთი“ სადაც მხილებულია ბანკების აღვირახსნილი (დრაკონული) მადა მოსახლეობის საზიანოდ. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, საქართველოში სოკოებივით მომრავლებული ბანკების საკონტროლო პაკეტის მფლობელი უცხოელი ინვესტორები არიან. თანაც გარკვეულია ისიც, რომ ბანკები ინვესტორებისგან მალულად ორპროცენ-

ტიან სესხებს მოსახლეობაზე 24, 30, 40 პროცენტის საურავით გასცემენ. საკითხავია, რატომ წაუყრუებს ამ ფაქტს ხელისუფლება?

ნიშანდობლივია ისიც, რომ პრობლემური სესხების საკითხი მრავალწახნაგოვანია და აქედან გამომდინარე, მრავალი საფრთხის შემცველიც. უწინარეს ყოვლისა, დასაფიქრებელია ვადაგადაცილებულ კრედიტორთა რიცხვი. მათ უმრავლესობას მეტნაკლები სიმწვავით გაურთულდა საბანკო სისტემასთან ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, პრობლემმა ეკონომიკურთან ერთად, სოციალურ ხასიათსაც იძენს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პრობლემური სესხები ძირითადად (პროგნოზული გაანგარიშებით 80-85 პროცენტი), მცირე

და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეეხოთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ამით მწვავედება თვითდასაქმების საკითხიც.

სამწუხაროდ, ხელისუფლებას ამ პრობლემის გადასაწყვეტად სერიოზული ნაბიჯები არ გადაუდგამს. მეტიც, ელემენტარული ნებაც კი არ გამოუხატავს. მასსოვს, შარშან გაზაფხულზე „ალიანსი საქართველოსთვის“ ცდილობდა იძულებული გაეხადათ ხელისუფლება პრობლემური სესხები „შეესყიდა“ სახელმწიფოს და ამით პრობლემა გადაჭრილიყო. მოგეხსენებათ ანალოგიურ მეთოდს მრავალ ქვეყანაში იყენებენ. საქართველოში კი, სამწუხაროდ, პრობლემა სერიოზული განხილვის საგანიც არ გამხდარა.

საქართველოში დომინირებს აზრი, თითქოს პრობლემური სესხები საბანკო სექტორსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის სფეროა და აქედან გამომდინარე, ჩვენთან გაცხადებული „ზე ლიბერალური“ ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში, სახელმწიფო ამ ურთიერთობაში არ უნდა ერეოდეს! მდგრადი ეკონომიკური სისტემის პირობებში ასეთ მოსაზრებას საფუძველი, უდავოდ გააჩნია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით ეს თეზა არგუმენტად ნამდვილად არ გამოდგება.

ისმება კითხვა: რატომ ხუჭავს თვალს სახელმწიფო ბანკების განუკითხავი ქმედებების გამო? პასუხი ისედაც ნათე-



ლია – მას საზოგადოების სა-  
სიცოცხლოდ მნიშვნელოვანი  
პრობლემები ნაკლებად აინტე-  
რესებს. თუმცა, წაყრუება შე-  
საძლოა, ხელისუფლებისთვის  
სავალალო გამოდგეს. რა მაქვს  
მხედველობაში?

როგორც აღვნიშნე, პრობ-  
ლემური სესხი მოქალაქისთვის  
მძიმე სოციალური პრობლემაა,  
მაგრამ ის ასევე პრობლემურია  
საკუთრივ საბანკო სისტემისთ-  
ვისაც. ეს მოქალაქენი ხომ მა-  
თი დღევანდელი და რაც უფ-  
რო მნიშვნელოვანია, მომავალი  
კლიენტები არიან. ზოგადად  
სახელმწიფოსთვის კი, ეკონო-  
მიკური და სოციალური საფ-  
რთხე შეიძლება პოლიტიკური  
პრობლემის შემცველიც გახ-  
დეს. ხაზგასმით უნდა აღვიშ-  
ნო, რომ მცირე და საშუალო  
ბიზნესი ქვეყნის მდგრადობის  
გარანტიას და ის ვერ ჩამო-  
ყალიბდება საბანკო სისტემის  
განვითარების გარეშე. ამდენ-  
ად, სახეზე გვაქვს ეკონომიკურ  
პრობლემის სოციალურ და  
პოლიტიკურ პლანზე გადაზრ-  
დის საფრთხე.

სიტუაცია მძიმდება იმიტაც,  
რომ საქართველოში მოქმედებს  
მოქალაქეთა „საკრედიტო ის-  
ტორიის“ ჩამოყალიბების პროგ-  
ნოზული მექანიზმი, მაგრამ  
მოქალაქეებისგან დამოუკიდებ-  
ელი ობიექტური მიზეზების  
(ფორს-მაჟორი) გამო, ასევე  
ათასობით ადამიანს უფუჭდუ-  
ბა ეს „ისტორია“, არადა, ნათე-  
ლია, რომ ადამიანებს მომავალ-  
შიც პრობლემები შეექმნებათ  
საბანკო სისტემასთან ურთიერ-  
ობაში. ამდენად, დასავლეთში  
აპრობირებული „საკრედიტო  
ისტორიების“ ფორმირების ინ-  
სტიტუტი, რომელიც საბაზრო  
ეკონომიკის სისტემის ორგა-  
ნული შემადგენელი ნაწილია,  
ჩვენი ქვეყნისთვის, შესაძლოა  
ზოგადად საბანკო სისტემის  
და კონკრეტულად, საკრედიტო  
ბაზრის განვითარების ხელშე-  
მდეელი ფაქტორი გახდეს. აქე-  
დან გამომდინარე, უახლოეს  
პერსპექტივაში საკრედიტო ის-  
ტორიის ფორმირების მექანიზ-  
მი მცირე და საშუალო ბიზნე-



სის განვითარების სერიოზულ  
შემაფერხებელ სისტემადაც  
მოგვევლინა.

საბანკო სისტემის განვითა-  
რებას ხელი ეშლება იმიტაც,  
რომ მოქმედი კანონმდებლო-  
ბით ისინი ვალდებული არი-  
ან გამოიყენონ საურავებისა  
და ჯარიმების სისტემა. ამით  
კი, ერთის მხრივ, ნადგურდუ-  
ბა საკრედიტო მომსახურების  
პოტენციალი (მომხმარებელი  
ქმნის საკრედიტო ბაზარს და  
არა – პირიქით!) ხოლო, მეო-  
რეს მხრივ, მასობრივი გახდა  
მოქალაქეთა პირადი საკუთრე-  
ბის იძულებითი ჩამორთმევა.  
აღნიშნული, რასაკვირველია,  
ისედაც მძიმე სოციალური ფო-  
ნის კიდევ უფრო გამწვავების  
საფუძველი გახდება.

სად არის გამოსავალი?  
პირველ რიგში, აუცილებლად  
მიგვაჩია შეიქმნას პროფესიო-  
ნალთა ჯგუფია (რომელიც ხე-  
ლისუფლებისგან უზრუნველ-  
ყოფილი იქნება ყველა საჭირო  
სტატისტიკური ინფორმაციით).  
ამავე ჯგუფს დაევალოს სათა-  
ნადო წინადადების მომზადება,  
რომელთა საჯარო განხილვის  
შემდეგ მიღებულ იქნება შესა-  
ბამისი გადაწყვეტილება. პრობ-  
ლემა იმდენად მწვავედგება, რომ  
მისი „მიჩუმება“ შეუძლებე-  
ლია და შესაბამისად, ეკონო-  
მიკურ, სოციალური და პოლი-  
ტიკური საფრთხეების შემცვე-

ამ ეტაპზე საგნებით შესაბ-  
ლებელია პარლამენტმა მიი-  
ღოს შესაბამისი დადგენილება  
პრობლემური სესხების ამნის-  
ტიის შესახებ, რათა მოქალაქე-  
ებს არ გაუფუჭდეთ ე.წ. „საკ-  
რედიტო ისტორია“. იგი შეარ-  
ბილებს პრობლემის სიმწვავეს  
და რაც აღსანიშნავია, სახელ-  
მწიფოსგან არ მოითხოვს და-  
მატებით ფინანსურ რესურსებს.  
გასათვალისწინებელია ისიც,  
რომ საბანკო სისტემა განთავი-  
სუფლდება სესხების იძულები-  
თი ამოღების ადმინისტრირების  
დამამცირებელი ფუნქციისგან.  
ამისი პირველი ნიშნები უკვე  
არსებობს – ბანკები ქმნიან სპე-  
ციალიზირებულ სტრუქტურებს,  
რომელთაც ავალებენ სესხების  
იძულებით ამოღებას, აღნიშნუ-  
ლი, ვფიქრობთ თვით საბანკო  
სისტემასაც დააზარალებს.

და ბოლოს, საბანკო სის-  
ტემა საბაზრო ეკონომიკის  
შემადგენელი ნაწილია და  
არა პირიქით. ეკონომიკა კი,  
უპირველეს ყოვლისა, თავი-  
სუფალი მეწარმეობის შედე-  
ბია. სახელმწიფოს უპირვე-  
ლესი ფუნქცია თავისუფალი  
ბიზნეს-ბაზარის ფორმირებაა  
და ამოცანის გადაწყვეტაში  
მას სახელმწიფო რეზულირ-  
ბის მმართველობის გამოყენება  
ვებალება.

ოთარ ხუშენია,  
ეკონომიკის მეცნიერებათა  
დოქტორი

# ფინანსური ინსტრუმენტები – სიასლენი და პერსპექტივები

წინა წლების კრიზისმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში („ფასს“) არსებული ზოგიერთი პრინციპის მართებულობა.

დიდი ოცულის ქვეყნების ხელმძღვანელებმა, ფინანსური სტაბილურობის ფორუმმა (**Financial Stability Forum**), ევროგაერთიანების მინისტრებმა და მარეგულირებელმა ორგანოებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს („საბჭო“) ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სტანდარტების გამარტივება და უფრო გასაგები ფორმით წარდგენა მოსთხოვეს.



ამის საპასუხოდ, 2009 წელს საბჭომ თავის თავზე აიღო ვალდებულება მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში შეიტანოს ცვლილებები არსებულ სტანდარტებში. დაისახა გეგმა, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 39 ჩანაცვლდეს ახალი მოთხოვნებით სამ ეტაპად: 1) კლასიფიკაცია და შეფასება; 2) ფინანსური აქტივების გაუფასურება; 3) პეჯირების აღრიცხვა.

რთულია არ დაეთანხმო კრიტიკას **ბასს 39-ის** – დღევანდელი ვერსია ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების ოცამდე მიდგომას ითვალისწინებს, რაც ფინანსური ინსტრუმენტის კატეგორიაზე დამოკიდებული. კატეგორიები კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია მენეჯმენტის გეგმებზე. გარდა ამისა, რეალური ღირებულების ცვლილებები აღირიცხება, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კაპიტალში, ან მოძრაობს კაპიტალიდან მოგება-ზარალში გაყიდვის და გაუფასურებისას, ან საერთოდ არ აღირიცხება. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ სტანდარტი სუბიექტურობისა და შეცდო-

მებისთვის ფართო პოლიგონს ვეიტოვებს...

დღეის მდგომარეობით საბჭომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები თავის პირობის შესრულებისკენ. ჩვენ ვეცდებით მოკლედ შევაჯამოთ ის ძირითადი სიახლეები, რაც მოცემული მომენტისთვის უკვე ცნობილია.

2009 წლის 12 ნოემბერს საბჭომ ახალი **ფასს 9** გამოაქვეყნა. ფასს 9 ჩანაცვლებს **ბასს 39-ის** ბევრ მოთხოვნას, კონკრეტულად კი **ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს**. ეს სტანდარტი სავალდებულოა 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მისი უფრო ადრე დანერგვა ნებადართულია.

**ფასს 9-ის** გამოქვეყნებით საბჭომ დაასრულა **ბასს 39-ის** სამეტაპობრივი ჩანაცვლების პირველი ეტაპი. ბასს 39-ის დარჩენილი ნაწილის ჩანაცვლება 2010 წლის განმავლობაში იგეგმება.

ქვემოთ მოკლედ შევაჯამებთ ფასს 9-ის ძირითად მოთხოვნებს.

## მოქმედების სფერო:

ფასს 9 მოიცავს ყველა იმ აქტივს, რომელიც ბასს 39-ის მოქმედების სფეროში ექცეოდა – ინვესტიციებს სავალო ინსტრუმენტებსა და კაპიტალში, სესხებს, დებიტორულ ანგარიშებს და წარმოებულ ინსტრუმენტებს.

## კლასიფიკაცია:

ფასს 9 მიხედვით, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება შემდეგ სამ კატეგორიად:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ასახული მოგებაში, ან ზარალში;
- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ასახული კაპიტალის მოძრაობის უწყისში.

## კლასიფიკაციის კრიტერიუმი:

ფასს 9-ის თანახმად, ის თუ კლასიფიკაციის რომელ ჯგუფში მოექცევა და შესაბამისად, როგორ შეფასდება ფინანსური აქტივი, დამოკიდებულია ორ კრიტერიუმზე:

• **ბიზნესის მოდელის ტესტირება** – ექცევა თუ არა ფინანსური აქტივი ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის თანახმადაც აქტივების ფლობა ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად (ნაცვლად ისეთი ბიზნეს მოდელისა, რომლის დროსაც აქტივი გამოიხსნება გასაყიდად მოგების მიღების მიზნით)?

• **ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირება** – აქვს თუ არა მომავალ ფულად ნაკადებს კონკრეტული გადახდის გრაფიკი, რომელიც შედგება ძირითადი თანხისა და მასთან დაკავშირებული პროცენტის დაფარვებისგან?

თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ ორ კრიტერიუმს, ის ამორტიზირებული ღირებულებით უნდა აღირიცხოს. აქედან გამომდინარე სესხები, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები და ინვესტიციები სასესხო ინსტრუმენტებში, როგორც წესი, აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმებს და შესაბამისად აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმებს, აღირიცხება რეალური ღირებულებით.

**ბიზნესის მოდელის ტესტირება**

ბიზნესმოდელის ტესტირება გულისხმობს იმის დადგენას, არის თუ არა ბიზნესის ძირითადი მიზანი ფინანსური აქტივიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება, თუ მიზანს საბოლოო ვადამდე აქტივის გაყიდვით მოგების მიღება წარმოადგენს. ამის განსაზღვრა ბიზნეს ქვედანაყოფის და არა კონკრეტული აქტივის ჭრილში ხდება და მაშასადამე, არ ეფუძნება მენეჯმენტის გეგმებს კონკრეტულ აქტივთან მიმართებაში.

ფასს 9 ითვალისწინებს,



რომ **საწარმოს შესაძლოა ბევრი ბიზნეს ქვედანაყოფი ჰქონდეს და მათი მართვა განსხვავებული იყოს.** მაგალითად, ბანკს შესაძლოა ჰქონდეს როგორც საცალო საბანკო მომსახურების ქვედანაყოფი, ისე, საინვესტიციო ბანკის საქმიანობაც. შესაბამისად, საცალო საბანკო ქვედანაყოფის მიზანია ფინანსური აქტივების საბოლოო ვადამდე შენარჩუნება და სახელშეკრულებო დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების ამოღება, ხოლო, საინვესტიციო ბანკი კი მიზნად ისახავს აქტივების რეალიზაციით მიიღოს მოგება; ამიტომ, საცალო საბანკო ქვედანაყოფის ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლოა, ანალოგიური აქტივი საინვესტიციო ქვედანაყოფში ექვემდებარება რეალური ღირებულებით აღრიცხვას.

**ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირება**

ახლახანს საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭომ გამოსცა სტანდარტი მცირე და საშუალო ბიზნესების აღრიცხვის რეგულირებისთვის. ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტირებისადმი მიდგომა სწორედ ამ

სტანდარტიდან იქნა გადმოღებული. ძირითადი მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ მხოლოდ ის ინსტრუმენტები, რომლებსაც ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვის სახელშეკრულებო გრაფიკი აქვს, ექვემდებარება ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხვას.

აქტივი იმ შემთხვევაში აკმაყოფილებს ფულადი ნაკადების მახასიათებლების კრიტერიუმს, თუ მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები ფიქსირებულია (მაგალითად, სესხი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით), როდესაც საპროცენტო განაკვეთი ცვლადია რაიმე მახასიათებლის მიხედვით (მაგალითად, LIBOR), ან როდესაც საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და ცვლადის ერთობლიობას წარმოადგენს (მაგალითად, LIBOR-ს პლუს ფიქსირებული განაკვეთი).

**ინვესტიციები კაპიტალში**

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა ინვესტიცია კაპიტალში აღირიცხოს რეალური ღირებულებით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ის აქტივები, რომლებიც საჯაროდ არ იყიდება და მათი საბაზრო ფასის პირდაპირ დადგენა შეუძლებელია, არ შეიძლება აღირიცხებოდეს თვითღირებულებით, როგორც ეს



ბასს 39-ის მიერ იყო დაშვებული. თუმცა, ფასს 9 მაინც ტოვებს გარკვეულ გამოსავალს და ამბობს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თვითღირებულება შესაძლოა რეალური ღირებულების საუკეთესო მიახლოებას წარმოადგენდეს. სტანდარტში ასევე წარმოდგენილია იმის ნიმუშები, თუ როდის არ შეიძლება თვითღირებულება რეალური ღირებულების მიახლოებად იქნეს მიჩნეული.

ინვესტიციები კაპიტალში კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით აღსარიცხი მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარდა იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც თავდაპირველივე აღიარებისას მოხდება ინვესტიციის კლასიფიკაცია როგორც რეალური ღირებულებით აღსარიცხი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების გავლით. ასეთ შემთხვევაში კლასიფიკაციის შემდგომი ცვლილება დაუშვებელია. თუკი ინსტრუმენტი სავაჭროდ არის განკუთვნილი, მისი რეალური ღირებულების ცვლილების აღრიცხვა კაპიტალის

მოძრაობის ანგარიშგებაში დაუშვებელია.

ინვესტიციის კლასიფიკაცია როგორც რეალური ღირებულებით აღსარიცხი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების გავლით ბასს 39-სგან განსხვავებულ მიდგომებს ითვალისწინებს. კონკრეტულად კი არ არის საჭირო ასე კლასიფიცირებული ინვესტიციის გაუფასურების შეფასება და ინვესტიციის გაყიდვისას რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული დაგროვილი მოგება-ზარალის რეკლასიფიკაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში; რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება სამუდამოდ კაპიტალში რჩება.

**რეკლასიფიკაცია**

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებს ფულადი ნაკადების მახასიათებლების ტესტს, რეკლასიფიკაცია რეალური და ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხულ კატეგორიებს შორის მოთხოვნილია მაშინ, როდესაც ბიზნეს-მოდელის მიზნობრიობა იცვლება. მაგალითად,

ამორტიზირებული ღირებულებით აღსარიცხი ჯგუფიდან აქტივები უნდა რეკლასიფიცირებულ იქნეს რეალური ღირებულებით აღსარიცხ ჯგუფში, როდესაც ბანკი გადაწყვეტს შეწყვიტოს საცალო იპოთეკური დაკრედიტება და დაიწყოს იპოთეკური სესხების პორტფელის რეალიზაცია.

**დანერგვის თარიღი**

ფასს 9-ის სავალდებულო დანერგვა უნდა მოხდეს 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; დაშვებულია უფრო ადრე დანერგვაც.

ფასს 9 მითხოვს რეტროსპექტიულ დანერგვას, თუმცა, ბიზნეს მოდელის ტესტირება დანერგვის თარიღისთვის მოხდება.

ის საწარმოები, რომლებიც ადრეულ დანერგვას გადაწყვეტენ, გათავისუფლებული არიან შესადარისი ინფორმაციის წარდგენისგან.

**საბჭოს შემდგომი გეგმები**

ბასს 39-ის დარჩენილი ნაწილის ჩანაცვლებას საბჭო 2010 წლის მეორე ნახევარში გეგმავს. დაგეგმილია ფასს 9-ში შემდეგი საკითხების შეტანა:

**• ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა;**

- გაუფასურება;
- ჰეჯირების აღრიცხვა;
- აღიარების გაუქმება.

ვიმედოვნებთ, რომ მოცემული მასალა დაგეხმარებათ მომზადებულები შეხვდეთ ფინანსური აქტივების აღრიცხვის ახალ მოთხოვნებს! შეგახსენებთ, რომ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციები შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის კორპორაციული მართვის პროექტში.

**ინფო კარტოზია**

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სპეციალისტი



# უცხოური ვალუტით ნარმოებული ოპერაციების აღრიცხვა

სამეურნეო სუბიექტს თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ხშირ შემთხვევაში სამეურნეო ოპერაციების განხორციელება უცხოურ ვალუტაში უნევს. უცხოური ვალუტით განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს-ი) 21-ით „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამონვეული შედეგები“. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, უცხოური ვალუტით ნარმოებული ოპერაცია ისეთი ოპერაციაა, რომელიც სამეურნეო ოპერაციის განხორციელების დღეს ფიქსირდება უცხოურ სავალუტო ერთეულში, ან მოითხოვს ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით.



**დავით ჯალალონია,**  
სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

ასეთი ტიპის ოპერაციებს ადგილი აქვს, როდესაც საწარმო:

- ყიდულობს ან ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელსა და მომსახურებას;
- იღებს ან გასცემს სესხს, ამასთან, მისაღები ან გადასახდელი თანხები განსაზღვრულია უცხოურ სავალუტო ერთეულებში;
- მონაწილეობს საგარეო გაცვლით ხელშეკრულებაში;
- იძენს ან ყიდის აქტივებს უცხოური ვალუტით და, შესაბამისად, იხდის და/ან ფარავს ვალდებულებებს ასევე უცხოური ვალუტით.

მეწარმე სამეურნეო სუბიექტები, ვალდებულნი არიან უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციების ფინანსური ანგარიშგება მხოლოდ საანგარიშგებო, ანუ ეროვნული ვალუტით განხორციელონ. **საანგარიშგებო ვალუტად ითვლება ცალკეული ქვეყნის ეროვნული ვალუტა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ფულად ერთეულსაც.** საქართველოსთვის ესაა, ლარი. **უცხოურია ისეთი ვალუტა, რომელიც წარმოადგენს სხვა ქვეყნის საანგარიშსწორებო ვალუტას და, შესაბამისად, მის ფულად ერთეულს.**

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებით წარმოშობილი მოთხოვნები და/ან ვალდებულებები ფირმის სააღრიცხვო დოკუმენტაციაში პირველადი დოკუმენტების საფუძველზე უნდა დაფიქსირდეს საანგარიშგებო ვალუტით. ასეთი ოპერაციის ღირებულებითი შეფასება ხორციელდება ოპერაციის განხორციელების დღეს საანგარიშგებო ვალუტასა და უცხოურ ვალუტას შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული გასაცვლელი კურსით. აღნიშნული ოპერაციების ასახვა ანგარიშგაღებულ პირის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში კი უნდა განხორციელდეს ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი სავალუტო კურსით.

ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტით განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შეფასებისას აუცილებელია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგის (მოგების და/ან ზარალის) გათვალისწინება ანგარიშგაღებულ პირის ფინანსურ ანგარიშგებაში. ამის აუცილებლობას ბასს-ის მოთხოვნასთან ერთად განაპირობებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) მოთხოვნა. საანგარიშგებო პერიოდის საერთო შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშებაში საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავლების და/ან ზარალის გათვალისწინებას გულისხმობს შესახებ. შეფასების სიდიდეზე გავლენას ახდენს საანგარიშსწორებო და უცხოურ ვალუტას შორის არსებული საკურსო სხვაობების სიდიდე. საკურსო სხვაობა უკავშირდება ოპერაციის შესრულების დღეს დაფიქსირებული და უცხოური ვალუტით შეფასებული ნებისმიერი ფულადი საბალანსო მუხლების (საწარმოს განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები და მისაღები აქტივები, ასევე გასანაღებელი ვალდებულებები, რომლებიც ასახულია ფიქსირებული ფულადი თანხით) განაღდების თარიღისათვის დაფიქსირებულ გასაცვლელ სავალუტო კურსებს შორის სხვაობის მანკვებელი, მით მეტია მისაღები და/ან გასაცემი თანხის მოცულობა და, შესაბამისად, მიღებული შემოსავალი ან გაწეული ხარჯი.

საერთაშორისო სტანდარტებით, საკურსო სხვაობის აღიარება-ასახვისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას ორი მეთოდი: საბაზისო და ალტერნატიული.

საბაზისო მეთოდის მიხედვით საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ფულადი საბალანსო მუხლების განაღდებისას, ან საწარმოს საანგარიშგებო თარიღისათვის ამ მუხლების საბოლოო სავალუტო კურსით ფინანსურ ანგარიშ-

გებაში ასახვისას, რომელიც სავალუტო კურსის ხშირი ცვლილების გამო, როგორც წესი, განსხვავდება უცხოური ვალუტით შეფასებული ოპერაციის თავდაპირველი ასახვისას გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, ან წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების სავალუტო კურსისაგან, აღიარებული უნდა იქნას შემოსავლების ან ხარჯების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იგი წარმოიქმნება. გამონაკლისს წარმოადგენს უცხოურ ეკონომიკურ სუბიექტში დაბანდებული წმინდა ინვესტიციების გამოყენებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები. ინვესტიციების გაყიდვამდე მათი ასახვა უნდა განხორციელდეს საწარმოს საკუთარ კაპიტალში, გაყიდვის შემდეგ კი სხვაობები აღიარებული უნდა იქნას შემოსავლებად და ხარჯებად იმავე საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც მოხდება უცხოურ ეკონომიკურ სუბიექტში წილის დათმობით მიღებული მოგების ან ხარჯის აღიარება-ასახვა. **უცხოური ეკონომიკური სუბიექტი ისეთი უცხოური ქვეგანაყოფია, რომლის საქმიანობა არ წარმოადგენს ანგარიშგაღებული საწარმოს განუყოფელ ნაწილს.**

ალტერნატიული მეთოდისას საკურსო სხვაობები შეიძლება წარმოიქმნას ვალუტის გაუფასურების ან დევალვაციის შედეგად. მსგავსი შემთხვევებისაგან დაზღვეული პრაქტიკულად არცერთი საწარმო არ არის. ასეთ შემთხვევებში ძალიან ძნელი (ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი) ხდება საწარმოს წინაშე არსებული ვალდებულების დაფარვის შესაძლებლობა. სწორედ, ამიტომ საკურსო სხვაობები უნდა ჩაითვალოს ვალდებულებების წარმომშობი აქტივის საბალანსო ღირებულებაში, იმ პირობით, რომ აქტივის ახალი, კორექტირებული საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მსგავსი აქტივის ღირებულებასა და აქტივის გაყიდვიდან ან გამოყენებიდან მისაღები ამონაგების თანხებს შორის უმცირეს თანხას.

კურსთა შორის სხვაობით (სხვაობა, რომელიც წარმოიქმნება ერთი და იმავე რაოდენობის უცხოური სავალუტო ერთეულის საანგარიშგებო ვალუტით ასახვისას განსხვავებული გასაცვლელი სავალუტო კურსების გამოყენების შედეგად) მიღებული დადებითი ან უარყოფითი შედეგის საბოლოო აღიარება უნდა მოხდეს იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიაც ფაქტიურად მოხდება ანგარიშსწორება. შეფასება კი ანაზღაურების დღისთვის რეალურად არსებული კურსით იწარმოებს.

**მაგალითად, საქართველოში მოქმედი მეწარმე სუბიექტის მიერ 2009 წლის 20 დეკემბერს ერთ-ერთ უცხოურ კომპანიაზე მიწოდებული იქნა 50000 ევროს ღირებულების საქონელი. გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე თანხის განაღდება მოხდება 2010 წლის 20 იანვარს. ოპერაციის განხორციელების დღეს ევროს გასაცვლელი კურსი ლართან მიმართებაში შეადგენდა: 1 ევრო = 2,30 ლარს.**

ღარიცხვის მეთოდის საფუძველზე ოპერაციის დღეს არსებული სავალუტო გასაცვლელი კურსით უცხოური ვალუტით წარმოქმნილ და ეროვნული ვალუტით დაფიქსირებულ დებიტორულ დავალიანებაზე შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

**დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ 115000 ლარი;**

**კრედიტი 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“ 115000 ლარი.**

საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული და სსკ-ით დადგენილი წესით, ქართული ფირმა 2009 წლის 31 დეკემბერს, ფინანსურ ანგარიშგებაში, წარმოქმნილ მოთხოვნას ასახავს ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული სავალუტო კურსით. აქედან გამომდინარე, მოთხოვნის კორექტირება სავალუტო კურსთა შორის სხვაობის გათვალისწინებით მოხდება ან მოგების ან ხარჯის მხარეს:

**ა. 1 ევრო = 2,38 ლარი.** მიღებული დადებითი სხვაობის თანხაზე (2,38 X 50000 - 2,30 X 50000 = 4000 ლარი) გვექნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

**დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ 4000 ლარი;**

**კრედიტი 8140 „შემოსავალი სავალუტო კურსთა შორის სხვაობიდან“ 4000 ლარი.**

შესაბამისად, მოხდა მოთხოვნის ზრდა 4000 ლარით.

**ბ. 1 ევრო = 2,24 ლარი.** უარყოფითი სხვაობის თანხაზე (2,24 X 50000 - 2,30 X 50000 = 3000 ლარი) გვექნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

**დებეტი 8240 – „ზარალი სავალუტო კურსთა შორის სხვაობიდან“ 3000 ლარი;**

**კრედიტი 1410 – „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ 3000 ლარი.**

შესაბამისად, მოხდა მოთხოვნის შემცირება 3000 ლარით.

დებიტორული დავალიანების დაფარვის დღეს **1 ევრო = 2,38 ლარს.** მაშასადამე, ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულ თანხის მიღებაზე იქნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

**დებეტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 119000 ლარი;**

**კრედიტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ 119000 ლარი.**

მეწარმე სუბიექტს განხორციელებული ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე (შემდგომი გადახდის პირობით მოწოდებულ აქტივებთან ან გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით) ხშირ შემთხვევაში უნდება სხვადასხვა სახის ვალდებულებები.

**მაგალითი: ქართულმა ფირმამ 2009 წლის 20 სექტემბერს ანაზღაურების განვადების პირობით უცხოური კომპანიისაგან შეიძინა მერსედესის ტიპის ავტობუსი, რომლის ღირებულებაც 67000 ევრო. შეძენის თარიღისათვის ევროს გასაცვლელმა კურსმა ლართან მიმართებაში შეადგინა 1 ევრო = 2,30 ლარი. ხელშეკრულების საფუძველზე თანხის დაფარვა მოხდება ეტაპობრივად. მ.შ. 2009 წლის 20 ნოემბერს ქართული ფირმა გადაიხდის 45000 ევროს, ხოლო 2010 წლის 20 იანვარს დარჩენილ 22000 ევროს.**

სამეურნეო ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე ოპერაციის განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული

სავალუტო კურსით ვალდებულების წარმოშობაზე, აღიარებასა და გადახდაზე იქნება შემდეგი ბუღალტრული გატარებები:

1. 2009 წლის 20 ოქტომბერს ვალდებულების წარმოშობაზე იქნება გატარება:

დებეტი 2180 - „სატრანსპორტო საშუალებები“ 154100 ლარი; კრედიტი 3110 - „მოწ. და მომ. წარმოშობილი ვალდებულებები“ 154100 ლარი.

2. 2009 წლის 20 ნოემბერს ვალდებულების პირველი ნაწილის დაფარვისას (45000 ევრო) სავალუტო კურსთა შორის სხვაობის თანხით საწარმომ შეიძლება მიიღოს მოგება ან ზარალი

ა. ვთქვათ, ამ თარიღისათვის 1 ევრო = 2,24 ლარს.

მიღებული შემოსავლის თანხაზე იქნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი 3110 „მოწ. და მომს. წარმოშობილი ვალდებულებები“ 103500 ლარი; (45000 X 2,30)

კრედიტი 8140 „შემოსავალი სავალუტო კურსთა შორის სხვაობიდან“ 2700 ლარი; კრედიტი 1210 - „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 100800 ლარი. (45000 X 2,24)

ბ. ვთქვათ, ამ თარიღისათვის 1 ევრო = 2,34 ლარს, გვექნება:

მიღებული ზარალის თანხაზე იქნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი 3110 „მოწ. და მომს. წარმოშობილი ვალდებულებები“ 103500 ლარი; (45000 X 2,30)

დებეტი 8240 „ზარალი სავალუტო კურსთა შორის სხვაობიდან“ 1800 ლარი;

კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 105300 ლარი. (45000 X 2,34)

3. ვალდებულების დარჩენილი ნაწილის (22000 ევრო) საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვისას, გვექნება შემდეგი ბუღალტრული გატარებები

ა. ვთქვათ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის (31 დეკემბრის მდგომარეობით) 1 ევრო = 2,38 ლარს, გვექნება (22000 X 2,30 - 22000 X 2,38 = 1760)

საკურსო სხვაობით მიღებული შემოსავლის თანხაზე იქნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი 3110 - „მოწ. და მომს. წარმოშობილი ვალდებულებები“ 1760 ლარი;

კრედიტი 8140 „შემოსავალი სავალუტო კურსთა შორის სხვაობიდან“ 1760 ლარი.

ბ. ვთქვათ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის (31 დეკემბრის მდგომარეობით) 1 ევრო -

2,24 ლარს, გვექნება (22000 X 2,30 - 22000 X 2,24 = 1320)

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალის თანხაზე იქნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი 8240 „ზარალი სავალუტო კურსთა შორის სხვაობიდან“ 1320 ლარი;

კრედიტი 3110 „მოწ. და მომს. წარმოშობილი ვალდებულებები“ 1320 ლარი.

მაშასადამე, ქართული ფირმა ევროს კურსის გაუფასურების შედეგად 2009 წლის საანგარიშგებო პერიოდში შემოსავლებად აღიარებს 4460 ლარს (2700 + 1760), ხოლო ევროს კურსის გამყარების შედეგად ხარჯად აღიარებს 3120 ლარს (1800 + 1320).

ქართული ფირმის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში დარჩენილი ვალდებულების სახით „ა“ ვარიანტის შემთხვევაში აღიარებული იქნება 52360 ლარი (22000 X 2,38), „ბ“ ვარიანტის შემთხვევაში კი - 49280 ლარი (22000 X 2,24).

4. 2010 წლის 20 იანვარს დარჩენილი ვალის (22000 ევროს) გადახდისას ევროს კურსის გათვალისწინებით, გვექნება:

ა. ვთქვათ 1 ევრო = 2,27 ლარს

მიღებული მოგების თანხაზე იქნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი 3110 „მოწ. და მომს. წარმოშობილი ვალდებულება“ 50600 ლარი; (22000 X 2,30)

კრედიტი 8140 „შემოსავალი სავალუტო კურსთა შორის სხვაობიდან“ 660 ლარი;

კრედიტი 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 49940 ლარი. (22000 X 2,27)

ბ. ვთქვათ, 1 ევრო = 2,34 ლარს

მიღებული ზარალის თანხაზე იქნება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დებეტი 3110 - „მოწ. და მომს. წარმოშობილი ვალდებულება“ 50600 ლარი; (22000 X 2,30)

დებეტი 8240 - „ზარალი სავალუტო კურსთა შორის სხვაობიდან“ 880 ლარი;

კრედიტი 1210 - „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ 51480 ლარი. (22000 X 2,34)

მაშასადამე, ქართულ ფირმას 2010 წლის დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისას „ა“ ვარიანტის შემთხვევაში საანგარიშგებო პერიოდის საერთო შემოსავლები გაიზრდება კურსთაშორის მიღებული თანხით, ანუ 660 ლარით, ხოლო „ბ“ ვარიანტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდის საერთო ხარჯები კურსთაშორის მიღებული ზარალის თანხით, ანუ 240 ლარით.

ANNOTATION

REGISTRATION OPERATION BY FOREIGN CURRENCY

David Jalagonia Professor of Sokhumi State University

In this article has been considered questions which are connecting with accounting operations. Registration such operations has been adjusted international standards of accounting. Registration economic operations by foreign currency, determination incomes or spend, must be entertained course differences, which is communicated realization of operation and concedment of request or obligation. Exactly such questions are illuminated in the article.

# მოგებთან გადასახადების აღრიცხვა



**ნალაქა კვატაშია,**  
ივ. ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

საწარმოები საანგარიშებო პერიოდის განმავლობაში სააღრიცხვო პოლიტიკას წარმართავენ ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად. ამავდროულად, რიგ ქვეყნებში არსებული საგადასახადო კანონმდებლობა არ ემთხვევა ფასს-ის მოთხოვნებს, განსხვავება ვლინდება გაანგარიშებული შემოსავლების, ხარჯების და მოგების სიდიდეებში. შესაბამისად, განსხვავებულია მოგება და მოგების გადასახადის მოცულობა. ამდენად, განსხვავებულ სააღრიცხვო (საფინანსო) და საგადასახადო მოგებას,

სააღრიცხვო მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა დარიცხვის და შესაბამისობის პრინციპით აღიარებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, სააღრიცხვო მოგება არის საანგარიშებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის თანხა საგადასახადო ხარჯის (მოგების გადასახადის) გამოქვითვამდე.

*(დასასრული, დასაწყისი იხ. „ბჟ“ თებერვალი-მარტი 2010 წ.)*

## 1. გადავადებული გადასახადების აღრიცხვა

მიმდინარე და გადავადებული გადასახადების აღიარება უნდა მოხდეს შემოსავლის ან ხარჯის სახით და ჩაირთოს საანგარიშებო პერიოდის წმინდა მოგებისა და ზარალის თანხაში, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც გადასახადი წარმოიშობა:

ა) ისეთი მოვლენის ან სამეურნეო ოპერაციის გამო, რომელიც იმავე, ან სხვა რომელიმე საანგარიშებო პერიოდში პირდაპირ აღიარებულია საკუთარ კაპიტალში; ან

ბ) საწარმოთა გაერთიანების გამო.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება აისახება ანგარიშზე 4210 – „გადავადებული მოგების გადასახადი“. ამ ანგარიშის კრედიტში აისახება მომავალ საანგარიშებო პერიოდში გადასახადელი მოგების გადასახადი, დებეტში კი – მომავალ საანგარიშებო პერიოდში გადასახადელი მოგების გადასახადის უკუგატარება/გამოყენება. საგადასახადო ხარჯი აისახება ანგარიშზე 9210 – „სააღრიცხვო მოგების გადასახადი“. **საგადასახადო ხარჯი** არის საანგარიშებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალის განსაზღვრისას გამოყენებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მთლიანი თანხა.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება ანგარიშზე 2340 – „გადავადებული სა-

გადასახადო აქტივი“. ამ ანგარიშის დებეტში აისახება წარმოქმნილი აქტივი, ხოლო კრედიტში კი – აქტივის გამოყენება, აღდგენა.

გადავადებული მოგების გადასახადების ტიპური გატარებები წარმოდგენილია ქვემოთ:

№	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი
1	მოგების გადასახადის ხარჯი	9210	
	გადავადებული მოგების გადასახადი		4210
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნა		
2	გადავადებული მოგების გადასახადი	4210	
	მოგების გადასახადის ხარჯი		9210
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულების გამოყენება		
3	გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340	
	მოგების გადასახადის ხარჯი		9210
	გადავადებული საგადასახადო აქტივის წარმოქმნა		
4	მოგების გადასახადის ხარჯი	9210	
	გადავადებული საგადასახადო აქტივი		2340
	გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენება/აღდგენა		

**საგადასახადო ხარჯი** ტოლია მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯს მიმატებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულება და გამოკლებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სარგებელი (საგადასახადო შემოსავალი):

საგადასახადო ხარჯი = მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი + გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ხარჯი - გადავადებული საგადასახადო აქტივის სარგებელი.

განვიხილოთ მაგალითები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებისა და საგადასახადო ბაზას შორის წარმოქმნილ დროებით სხვაობებზე, გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებაზე.

**მაგალითი 9.**

საწარმოს მოგება მოწობილობის ცვეთის ხარჯის გამოკლებამდე ხუთი წლის განმავლობაში უცვლელია და შეადგენს 135.000 ლარს. მოწობილობის თვითღირებულებაა 30.000 ლარი, ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სააღრიცხვო მიზნებისათვის 5 წლის განმავლობაში, საგადასახადო მიზნებისათვის 3 წლის განმავლობაში.

**განვსაზღვროთ: 1) აქტივის სააღრიცხვო და საგადასახადო ბაზა;**

**2) საგადასახადო ხარჯი; 3) მოგების გადასახადის დარიცხვა ავსახოთ საჟურნალო გატარებებით.**

**ცხრილი 7**

**სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის (ლარი)**

მაჩვენებლები	წლები				
	1	2	3	4	5
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება					
მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლებამდე	135.000	135.000	135.000	135.000	135.000
ცვეთის ხარჯი	6.000	6.000	6.000	6.000	6.000
მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლების შემდეგ	129.000	129.000	129.000	129.000	129.000
მოგების გადასახადის პირობითი ხარჯი (15%)	19.350	19.350	19.350	19.350	19.350
საგადასახადო დეკლარაციის მონაცემები					
მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლებამდე	135.000	135.000	135.000	135.000	135.000
ცვეთის ხარჯი	10.000	10.000	10.000	0	0
მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლების შემდეგ	125.000	125.000	125.000	135.000	135.000
მიმდინარე მოგების გადასახადი (15%)	18.750	18.750	18.750	20.250	20.250

სხვაობების მიზეზი ცნობილია, ეს არის მოწობილობაზე განსხვავებული ცვეთის დარიცხვა, დავადგინოთ მოწობილობის საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის სხვაობები – მათი არსი და სიდიდე (იხ. ცხრილი 8).

**ცხრილი 8**

**დავადგენილი საგადასახადო ვალდებულების (აქტივის) გაანგარიშება (ლარი)**

მაჩვენებლები	წლის ბოლოს				
	1	2	3	4	5
საბალანსო ღირებულება	24.000	18.000	12.000	6.000	0
საგადასახადო ბაზა	20.000	10.000	0	0	0
სხვაობა	(4.000)	(8.000)	12.000	6.000	0
მოგების გადასახადის განაკვეთი	15%	15%	15%	15%	
დავადგენილი საგადასახადო ვალდებულება (აქტივი)	(600)	(1.200) [600+600]	1.800 [1.200+600]	900 [1.800-900]	0 [900-900]

ცხრილიდან ირკვევა, რომ პირველი წლის ბოლოს მოწობილობის საგადასახადო ბაზა ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე 4.000 ლარით (20.000 – 24.000), რომელიც ტოლია იმ სიდიდისა, რითაც საგადასახადო ცვეთის ხარჯი აღემატება სააღრიცხვო ცვეთის ხარჯს (10.000 – 6.000). ამან გამოიწვია დასაბეგრი დროებითი სხვაობა, რომლის გამრავლებით საგადასახადო განაკვეთზე მიიღება მიმდინარე წლის გადავადებული საგადასახადო ვალდებულება. სხვაგვარად, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ბიუჯეტში 600 ლარით ნაკლები გადაიხდება, ვიდრე იქნა გაანგარიშებული ბუღალტრული მონაცემებით. სამი წლის განმავლობაში დაგროვდა 1.800 ლარის (600 \* 3) გადავადებული საგადასახადო ვალდებულების თანხა. მეოთხე და მეხუთე წელს სიტუაცია შეიცვალა – მოწობილობის საგადასახადო ბაზა აღემატება საბალანსო ღირებულებას, რის გამოც ბიუჯეტში მეტია გადასახდელი, ვიდრე ბუღალტრული მონაცემებით. ამ მდგომარეობამ გამოიწვია დავადგენილი ვალდებულების გამოყენება, ყოველწლიურად 900 ლარის ოდენობით. ხოლო მეხუთე წლის ბოლოსათვის სრულად იქნა ამოწურული 1.800 ლარის დავადგენილი საგადასახადო ვალდებულება.

საჟურნალო გატარებებისათვის მოვამზადოთ ინფორმაცია ბიუჯეტში შესატანი გადასახადის, დავადგენილი ვალდებულებისა და სააღრიცხვო ხარჯის შესახებ (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი 9

მოგებიდან გადასახადები (ლარი)

მაჩვენებლები	1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	18.750	18.750	18.750	20.250	20.250
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (აქტივი)	600	600	600	(900)	(900)
მოგების გადასახადის ხარჯი	19.350	19.350	19.350	19.350	19.350

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების დარიცხვა აისახება შემდეგი გატარებებით:

წ.	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		18.750
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	18.750
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		600
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		4210	600
გადავადებული საგადასახადო ვალდებულების სიდიდით სააღრიცხვო მოგების გადასახადის ხარჯის გაზრდა				
2	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		18.750
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	18.750
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		600
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		4210	600
გადავადებული საგადასახადო ვალდებულების სიდიდით სააღრიცხვო მოგების გადასახადის ხარჯის გაზრდა				
3	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		19.350
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	19.350
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		600
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		4210	600
გადავადებული საგადასახადო ვალდებულების სიდიდით სააღრიცხვო მოგების გადასახადის ხარჯის გაზრდა				

4	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		20.250
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	20.250
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	4210		900
5	მოგების გადასახადის ხარჯი		9210	900
	საგადასახადო ხარჯის შემცირება გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ხარჯზე (ვალდებულების გამოყენება/დაფარვა)			
	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		20.250
5	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		20.250
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	20.250
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	4210		900
5	მოგების გადასახადის ხარჯი		9210	900
	საგადასახადო ხარჯის შემცირება გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ხარჯზე (ვალდებულების გამოყენება/დაფარვა)			
	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		20.250

მაგალითი 10.

საწარმოს მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლებაზე ხუთი წლის განმავლობაში უცვლელია და შეადგენს 135.000 ლარს. დანადგარს, რომლის თვითღირებულებაა 30.000 ლარი, ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სააღრიცხვო მიზნების სიდიდით სააღრიცხვო მოგების გადასახადის ხარჯის გაზრდა

განვსაზღვროთ: 1) აქტივის სააღრიცხვო და საგადასახადო ბაზა; 2) მოგების გადასახადის ხარჯი.

ცხრილი 10

სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის (ლარი)

მაჩვენებლები	წ ლ ე ბ ი				
	1	2	3	4	5
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება					
მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლებამდე	135.000	135.000	135.000	135.000	135.000
ცვეთის ხარჯი	10.000	10.000	10.000	0	0
მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლებით	125.000	125.000	125.000	135.000	135.000
მოგების გადასახადის პირობითი ხარჯი (15%)	18.750	18.750	18.750	20.250	20.250
საგადასახადო დეკლარაციის მონაცემები					
მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლებამდე	135.000	135.000	135.000	135.000	135.000
ცვეთის ხარჯი	6.000	6.000	6.000	6.000	6.000
მოგება ცვეთის ხარჯის გამოკლების შემდეგ	129.000	129.000	129.000	129.000	129.000
მიმდინარე მოგების გადასახადი (15%)	19.350	19.350	19.350	19.350	19.350

სხვაობების მიზეზი ცნობილია, ეს არის მოწოდებლობაზე განსხვავებული ცვეთის დარიცხვა, დავადგინოთ საბალანსო ღირებულება და საგადასახადო ბაზას შორის სხვაობები, მათი არსი და სიდიდე (იხ. ცხრილი 11).

**ცხრილი 11**  
**გადავადებული საგადასახადო ვალდებულების (აქტივის) გაანგარიშება (ლარი)**

მაჩვენებლები	წლის ბოლოს				
	1	2	3	4	5
საბალანსო ღირებულება	20.000	10.000	0	0	0
საგადასახადო ბაზა	24.000	18.000	12.000	6.000	0
სხვაობა	4.000	8.000	12.000	6.000	0
მოგების გადასახადის განაკვეთი	15%	15%	15%	15%	
გადავადებული საგადასახადო აქტივი	600	1.200 [600+600]	1.800 [1.200+600]	900 [1.800-900]	0 [900-900]

ცხრილიდან ირკვევა, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში საგადასახადო ბაზა აღემატება საბალანსო ღირებულებას 4.000 ლარით (24.000 – 20.000), რომელიც ტოლია იმ სიდიდისა რითაც სააღრიცხვო ცვეთის ხარჯი აღემატება საგადასახადო ცვეთის ხარჯს (10.000 – 6.000). ამან გამოიწვია ყოველწლიური დროებითი სხვაობა, რომლის გამრავლებით საგადასახადო განაკვეთზე მიიღება მიმდინარე წელს გადავადებული მოგების გადასახადი. სხვაგვარად, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად ბიუჯეტში 600 ლარით მეტია გადახდილი, ვიდრე იქნა გაანგარიშებული დაბეგვრამდელი ფინანსური მოგებიდან. სამი წლის განმავლობაში დაგროვდა 1.800 ლარის (600 \* 3) გადავადებული საგადასახადო აქტივი – წინასწარ გადახდილი თანხა. მეოთხე და მეხუთე წელს სიტუაცია შეიცვალა – აქტივის საბალანსო ღირებულება ნულის ტოლია, ანუ ბიუჯეტში ნაკლებია გადასახდელი, ვიდრე დაბეგვრამდელი ფინანსური მოგებიდან გაანგარიშებული მოგების გადასახადი. ამ მდგომარეობამ გამოიწვია გადავადებული საგადასახადო აქტივის (საგადასახადო კრედიტის) გამოყენება, მეოთხე და მეხუთე წელს, ყოველწლიურად 900 ლარის ოდენობით, მეხუთე წლის ბოლოსათვის სრულად იქნა ამოწურული 1.800 ლარის საგადასახადო აქტივი.

საშურონალო გატარებებისათვის მოვამზადოთ ინფორმაცია ბიუჯეტში შესატანი გადასახადის, გადავადებული ვალდებულებისა და სააღრიცხვო ხარჯის შესახებ (იხ. ცხრილი 12).

**ცხრილი 12**  
**მოგებიდან გადასახადები (ლარი)**

მაჩვენებლები	1 წელი	2 წელი	3 წელი	4 წელი	5 წელი
მიმდინარე მოგების გადასახადი	19.350	19.350	19.350	19.350	19.350
გადავადებული საგადასახადო აქტივი	(600)	(600)	(600)	900	900
მოგების გადასახადის ხარჯი	18.750	18.750	18.750	20.250	20.250

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების დარიცხვა აისახება შემდეგი გატარებებით:

წ.	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლ.	
1	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		19.350	
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	19.350	
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა				
	გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340		600	
	მოგების გადასახადის ხარჯი		9210	600	
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება და გადავადებული საგადასახადო აქტივის წარმოქმნა					
2	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		19.350	
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	19.350	
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა				
	გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340		600	
	მოგების გადასახადის ხარჯი		9210	600	
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება და გადავადებული საგადასახადო აქტივის წარმოქმნა					
3	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		19.350	
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	19.350	
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა				
	გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340		600	
	მოგების გადასახადის ხარჯი		9210	600	
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება და გადავადებული საგადასახადო აქტივის წარმოქმნა					

4	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		19.350
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	19.350
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		900
	გადავადებული საგადასახადო აქტივი		2340	900
	მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯის გაზრდა და გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენება			
5	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		19.350
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	19.350
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		900
	გადავადებული საგადასახადო აქტივი		2340	900
	მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯის გაზრდა და გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენება			

ამდენად, საგადასახადო ხარჯი ტოლია მიმდინარე მოგების გადასახადს მიმატებული გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ხარჯი და გამოკლებული გადავადებული საგადასახადო აქტივის ხარჯები (შემოსავალი).

$$\text{საგადასახადო ხარჯი} = \text{საგადასახადო მოგების გადასახადი} + \text{გადავადებული საგადასახადო ვალდებულება} - \text{გადავადებული საგადასახადო აქტივი}$$

**მაგალითი 11.**

საწარმოს პირველი ორი წლის მოგება საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარჯების გამოქვითვამდე შეადგენს 104.000 ლარს. მიმდინარე წელს კაპიტალდება საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ხარჯები 37.500 ლარის ოდენობით. ამ ხარჯების ამორტიზაციის წლიური თანხა შეადგენს 7.500 ლარს. საგადასახადო მიზნებისათვის ეს ხარჯები გამოიქვითება გაწვევის პერიოდში. მეორე წელს საწარმოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯების საბალანსო ღირებულების ჩამოწერა.

განგესაზღვროთ და ავსახოთ ბუღალტრული გატარებებით მიმდინარე მოგების გადასახადის, გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და საგადასახადო ხარჯის აღიარება.

**ცხრილი 13**

**გადავადებული მოგების გადასახადი (ლარი)**

მანევრები	1 წელი	2 წელი
მოგებისა და ზარალის ანბარიშვება		
მოგება ამორტიზაციის თანხის გამოკლებამდე	104.000	104.000
საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ამორტიზაცია	7.500	30.000
მოგება	96.500	74.000
მოგების გადასახადი (15%)	14.475	11.100
საბალანსო დეკლარაცია		
მოგება ამორტიზაციის თანხის გამოკლებამდე	104.000	104.000
საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ამორტიზაცია	37.500	0
მოგება	66.500	104.000
მოგების გადასახადი (15%)	9.975	15.600
ბალანსოვანი მოგების გადასახადი		
აქტივის საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს	30.000 (37.500-7.500)	0 (30.000-30.000)
აქტივის საგადასახადო ბაზა წლის ბოლოს	0	0
სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზას შორის	30.000 (30.000 - 0)	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება წლის ბოლოს	4.500 (30.000 *15%)	0

პირველ წელს აქტივის საბალანსო ღირებულება საგადასახადო ბაზაზე მეტია 30.000 ლარით, რის გამოც წარმოიქმნა გადავადებული საგადასახადო ვალდებულება (გადავადებული მოგების გადასახადი) 4.500 ლარის ოდენობით. ბიუჯეტში გადასახდელია 9.975 ლარი, ხოლო საგადასახადო ხარჯი შეადგენს 14.475 ლარს (9.975 + 4.500).

მეორე წელს აქტივის საბალანსო ღირებულება და საგადასახადო ბაზა ნულის ტოლია, სხვაობას არ აქვს ადგილი. ბიუჯეტში გადასახდელია 15.600 ლარი, გამოსაკეთი დროებითი სხვაობა აღმოიფხვრა და დაიხურა გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულების ანგარიში უკუგატარებით, საგადასახადო ხარჯი შეადგენს 11.100 ლარს (15.600 - 4.500). ორი წლის მოგების გადასახადის დარიცხვა აისახება შემდეგი გატარებებით:



წ.	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		9.975
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	9.975
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		4.500
	გადავადებული მოგების გადასახადი		4210	4.500
	საგადასახადო ხარჯის გაზრდა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნა			
2	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		15.600
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	15.600
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
	გადავადებული მოგების გადასახადი	4210		4.500
	მოგების გადასახადის ხარჯი		9210	4.500
	მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების გამოყენება			

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება საგადასახადო ზარალის შემთხვევაში, თუ კანონით ნებადართულია საგადასახადო ზარალის გამოქვითვა მომდევნო პერიოდში. **წინდახედულების პრინციპიდან** გამომდინარე, ზარალთან დაკავშირებული საგადასახადო აქტივის აღიარება უნდა დაექვემდებაროს განსჯას, რათა განისაზღვროს შეძლებს თუ არა საწარმო საგადასახადო ზარალის გამოყენებას.

**მაგალითი 12.**

საწარმომ მიმდინარე წელი დაასრულა ზარალით. ფინანსური და საგადასახადო ზარალი ცოლია და შეადგენს 25.000 ლარს. საწარმო მდებარეობს ისეთ ქვეყანაში, სადაც საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია ზარალის გამოქვითვა საანგარიშგებოს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში. წინასწარი განსჯის საფუძველზე საწარმო ვარაუდობს, რომ მომდევნო ხუთი წელი იქნება მომგებიანი და მიიღებს 20.000 ლარის მოგებას ხუთი წლის განმავლობაში.

**განვსაზღვროთ საწარმოს ზარალი.**

ასეთ სიტუაციაში საწარმო აღიარებს გადავადებულ საგადასახადო აქტივს 3.000 ლარის ოდენობით (20.000\*15%) და წლიური წმინდა ზარალი შეადგენს 22.000 ლარს (25.000-3.000).

დაეუშვათ, მომდევნო წელს საწარმომ მიიღო 7.000 ლარის მოგება (როგორც ფინანსური ისე საგადასახადო). მიმდინარე წელს მიღებული მოგება (7.000 ლარი) გამოიწვევს 1.050 ლარის (7.000\*15%) გადავადებული აქტივის გამოყენებას.

მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა არ მოხდება სანამ საწარმო არ ამოწურავს გადავადებულ საგადასახადო აქტივს ან არ ამოწურება შეღავათის გამოყენების ხუთწლიანი ვადა. თუ საწარმო ხუთი წლის განმავლობაში მიიღებს მოგებას 25.000 ლარზე მეტს, იგი არ კარგავს უფლებას არ გადაიხადოს მოგების გადასახადი იმ 5.000 ლარიდან, რომლის მიმართაც არ ყოფილა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი.

როდესაც აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება მისი თავდაპირველი საგადასახადო ბაზისაგან, ასეთი **სხვაობა არის მუდმივი** და მისი გადავადება არ ხდება. ასეთ შემთხვევაში საგადასახადო ბაზა უდრის საბალანსო ღირებულებას. ამის მაგალითებია წარმომადგენლობითი ხარჯების ზენორმატიული სიდიდე, არაეკონომიკური დანიშნულების ხარჯები, საბიუჯეტო ჯარიმები და სხვა. ამ მიზეზით წარმოქმნილი სხვაობა არ არის დროებითი, ის არასოდეს არ აღიარდება და არ ხდება მისი გადავადება.

**მაგალითი 13.**

საწარმოს მოკლევადიანი ვალდებულება მოიცავს 15.800 ლარის საბიუჯეტო ჯარიმას. მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

**განვსაზღვროთ ვალდებულების საგადასახადო ბაზა.**

ვინაიდან საბიუჯეტო ჯარიმა არ აღიარდება საგადასახადო ხარჯად, არის მუდმივი სხვაობა, მისი გადავადება არ ხდება, საგადასახადო ბაზა უტოლდება მის საბალანსო ღირებულებას და შეადგენს 15.800 ლარს.

როგორც წესი, გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში – გადავადებული მოგების გადასახადი ან ზრდის ან ამცირებს მოგების გადასახადის ხარჯს. მაგრამ, მიმდინარე გადასახადი და გადავადებული გადასახადი **პირდაპირ უნდა აისახოს საკუთარ კაპიტალში**, თუ გადასახადი უკავშირდება ისეთ ელემენტებს, რომლებიც პირდაპირ აისახება საკუთარ კაპიტალში ამავე ან სხვა საანგარიშგებო პერიოდში.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტები მოითხოვს, ან უშვებს გარკვეული ელემენტების პირდაპირ ასახვას, საკუთარი კაპიტალის დებეტის ან კრედიტის ნაწილში. მაგალითად:

ა) ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში გადაფასების შედეგად წარმოქმნილი ცვლილებები (ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“);

ბ) გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთების კორექტირების თანხები, რაც გამოწვეულია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების რეტროსპექტულად გამოყენების ან შეცდომების შესწორებით (ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“);

გ) საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება უცხოური ქვეგანყოფის ფინანსური ანგარიშების გადაანგარიშებისას საანგარიშგებო ვალუტაში (ბასს 21 „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“);  
და

დ) თანხები, რომლებიც წარმოიქმნება რთული ფინანსური ინსტრუმენტების საკუთარი კაპიტალის კომპონენტების თავდაპირველი აღიარების შედეგად.

აფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, რომელიც იქნება კომპენსირებული (ამოღებული) მომავალში. მაგრამ, აფასების ნამეტი საგადასახადო მიზნებისათვის არ იქნება აღიარებული, აფასებული აქტივის საგადასახადო ბაზად განიხილება აქტივის თავდაპირველი თვითღირებულება. ამიტომ გადაფასებით წარმოიქმნება საგადასახადო ეფექტი, რომელიც წარმოქმნის დროებით სხვაობას კაპიტალის მუხლთან კორესპონდენციაში.

**მაგალითი 14.**

წინა წელს საწარმომ მოახდინა მოწყობილობის აფასება 50.000 ლარით. აფასების თანხა საგადასახადო მიზნებისათვის არ აღიარდება. მიმდინარე წლის ბოლოსათვის გადავადებული საგადასახადო ვალდებულებამ შეადგინა 5.000 ლარი. მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

**განვსაზღვროთ:**

1) განვსაზღვროთ გადავადებული მოგების გადასახადი;

2) ავსახოთ საჭურნალო გატარებებით გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება და დაფარვა.

რადგან აფასება არ აღიარდება საგადასახადო მიზნებისათვის, წარმოიქმნება დროებითი დასაბეგრი სხვაობა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება 7.500 ლარის ოდენობით (50.000 \* 15%).

მოწყობილობის ექსპლუატაციის პერიოდში, ცვეთის ხარჯის აღიარების კვალობაზე, სხვაობა შემცირდება და სრული ამორტიზაციის შემდეგ საბალანსო ღირებულება და საგადასახადო ბაზა ნულის ტოლი იქნება. იმის მიხედვით, თუ როგორია ცვეთის დარიცხვის სააღრიცხვო და საგადასახადო განაკვეთი, აქტივი იქნება სრულად ამორტიზებული ჯერ ერთ ანგარიშგებაში, ხოლო გარკვეული პერიოდის შემდეგ – მეორეში. სხვაობის შემცირების კვალობაზე, გადავადებული გადასახადი უნდა დაკორექტირდეს. მოცემული საგადასახადო ვალდებულება იყო აღიარებული კაპიტალის მუხლთან კორესპონდენციით, ამიტომ ვალდებულების დაფარვა უნდა დაკორექტირდეს კაპიტალით, და არა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებით. ვინაიდან ვალდებულება წლის ბოლოს შეადგენს 5.000 ლარს, ვალდებულების შემცირება 2.500 ლარით (7.500 - 5.000) უნდა იქნეს კორექტირებული კაპიტალის მუხლით – გადაფასების რეზერვით.

აფასება, გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება და დაფარვა აისახება შემდეგი გატარებებით:

წ.	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	მანქანა-დანადგარები	2150		50.000
	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		5420	50.000
	მოწყობილობის აფასება			
1	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5420		7.500
	გადავადებული მოგების გადასახადი		4210	7.500
	გადავადებული საგადასახადო ვალდებულების აღიარება			
2	გადავადებული მოგების გადასახადი	4210		2.500
	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		5420	2.500
	ვალდებულების კორექტირება (შემცირება) კაპიტალის მუხლით			

**მაგალითი 15.**

საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგება და მოგების გადასახადის დეკლარაცია წარმოდგენილი ცხრილში (იხ. ცხრილი 14).

**ცხრილი 14**  
**მოგებისა და ზარალის ანგარიშგება**  
**და მოგების გადასახადის დეკლარაცია**  
**(ლარი)**

მაჩვენებლები	მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	საგადასახადო დეკლარაცია
შემოსავალი	300.000	300.000
მოწოდებლობების ცვეთის ხარჯი	70.000	35.000
შენობის ცვეთის ხარჯი	10.000	9.200
შენობის რემონტის ხარჯი	0	15.000
საეჭვო ვალების ანარიცხების ხარჯი	30.000	0
საბიუჯეტო ჯარიმები	5.000	0
<b>სულ ხარჯი</b>	<b>115.000</b>	<b>59.200</b>
მოგება დაბეგრამდე	185.000	240.800
მოგების გადასახადი (15%)		36.120
წმინდა მოგება		

საწარმოს სააღრიცხვო და საგადასახადო ბალანსი წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხრილი 15).

**ცხრილი 15**  
**სააღრიცხვო და საგადასახადო ბალანსი**  
**(ათასი ლარი)**

საბალანსო მუხლი	საბალანსო ლირ.	საგადასახადო ბაზა	დროებითი სხვაობა	
			დასაბეგრი	გამოსაქვითი
ძირითადი საშუალებები				
მიწის ნაკვეთი <sup>1</sup>	600	400	200	
შენობა <sup>2</sup>	500	485,8	14,2	
მოწოდებლობები <sup>3</sup>	700	550	150	
<b>სულ</b>	<b>1.800</b>			
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	180	180		
მოთხოვნები მიწოდებლებიდან <sup>4</sup>	160	190		30
ფულადი სახსრები	50	50		
<b>სულ</b>	<b>390</b>			
<b>სულ აქტივები</b>	<b>2.190</b>			
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	800	800		

გადაფასების რეზერვი <sup>1</sup>	200	200		
გაუნაწილებელი მოგება	450	450		
სულ კაპიტალი	1.450			
ვალდებულებები				
გრძელვადიანი				
ბანკის სესხი	150	150		
გადავადებული მოგების გადასახადი	20	20		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	170			
მოკლევადიანი				
კრედიტორული დაფალიანება	340	340		
დარიცხვები <sup>5</sup>	230	130		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	570			
სულ ვალდებულებები	740			
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2.190		364,2	30

**დამატებითი ინფორმაცია საწარმოს შესახებ:**

1. აფასებულია მიწის ნაკვეთი, რაც აისახა გადაფასების რეზერვის ანგარიშზე. წარმოიქმნა დასაბეგრი დროებითი სხვაობა, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალთან და არა მოგება-ზარალთან;

2. შენობას ჩაუტარდა 25.000 ლარის სარემონტო სამუშაოები, საიდანაც 15.000 ლარი იქნა აღიარებული საგადასახადო ხარჯად, ხოლო ფინანსურ აღრიცხვაში ეს ხარჯი სრულადაა კაპიტალიზებული. შენობის ცვეთის ხარჯი სააღრიცხვო მიზნებისათვის შეადგენს 10.000 ლარს, ხოლო საგადასახადო მიზნებისათვის – 9.200 ლარს. წლის დასაწყისისათვის მოწოდებლობების საბალანსო ღირებულება და საგადასახადო ბაზა შეადგენდა 485.000 ლარს. ამ მონაცემების საფუძველზე გავიანგარიშეთ შენობის საბალანსო და საგადასახადო ღირებულება, რაც შეადგენს (იხ. ცხრილი 16).

**ცხრილი 16**  
**შენობის საბალანსო და საგადასახადო ღირებულება (ლარი)**

მაჩვენებლები	საბალანსო ღირებულება	საგადასახადო ბაზა
ნაშთი წლის დასაწყისში	485.000	485.000
ცვეთის ხარჯი	(10.000)	(9.200)
კაპიტალური რემონტი	25.000	10.000
ნაშთი წლის ბოლოს	500.000	485.800

3 მოწყობილობებს ცვეთა ერიცხება განსხვავებულად სააღრიცხვო და საგადასახადო მიზნებისათვის, რის გამოც წარმოიქმნა დასაბეგრი დროებითი სხვაობა 150.000 ლარის ოდენობით;

4 მოთხოვნების სხვაობა გამოწვეულია უიმელო ვალების ანარიცხების არსებობით. კერძოდ, ანარიცხების საწყისი ნაშთის სიდიდეა 10.000 ლარი, მიმდინარე წელს უიმელო ვალების ხარჯმა შეადგინა 30.000 ლარი, ხოლო საბოლოო ნაშთმა – 40.000 ლარი. მოთხოვნების საბალანსო (წმინდა) ღირებულება შეადგენს 160.000 ლარს. საგადასახადო მიზნებისათვის აღნიშნული ანარიცხების ხარჯი არ აღიარდება და მოთხოვნების საგადასახადო ბაზა იქნება 190.000 ლარი (160.000 + 30.000), წარმოიქმნა გამოსაქვითი სხვაობა 30.000 ლარის ოდენობით;

5. დარიცხული ვალდებულება მოიცავს ბიუჯეტში გადასახდელ ჯარიმებს და საგადასახადო კანონმდებლობით გაანგარიშებულ ზენორმატიულ საპროცენტო ხარჯს. ეს არის მუდმივი სხვაობა, მისი გადავადება არ ხდება და საგადასახადო ბაზა უტოლდება საბალანსო ღირებულებას.

განვსაზღვროთ გადავადებული მოგების გადასახადი (იხ. ცხრილი 17).

**ცხრილი 17**  
**გადავადებული მოგების გადასახადი**  
**(ათასი ლარი)**

მაჩვენებელი	დროებითი სხვაობა	გადასახადის განაკვეთი	გადავადებული გადასახადი
გადავადებული საგადასახადო აქტივი	30	15%	4,5
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება: მოგება-ზარალში ასახული კაპიტალში ასახული	164,2	15%	24,63
	200	15%	30

- განვსაზღვროთ სააღრიცხვო და მიმდინარე მოგების გადასახადი, საწარმოს წმინდა მოგება მიმდინარე მოგების გადასახადი შეადგენს 36.120 ლარს (240.800 \* 15%);
- სააღრიცხვო მოგების გადასახადის ხარჯი გაიანგარიშება ფორმულით:

$$\begin{aligned} & \text{საგადასახადო ხარჯი} = \\ & = 36.120 + 24.630 - 4.500 = 56.250 \text{ ლარი;} \end{aligned}$$

- წმინდა მოგება შეადგენს: სააღრიცხვო მოგება დაბეგვრამდე – მოგების გადასახადის ხარჯი = 185.000 – 56.250 = 128.750

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების დარიცხვა აისახება შემდეგი გატარებებით:

წ.	ანგარიშის დასახელება და ოპერაციის შინაარსი	დებეტი	კრედიტი	ლარი
1	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		36.120
	მიმდინარე მოგების გადასახადი		3310	36.120
	მიმდინარე მოგების გადასახადის დარიცხვა			
2	გადავადებული საგადასახადო აქტივი	2340		4.500
	მოგების გადასახადის ხარჯი		9210	4.500
	მოთხოვნების დროებითი სხვაობიდან მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება და გადავადებული საგადასახადო აქტივის წარმოქმნა (30.000 * 15%)			
3	მოგების გადასახადის ხარჯი	9210		24.630
	გადავადებული მოგების გადასახადი		4210	24.630
	შენიშნისა და მოწყობილობების დროებითი სხვაობით მოგების გადასახადის ხარჯის ზრდა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნა (164.200 * 15%)			
4	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	5420		30.000
	გადავადებული მოგების გადასახადი		4210	30.000
	მიწის აფასების ნამეტნ გადავადებული საგადასახადო ვალდებულების წარმოქმნა (200.000 * 15%)			

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა საწარმოს შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ა) საწარმოს იურიდიული უფლება აქვს მიმდინარე საგადასახადო აქტივებით გადაფაროს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები, ანუ აღიარებული თანხების ჩათვლას მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობა; და
- ბ) მოგებიდან გადასახადთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები დაკავშირებულია მოგებიდან გადასახადთან, რომელსაც ერთი და იგივე საგადასახადო ორგანო განსაზღვრავს :

- I) ერთი და იმავე გამამხდელისათვის, ან
- II) სხვადასხვა გამამხდელისათვის, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები დაფარონ განაშთების საფუძველზე ან მოახდინონ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად ყოველ მომდევნო პერიოდში, რომელშიც მოსალოდნელია გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების მნიშვნელოვანი თანხების დაფარვა ან ანაზღაურება.

## განმარტავები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) ძირითადი კომპონენტები ცალ-ცალკე უნდა აისახოს:

- მიმდინარე საგადასახადო ხარჯი (შემოსავალი);

- მიმდინარე საგადასახადო პერიოდში აღიარებული წინა საანგარიშგებო პერიოდების მიმდინარე გადასახადების ნებისმიერი კორექტირება;

- დროებითი სხვაობების წარმოქმნასა და ამოწურვასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) თანხა;

- საგადასახადო განაკვეთის ცვლილებასთან ან ახალი გადასახადების წარმოქმნასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) თანხა;

- წინა საანგარიშგებო პერიოდებში აუღიარებელ საგადასახადო ზარალთან, საგადასახადო შეღავათებსა და დროებით სხვაობებთან დაკავშირებით წარმოქმნილი შეღავათის თანხა, რომელიც გამოიყენება მიმდინარე საგადასახადო ხარჯის შესამცირებლად;

- წინა საანგარიშგებო პერიოდებში აუღიარებელ საგადასახადო ზარალთან, საგადასახადო შეღავათებსა და დროებით სხვაობებთან დაკავშირებული თანხა, რომელიც გამოიყენება გადავადებული საგადასახადო ხარჯის შესამცირებლად;

- გადავადებული საგადასახადო ხარჯი, რომელიც წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივის ჩამოწერის ან ადრე ჩამოწერილი თანხის აღდგენის შემდეგ; და

- საგადასახადო ხარჯის (შემოსავლის) თანხა, რომელიც უკავშირდება ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში და შეცდომებს და ბასს 8-ით გათვალისწინებულია მათი საან-

გარიშგებო პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ჩართვა, რადგან არ ხდება მათი რეტროსპექტულად აღრიცხვა.

ასევე ცალკე უნდა აისახოს შენიშვნებში შემდეგი ინფორმაცია:

- მიმდინარე და გადავადებული გადასახადის მთლიანი თანხა იმ ელემენტებისათვის, რომლებიც ასახულია საკუთარ კაპიტალში;

- განმარტება საგადასახადო ხარჯსა (შემოსავალს) და საბალანსო მოგებას შორის არსებული თანაფარდობის შესახებ;

- გამოყენებული საგადასახადო განაკვეთის ცვლილებების შედარება წინა საანგარიშგებო პერიოდთან და შესაბამისი განმარტება;

- გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანხები (მათი ამოწურვის თარიღი), გამოყენებული საგადასახადო ზარალისა და გამოყენებული საგადასახადო კრედიტის თანხები, რომელთათვისაც ბალანსში აღიარებული არ არის გადავადებული საგადასახადო აქტივი;

- იმ დროებითი სხვაობების მთლიანი თანხა, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში, ფილიალებში, მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობას და რომელთათვის გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები არ არის აღიარებული;

- გამოყენებული საგადასახადო ზარალისა და გამოყენებული საგადასახადო კრედიტის თანხები ორივე ტიპის დროებითი სხვაობისათვის ერთად და ცალ-ცალკე;

- მოგებიდან გადასახადის თანხაზე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე საწარმოს დამფუძნებლებისათვის შეთავაზებული ან მომცხადებული დივიდენდების გავლენა, როცა ჯერ არ მომხდარა მათი ვალდებულების სახით ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

## АНОТАЦИЯ

### УЧЕТ НАЛОГОВ НА ПРИБЫЛЬ

ассоциированный профессор Тбилисского государственного университета им.И.Джавахишвили  
Надежда Кваташидзе

В статье рассмотрены различия учетного и налогооблагаемого налога на прибыль, вопросы необходимости определения чистой прибыли по учетному налогу на прибыль. Особенное внимание уделено причинам различий учетной и налоговой прибыли, определения временных и постоянных различий и отложенным налогам в соответствии с МСФО 12. Показан порядок определения, оценки и признания отложенных налоговых активов и отложенных налоговых обязательств, а также финансовый учет отложенных налогов.

# როგორ სრულყოფთ ძირითადი საშუალებების სვეტისა და საამორტიზაციო ანარჩის ხარისხების განსაზღვრის მეთოდოლოგია



საამორტიზაციო ანარჩები ეკლავანრომობით პროცესში ძირითადი საშუალებების მონაწილეობის შედეგად მათი თავდაპირველი ღირებულების გაცვეთილი ნაწილის თანხობრივი გამოხატულებაა, რომელიც გამოიყოფა საწარმოს შემოსავლებიდან, იგი გამიზნულია ძირითადი საშუალებების ნაწილობრივი, ან სრული აღდგენისათვის.

საამორტიზაციო ანარჩები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სამეურნეო სუბიექტის თვითდაფინანსების უნარს. თავის მხრივ, ამ ანარჩების სიდიდე (და, შესაბამისად, თვითდაფინანსების უნარი) დამოკიდებულია როგორც ძირითადი საწარმოო ფონდების თავდაპირველ ღირებულებაზე და მათ სახეობრივ სტრუქტურაზე (ფონდების აქტიური ნაწილის ხვედრით წილზე), ასევე საამორტიზაციო პოლიტიკაზე და ამორტიზაციის დარიცხვის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ძირითად საშუალებათა ცვეთისა და საამორტიზაციო ანარჩების გაანგარიშების მეთოდის სიზუსტესა და სრულყოფილებას. საქმე იმაშია, რომ იგი უშუალო კავშირში იმყოფება სამეურნეო სუბიექტის საკუთარი საინვესტიციო რესურსებით უზრუნველყოფასთან.

საწარმოს გრძელვადიანი და ეკონომიკური სარგებლის მომტანი აქტივების მომსახურების პერიოდში ცვეთის თანხის განსაზღვრა-განაწილებისა და საინვესტიციო-სარეზერვაციო სახსრების ფორმირებისთვის, საადრიცხოვო მეცნიერება, (საერთაშორისო სტანდარტებზე (ბასს-ზე) დაყრდნობით), იყენებს ძირითადი საშუალებების ცვეთის ჩამოწერისა და ამორტიზაციის დარიცხვის ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულ რამდენიმე მეთოდს:

- ამორტიზაციის დარიცხვის (ღირებულების ჩამოწერის) წრფივი მეთოდი;
- წარმოებული პროდუქციის მოცულობის და გამომუშავებული დროის (მწარმოებლურობის) პროპორციულად ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი;
- ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების წლების რიცხვითა ჯამის პროპორციულად ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი;
- შემცირებადი ნაშთისა და გაორმაგებული ნორმის მიხედვით ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი.

ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი, აგრეთვე, წარმოებული პროდუქციის, ან გამომუშავებული დროის (მწარმოებლურობის) პროპორციულად დარიცხვის მეთოდი, შედარებით „ხანდაზმული“, მარტივი და ადვილად გამოსათვლელი მეთოდებია.

წრფივი მეთოდის გამოყენებისას ცვეთისა და ამორტიზაციის წლიური თანხის გაანგარიშება ხდება თანაბარზომიერად – ძირითადი საშუალებების „ცვეთადი ღირებულების“ აქტივის სასარგებლო მომსახურების პერიოდზე (წელთა რაოდენობაზე) გაყოფით:

$$აწლ = ცლ/მპ$$

აწლ – ამორტიზაციის წლიური თანხა;

ცლ – ცვეთადი ღირებულება;

მპ – მომსახურების პერიოდი.

წარმოებული პროდუქციის მოცულობის, ან გამომუშავებული დროის (მწარმოებლურობის) პროპორციულად ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ითვალის-წინებს ძირითად საშუალებებზე ამორტიზაციის დარიცხვას მათი სასარგებლო გამოყენების პერიოდში შექმნილი პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ან გამომუშავებული დროის (მანქანა-საათი, დაზგა-საათი და ა.შ.) მიხედვით. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თავდაპირველად წარმოებს გამომუშავებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს, ან ნამუშევარი დროის ერთეულზე ე.წ. ამორტიზაციის კოეფიციენტის გამოთვლა, ხოლო, შემდეგ – ყოველწლიურად დასარიცხი ამორტიზაციის თანხის გამოსაზღვრა.

ამორტიზაციის კოეფიციენტი (ნორმა) გამოითვლება ფორმულით:

1 ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების (აქტივის) ღირებულება, რომელიც მიიღება მისი პირვანდელი ღირებულებიდან (თვითღირებულებიდან) სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით (ცვეთადი ღირებულება= პირვანდელი ღირებულება – სალიკვიდაციო ღირებულება).

ამორტიზაციის კოეფიციენტი =

$$= \frac{\text{ცვეთადი ღირებულება (ცვ)}}{\text{აქტივების მწარმოებლურობა მთელ პერიოდში}}$$

მაგალითისთვის, დაუშვათ, რომ 4-წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე დაზღვა-დანადგარის პირვანდელი ღირებულება (პღ) შეადგენს 33000 ლარს, სალიკვიდაციო ღირებულება (სღ) - 3000 და ცვეთადი ღირებულება (ცღ) 30000 ლარს, ხოლო მის მიერ მომსახურების პირველ წელს გამოშვებული დეტალების რაოდენობა (მ) იქნება 28000, მეორე წელს - 30000, მესამე წელს - 26000, მეოთხე წელს - 16000, სულ მთლიანი რაოდენობა (M) - 100000 დეტალი.

განსახილველი მეთოდის არსიდან გამომდინარე, ამორტიზაციის კოეფიციენტი (კა) ანუ მომსახურების მთელ პერიოდში (მპ) 1 დეტალის დამზადებაზე დახარჯული აქტივის ღირებულება გაიანგარიშება:

$$კა = \text{ცვ} / M = 30000 / 100000 = 0,30 \text{ ლარი}$$

შესაბამისად, დახარცი ამორტიზაციის თანხა წლების მიხედვით იქნება: პირველ წელს - 8400ლ (28000\*0,30), მეორე წელს - 9000ლ (30000\*0,30), მესამე წელს - 7800 (26000\*0,30) მეოთხე წელს - 4800 (16000\*0,30), სულ - 30000 ლარი. ანალოგიური წესით ხდება შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და გამოშვებული დროის რაოდენობის მიხედვით საამორტიზაციო ანარიცხების თანხის გაანგარიშებაც.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მეთოდი გონივრული და საყურადღებოა იმით, რომ იგი ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის თანხას განსაზღვრავს არა უბრალოდ აქტივის ექსპლუატაციის პროცესში ყოფნის პერიოდის, არამედ მისი გამოყენების დონის (ხარისხის) და შედეგიანობის მიხედვით.

ამორტიზაციის დარიცხვის მესამე და მეოთხე მეთოდები დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდებია, რომელთა ძირითადი არსი მდგომარეობს ძირითად საშუალებებზე ექსპლუატაციის პირველ წლებში უფრო მეტი საამორტიზაციო თანხის დარიცხვაში.

რიცხვთა ჯამის მეთოდით დახარცი ამორტიზაციის თანხის (ა) გამომგარიშება წარმოებს ამორტიზებადი ძირითადი აქტივების ცვეთადი ღირებულების გამრავლებით მისი სასარგებლო გამოყენების პერიოდის დარჩენილი წლების რაოდენობაზე და მიღებული ნამრავლის მომსახურების პერიოდის წლების რიცხვთა ჯამზე გაყოფით. იგი გამოისახება ფორმულით:

$$ა = \frac{\text{ცვ} * \text{დარჩენილი წლების რაოდენობა}}{\text{პერიოდის წლების რიცხვთა ჯამზე}}$$

ფორმულირების შესაბამისად, ზემოთ მოტანილ მაგალითში დაზღვის სასარგებლო გამოყენების პერიოდის წლების რიცხვთა ჯამი უდრის 10-ს (1+2+3+4), ხოლო მომსახურების პერიოდის დარჩენილი წლების რაოდენობა (დასაწყისიდან შემდგომ) იქნება: პირველ წელს - 4, მეორე წელს - 3, მესამე წელს - 2 და მეოთხე წელს - 1. ძირითად საშუალებაზე დახარცი ამორტიზაციის თანხის სიდიდე კი წლების მიხედვით იქნება: პირველ წელს - 12000 ლარი (30000\*4/10), მეორე წელს - 9000ლ (30000\*3/10) ; მესამე წელს - 6000ლ (30000\*2/10), ხოლო მეოთხე წელს - 3000ლ (30000\*1/10), სულ დარიცხული ამორტიზაციის თანხა - 30000 ლარი.

საამორტიზაციო ანარიცხების გაანგარიშების რიცხვთა ჯამის მეთოდი საკმაოდ ზუსტი მეთოდია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ ამორტიზაციის დარიცხვა მოხდეს რეგრესიის წესით (საამორტიზაციო თანხის თანდათანობითი შემცირებით).

ეს მეთოდი ამართლებს დაჩქარებული ამორტიზაციისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ აუციელებელ პირობას, რომ ყოველ მომდევნო წელს დარიცხული ამორტიზაცია ნაკლები უნდა იყოს წინა წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხაზე, ხოლო, მომსახურების მთელ პერიოდზე (ყველა წელს) დარიცხული საამორტიზაციო ანარიცხების ჯამი სრულად უნდა შეესაბამებოდეს (ეტოლებოდეს) ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულების მაჩვენებელს.

შემცირებადი ნაშთისა და გაორმაგებული ნორმის მეთოდის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ამორტიზაციის დარიცხვა ამორტიზებად აქტივზე ხდება წრფივი მეთოდით დადგენილი ამორტიზაციის ნორმის გაორმაგებული ოდენობით. ამ მეთოდის დროსაც, წინა წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხა მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს მომდევნო პერიოდში დარიცხული თანხის სიდიდეს. თუმცა, წინა მეთოდისგან განსხვავებით, იგი ვერ უზრუნველყოფს ცვეთადი ღირებულების საექსპლუატაციო წლების მიხედვით სრულად განაწილებას, რაც საამორტიზაციო ანარიცხების შესახებ არასწორ მაჩვენებელთა მიღებისა და მონაცემთა დამახინჯების პირობებს ქმნის.

ამ მეთოდისთვის დამახასიათებელი მთავარი ნაკლოვანი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულების სრულად განაწილებას, რის გამო პერიოდის ბოლოსათვის მიიღება „გაუნაწილებელი ამორტიზაცია“, რომ მომსახურების პერიოდის ბოლო წლისთვის დარჩენილი ცვეთადი ღირებულების თანხა მეტია წინა წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხაზე და მომსახურების მთელი პერიოდის მანძილზე დარიცხული საამორტიზაციო ანარიცხების ჯამი არ ედრება ძირითადი საშუალების ცვეთადი ღირებულების მაჩვენებელს (ადგილი აქვს გაცვეთილი ღირებულების გარკვეული ნაწილის აუნახდაურებლობას).

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის განსახილველი მეთოდის დამახასიათებელი ნაკლოვანებები განვიხილოთ კონკრეტული მაგალითით.

ვთქვათ, 105000 ლარის პირვანდელი ღირებულების (პლ), ანუ, თვითღირებულების მქონე ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების პერიოდის ხანგრძლივობა (მპ) შეადგენს 5 წელს, ხოლო, მისი სალიკვიდაციო ღირებულება (სლ) განსაზღვრულია 5000 ლარის ოდენობით.

ძირითადი აქტივის ცვეთადი ღირებულება (ცლ) ტოლი იქნება:

$$ცლ = პლ - სლ = 105000 - 5000 = 100000 \text{ ლ.}$$

დაჩქარებული ამორტიზაციის გაორმაგებული ნორმისა და კლებადი ნაშთის მოქმედი მეთოდის მიხედვით დასარიცხი ამორტიზაციის თანხა (ა) წლების მიხედვით იქნება:

- I წელი:  $a_1' = 100000 \times 0,4(40\%) = 40000 \text{ ლ}$
- II წელი:  $a_2' = (100000 - 40000) \times 0,4 = 24000 \text{ ლ}$
- III წელი:  $a_3' = (60000 - 24000) \times 0,4 = 14400 \text{ ლ}$
- IV წელი:  $a_4' = (36000 - 14400) \times 0,4 = 8640 \text{ ლ}$
- V წელი:  $a_5' = (21600 - 8640) \times 0,4 = 5184 \text{ ლ}$

$$\sum a_5 = 92224 \text{ ლ}$$

მაშასადამე, გაუნაწილებელი ამორტიზაციის (გა) თანხა შეადგენს 7776 ლარს (100000-92224), ხოლო, მომსახურების ბოლო წლისათვის ცვეთადი ღირებულების ნაშთი (დაურიცხავი ამორტიზაციის თანხა) უდრის 12960 ლარს. ანუ, მე-4 წელს დარიცხული ამორტიზაციის თანხაზე 1,5-ჯერ მეტს. ეს კი ცხადად მიუთითებს განსახილველი მეთოდის ზემოხსენებული ნაკლოვანების რეალურობაზე.

აღსანიშნავია, რომ ამ ნაკლოვანებათა კოსმეტიკის, თუ გარკვეული „რეაბილიტაციის“ მიზნით, თითქმის ყველა სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომებში, სადაც განხილულია ამორტიზაციის დარიცხვის საკითხი, ცვეთადი ღირებულების გაუნაწილებელი ნაშთი (გაუნაწილებელი ამორტიზაცია) მექანიკურად მიკუთვნებულია ბოლო წლის საამორტიზაციო თანხაზე, ამის გამო იგი ბევრად აღემატება წინა წლის ამორტიზაციის თანხას, რაც დაუშვებელია. საქმე იმაშია რომ გაანგარიშების მეთოდი დაფუძნებულია კლებადი საამორტიზაციო ანარიცხების პრინციპზე.

მიგვაჩნია, რომ დაჩქარებული ამორტიზაციის გაორმაგებული ნორმისა და კლებადი ნაშთის მეთოდით საამორტიზაციო თანხის გაანგარიშების მეთოდიკა ატარებს „ნახევარფაბრიკატულ“ ხასიათს, რომლის მიხედვით გაანგარიშებული ამორტიზაციის თანხები წარმოადგენს არა დაზუსტებულ და რეალურ, არამედ, მხოლოდ მიახლოებით სიდიდეებს.

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისა და მრავალჯერადი ანალიზის საფუძველზე მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ მოქმედი მეთოდის მიხედვით გამოანგარიშებული საამორტიზაციო თანხების დაზუსტებისთვის საჭიროა,

პირველ რიგში, დავადგინოთ ე.წ. საამორტიზაციო ცდომილების კოეფიციენტი (კც), ხოლო შემდეგ, ამ კოეფიციენტის მეშვეობით, გამოვიანგარიშოთ მომსახურების პერიოდის ცალკეული მონაკვეთის (წლების) მიხედვით ე.წ. შემასწორებელი (მაკორექტირებელი) საამორტიზაციო თანხები.

გამოთვლის პროცესი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. საამორტიზაციო ცდომილების კოეფიციენტი (კც) განისაზღვრება გაუნაწილებელი ამორტიზაციის თანხის (გა) გაყოფით მომსახურების მთელ პერიოდში მოქმედი მეთოდით დარიცხულ ამორტიზაციის მთლიან თანხაზე (და), ე.ი.

$$კც = \frac{გა}{და}$$

ზემოთ განხილული პრაქტიკული მაგალითის მიხედვით, გაუნაწილებელი ამორტიზაციის თანხა (გა) შეადგენს 7776 ლარს, ხოლო, მთლიანი დარიცხული ამორტიზაცია (და) – 92224 ლარს. მაშასადამე:

$$კც = \frac{7776}{92224} \approx 0,0843 \quad კც = 0,0843$$

2. საამორტიზაციო ცდომილების კოეფიციენტის განსაზღვრის შემდეგ, ჩვენს მიერ რეკომენდებული მეთოდის თანახმად, შეგვიძლია გავიანგარიშოთ ე.წ. შემასწორებელი (მაკორექტირებელი) საამორტიზაციო თანხა (Δა), რომელიც ფაქტობრივად გულისხმობს გაუნაწილებელი ამორტიზაციის თანხიდან მომსახურების ყოველ წელზე შესაბამისი წილის მიკუთვნებას. ეს ხორციელდება წლების მიხედვით უკვე დარიცხული ამორტიზაციის თანხების (ა<sub>1</sub>' , ა<sub>2</sub>' და ა.შ) საამორტიზაციო ცდომილების კოეფიციენტზე (კც) თანმიმდევრული გადამრავლებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემასწორებელი საამორტიზაციო თანხები მომსახურების წლების მიხედვით იქნება:

- I წელი:  $\Delta a_1 = a_1' \times კც = 40000 \times 0,0843 = 3373 \text{ ლ.}$
- II წელი:  $\Delta a_2 = a_2' \times კც = 24000 \times 0,0843 = 2024 \text{ ლ.}$
- III წელი:  $\Delta a_3 = a_3' \times კც = 14400 \times 0,0843 = 1214 \text{ ლ.}$
- IV წელი:  $\Delta a_4 = a_4' \times კც = 8640 \times 0,0843 = 728 \text{ ლ.}$
- V წელი:  $\Delta a_5 = a_5' \times კც = 5184 \times 0,0843 = 437 \text{ ლარი}$

$$\sum \Delta a_5 = 7776 \text{ ლარი}$$

როგორც ვხედავთ, საამორტიზაციო ცდომილების კოეფიციენტის მეშვეობით გაანგარიშებული შემასწორებელი საამორტიზაციო თანხების ჯამი აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა ე.წ. გაუნაწილებელი ამორტიზაციის სიდიდეს.

3. ამის შემდეგ შესაძლებლობა გვაქვს კორექტირება გავუკეთოთ მომსახურების წლების მიხედვით ძირითად აქტივზე მისაკუთვნებელი (რეალურად დასარიცხი) საამორტიზაციო თანხების სიდიდეს, რომელიც ტოლი იქნება:



- I წელი:  $s_1 = s_1' + \Delta s_1 = 40000 + 3373 = 43373$  ლ.
- II წელი:  $s_2 = s_2' + \Delta s_2 = 24000 + 2024 + 26024$  ლ.
- III წელი:  $s_3 = s_3' + \Delta s_3 = 14400 + 1214 = 15614$  ლ.
- IV წელი:  $s_4 = s_4' + \Delta s_4 = 8640 + 728 = 9368$  ლ.
- V წელი:  $s_5 = s_5' + \Delta s_5 = 5184 + 437 = 5621$  ლ.

სულ = 100000 ლ.

მაშასადამე, აქედან უკვე ნათლად ჩანს, რომ ახალი მეთოდის მეშვეობით დარიცხული ამორტიზაციის ჯამური სიდიდე უსუსტად ემთხვევა ამორტიზირებადი ძირითადი აქტივების ცვეთადი ღირებულების სიდიდეს, რომელიც განხილულ მაგალითში 100000 ლარს შეადგენდა.

ჩატარებული კვლევიდან და მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გრძელვადიან აქტივებზე გაორმაგებული ნორმისა და შემცირებადი ნაშთის მეთოდით ამორტიზაციის დარიცხვის ჩვენს მიერ რეკომენდებული მეთოდისა, რომელიც ითვალისწინებს

ე.წ. საამორტიზაციო ცდომილების კოეფიციენტის მეშვეობით შემასწორებელი (მაკორექტირებელი) საამორტიზაციო თანხის გამონაკარიშებასა და მომსახურების შესაბამის პერიოდებზე (წლებზე) მიკუთვნებას, არსებითად ასწორებს ამჟამად მოქმედი მეთოდისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს, რითაც უზრუნველყოფს ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულების მაქსიმალური სიზუსტით განაწილებას და მომსახურების წლების მიხედვით ამორტიზაციის თანხების სწორად განსაზღვრა-მიკუთვნებას.

**ჯამალთ შათირიშვილი**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლეონა შათირიშვილი**

საქართველოს პარლამენტის სტაჟიორი

**АНОТАЦИЯ**

**К ВОПРОСУ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ МЕТОДИКИ ОПРЕДЕЛЕНИЯ ИЗНОСА И АМОРТИЗАЦИОННЫХ ОТЧИСЛЕНИЙ ОСНОВНЫХ СРЕДСТВ**

Джамлет Шатиришвили, доктор экономических наук, профессор  
 Леона Шатиришвили, Парламент Грузии, стажер

Амортизационные отчисления – это целевые денежные средства, выделенные из доходов предприятия для восстановления изношенной части первоначальной стоимости основных средств (долгосрочных активов), которые носят инвестиционный характер и являются **реновационной** инвестицией.

Определение суммы амортизационных отчислений долгосрочных активов производится с применением разных апробированных практикой методов. Самым относительно простым и точным из них является. Линейный метод списания стоимости, который обеспечивает равномерного распределения т.н. **изношиваемой стоимости** (первоначальная стоимость с вычитанием ликвидационной стоимости) по годам в течение обслуживаемого периода основных средств. А второй метод – Метод начисления амортизации пропорционально по объему выпущенной продукции, выполненных работ или выработанного времени – дает возможность списания изношенной стоимости пропорционально по объему выпущенной продукции, выполненных работ или по количеству выработанного времени. Точность начисления амортизационных отчислений достигается также **по Методу суммы чисел**, суть которого заключается в том, что изношиваемая стоимость умножается на количество

оставшихся годов обслуживаемого периода и полученное произведение делится на сумму чисел годов этого периода.

Серьезными недостатками характеризуется начисление ускоренной амортизации **по Методу уменьшаемого остатка и удвоенной нормой**. Главным недостатком является то, что он не обеспечивает полного списания изношиваемой стоимости и в конце обслуживаемого периода определенная часть стоимости остается в виде остатка, названная нами **«нераспределенной амортизацией»**. Вследствие этого, начисленные по этому методу амортизационные отчисления являются искусственно уменьшенными, а полученные показатели – нереальными и искаженными. Поэтому **нынедействующий метод начисления амортизации по уменьшаемому остатку изношиваемой стоимости и удвоенной нормой считается неполноценным («полуфабрикатным»)**.

С учётом вышеизложенного, разработаная и рекомендованная нами методика обеспечивает отнесения максимальной точностью т.н. «нераспределяемой амортизации» соответствующим годам обслуживаемого периода и избежания от искажения финансово-экономических показателей деятельности предприятий.

# ისევ ბუნდოვანი, ისევ გაუბეზარი

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების დეტალური მიზანია ნორმების დახვეწა-გამარტივება. დინამიურ პროცესებს თან სდევს შესაბამისი ცვლილებები, რაც ცხადია, საკანონმდებლო სივრცეშიც უნდა აისახოს. თუმცა დაუსრულებელ, ამასთან, ხშირ ცვლილებებს თან სდევს უკუჩვენებებიც, რომლებიც ასევე უარყოფითად აისახება ეკონომიკაზეც. უმეტეს შემთხვევაში, საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებებითა და დამატებით სამოქმედო ნორმები, გამარტივების ნაცვლად, უფრო ბუნდოვანი, ან გაუგებარი ხდება. სამუხაროდ, ამ ცვლილებების შესახებ ოფიციალური განმარტებები ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა. შედეგად, გადამხდელებს უჭირთ აღქმა და გამოთქვამენ საფუძვლიან შენიშვნებს.

საქიბის სიმწვავის წარმოსადგენად, ვთავაზობთ ბატონ რამაზ ჭილიტაშვილის გამოხმაურებას „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესებში“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბერის - 924-ის ბრძანების მიხედვით შეტანილი ცვლილებებთან დაკავშირებით.



რამაზ ჭილიტაშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის 996 ბრძანებით დამტკიცებულ „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების“ (დანართი 1) 8-ე მუხლის, 2-ე პუნქტის გ) ქვეპუნქტი, მასში 2009 წლის 30 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 924-ის მიხედვით შეტანილი ცვლილებების შედეგად შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

„თუ, მყიდველის მიერ საქონელი ან მომსახურება გამყიდველს უფასოდ ან ფასდაკლებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეწოდება და გამოიყენება იმპორტირებული საქონლის წარმოებასთან და საექსპორტოდ გაყიდვასთან დაკავშირებით, საქონლის საბაჟო ღირებულების ამ წესების მე-2 მუხლის საფუძველზე განსაზღვრისას გარიგების ფასს უნდა დაემატოს შემდეგი საქონლისა და მომსახურების პროპორციულად განაწილებული ღირებულება იმ ოდენობით, რომლითაც ეს ღირებულება ჩართული არ არის გადახდილ ან გადასახდელ ფასში:

გ) საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-დიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, პროექტები, სქემები, ესკიზები და სხვა სამუშაოები (საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის შესაბამისად არ ჩაითვლებიან საქართველოში გაწეულ მომსახურებად და არ ექვემდებარებიან დღგ-ით უკუდაბეგრას).

რომ არაფერი ვთქვათ თავისთავად რთულ და ძნელად აღსაქმელ სიტყვათა წყობაზე, აქ ასეთ კოლიზიასთანაც გვაქვს საქმე: საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) პუნქტი განსაზღვრავს, რომ მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება: მომსახურების ფაქტობრივად განხორციელების ადგილი, თუ იგი დაკავშირებულია მოძრავ ქონებასთან. „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების“ 8-ე მუხლში კი საუბარია იმპორტირებულ საქონელზე, ანუ მოძრავ ქონებაზე.

ამიტომ, ისეთი შემთხვევა, რომ მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით წარმოებული ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-დიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, პროექტები, სქემები, ესკიზები და სხვა სამუშაოები საქართველოს გარეთ იყოს წარმოებული და საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლით კი საქართველოში გაწეულ მომსახურებად ჩაითვალოს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ამდენად, ნორმაში მოცემული (ფრჩხილებში ჩასმული) დაზუსტება, ჩემი აზრით, უბრალოდ დამაბნეველი და ზედმეტია.

ნორმის განმარტებისთვის, ცვლილების ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტს ერთვის ასეთი მაგალითი:

„გამყიდველსა და მყიდველს შორის შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, გამყიდველი-არარეზიდენტი საწარმო შემომუშავებს და დაამზადებს საქართველოს ტერიტორიაზე ასაშენებელი ქარხნის საპროექტო და ტექნიკურ დოკუმენტაციას და მიაწვდის დეკლარანტს 4 ეგზემპლარად

ქადაღდზე. ხელშეკრულების მიხედვით საინჟინერინგო მომსახურების მთლიანი საკომპენსაციო თანხა შეადგენს 200000 ლარს, აქედან მომსახურების ღირებულებად დაფიქსირებულია 190000 ლარი, ხოლო საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაციის ფასად - 10000 ლარი.

მოცემულ შემთხვევაში: იმის გათვალისწინებით, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურების ნაწილი საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის გათვალისწინებით განიხილება საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულად, საკომპენსაციო თანხიდან უკუდაბეგვრის წესით დაბეგვრას დაექვემდებარება მომსახურების ღირებულება (190000 ლარი), ხოლო საქონლის (ფიზიკურ მატარებელზე გადატანილი საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაცია) საბაჟო ღირებულების განსაზღვრისას გარეგნის ფასად ჩაითვლება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი (10000 ლარი).

ეს მაგალითი ეხება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მომსახურებას. უძრავი ქონება კი ვერ იქნება იმპორტირებული საქონელი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის 996 ბრძანებით დამტკიცებულ „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების“ (დანართი 1) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი კი ეხება საქონელს ან მომსახურებას, რომელიც გამ-

ვიდგელს უფასოდ, ან ფასდაკლებით, პირდაპირ ან არაპირდაპირ მიეწოდება და გამოიყენება იმპორტირებული საქონლის (ანუ მოძრავი ქონების) წარმოებასთან და საქსპორტოდ გაყიდვასთან დაკავშირებით.

მაგალითი, რომელიც შესაბამეობა ზემოთ აღნიშნულ მუხლს, შეიძლება ყოფილიყო ასეთი:

„ვთქვით, საქართველოს რეზიდენტმა შეუკვეთა სახარატო ჩარხის დამზადება მის მიერ მიწოდებული ესკიზების მიხედვით იტალიურ საწარმოს. ამ ჩარხის დასამზადებლად საჭირო ესკიზები კი საქართველოს საწარმომ შეუკვეთა გერმანულ საპროექტო კომპანიას. ესკიზების ღირებულება შეადგენს 100000 ევროს. ჩარხის ღირებულება ხელშეკრულების მიხედვით არის 500000 ევრო, ამ თანხაში არ შედის ესკიზების ღირებულება, საქართველოს რეზიდენტმა ის უფასოდ მიაწოდა იტალიურ საწარმოს.

მოცემულ შემთხვევაში, რადგან ესკიზები დაამზადა გერმანულმა საპროექტო კომპანიამ და ჩარხი არის მოძრავი ქონება, საგადასახადო კოდექსის 240-ე მუხლის ბ) პუნქტის მიხედვით მომსახურების გაწევის ადგილად ჩაითვლება გერმანია და ამ მომსახურებას საქართველოს რეზიდენტი, ამავე კოდექსის 241-ე მუხლით (უკუდაბეგვრა) გათვალისწინებულ დღგ-ს

არ დაარიცხავს. თუ კი, იტალიური საწარმოს მიერ, შეკვეთის მიხედვით დამზადებული ჩარხი გამოიგზავნება საქართველოში, საქართველოს რეზიდენტი ვალდებული იქნება მის საბაჟო ღირებულებაში ჩართოს ესკიზების ღირებულება 100000 ევრო, როგორც მყიდველის მიერ გამყიდველისთვის უფასოდ (ან ფასდაკლებით) მიწოდებული (საქონელი ან) მომსახურება“.

თუ „საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 დეკემბრის 996 ბრძანების 8-ე მუხლის, 2-ე პუნქტის გ) ქვეპუნქტში მოყვანილ მაგალითს ცალკე განვიხილავთ, ეს თავისთავად ძალიან საინტერესოა, რადგან ის თავისი ბუნებით ახლოსაა საბაჟო კოდექსის 40-ე მუხლით დადგენილ საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის პრინციპებთან. კარგი იქნებოდა ამ კოდექსს დამატებოდა 40/1 პრიმა მუხლი, რომელიც გამორიცხავდა ერთი და იგივე საქონლის და მასზე დატანილი მომსახურების (ინჟინერია, დამუშავება, საკონსტრუქტორო და სამხატვრო-დიზაინერული საქმიანობა, მხაზველობითი სამუშაოები, პროექტები, სქემები, ესკიზები და სხვა სამუშაოები), დაბეგვრას (საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად), ასევე, დასაბეგრი ოპერაციის თანხის ჩართვას საქონლის (ამ შემთხვევაში მომსახურების ფიზიკური მატარებლის) საბაჟო ღირებულებაში, მით უმეტეს, საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის 2-ე ნაწილში არცაა გათვალისწინებული (და არც უნდა იყოს ასეთი შემთხვევები. ამ მუხლში საუბარია მომსახურების გაწევაზე, რომელიც დამხმარე ხასიათისაა საქონლის იმპორტის მიმართ. ჩვენს შემთხვევაში კი, პირიქით, საქონელი (ფიზიკურ მატარებელზე გადატანილი საპროექტო და ტექნიკური დოკუმენტაცია) არის დამხმარე ხასიათის მომსახურების მიმართ.



# სადაზღვევო ომები

## რიგითი დაზღვეულის გადასარჩენად

ინგლისურ ენაში ტერმინ დაზღვევას საფუძვლად უღევს სიტყვა უზრუნველყოფა ევროამერიკულ ქვეყნებში დაზღვევის სისტემა ნამდვილად ამართლებს თავისი აღმნიშვნელი სიტყვის შინაარსს, რადგან დაზღვეული ევროპელი თუ ამერიკელი მართლაც უზრუნველყოფილია სამედიცინო, თუ სხვა სახის მომსახურებით.



კობა ზინაძე

ექსპერტი, ყურნალ „ზინაშვილი“ რედაქტორი

ქართველი დაზღვეული კი უმეტეს შემთხვევაში არ არის დარწმუნებული, რომ მას ზარალს ან სამკურნალო ხარჯებს აუნაზღაურებენ, არადა, ქართული ტერმინის ფუძე – სიტყვა ზღვევა – პირველ რიგში დანაკარგის კომპენსირებას ნიშნავს.

ალბათ, ამ უნდობლობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ავტომობილების დაზღვევა სავალდებულო გახდა სახელმწიფო კანონის საფუძველზე.

იმავე მიზეზით ჩავარდა მთავრობის მიერ წამოწყებული იაფი დაზღვევის პროგრამა – მოწვეული 1 მილიონის ნაცვლად ამის მეთავედამაც კი არ ისარგებლა 19.40 ლარიანი დაზღვევით.

თუმცა, უმწეოთა, თუ პედაგოგთა უფასო სამედიცინო დაზღვევამ მაინც გაზარდა სადაზღვევო სისტემის კლიენტთა რიცხვი. ბოლო 4 წლის განმავლობაში დაზღვეულთა რაოდენობა 18,4-ჯერ გაიზარდა და ეს მოხდა უმეტესად სახელმწიფო პროგრამების ხარჯზე, რადგან სხვა სახის დაზღვევისადმი ნდობის ვოტუმი უმნიშვნელოდ გაიზარდა. დღესდღეობით დაზღვეულთა თანაფარდობა ასე გამოიყურება:

**ქონების დაზღვევა** - 20 000-მდე პოლისი, **ავტომობილის დაზღვევა** - 20 000-მდე პოლისი, **ჯანმრთელობის დაზღვევა** - 1 300 000-ზე მეტი პოლისი. ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების უმეტესობა უმწეოებზე მოდის

ოფიციალური სტატისტიკით მათი რიცხვი 900 ათასს აღწევს. პედაგოგები 170 000-ს შეადგენენ. 5 ლარიანი დაზღვევით მხოლოდ 130 000-მა ადამიანმა ისარგებლა, სხვა უწყებებმა, თუ კომპანიებმა კი 130 000 თანამშრომელი დააზღვიეს.

საბიუჯეტო პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო მაინც ყველაზე სანდო გადამხდელია – 2008 წელს – 160 000 000 ლარზე მეტი პრემიის უდიდესი ნაწილი ზუსტად რომ სახელმწიფომ გაიღო, რაც მთელი სადაზღვევო ბაზრის 60%-ზე მეტია. აქედან ანაზღაურებულმა ზარალმა მხოლოდ ნახევარი - 84,84 მილიონი შეადგინა – ამრიგად, სადაზღვევო კომპანიების ანგარიშებზე საკმაოდ სოლიდური რესურსები დარჩა.

### ცნობისათვის:

**სადაზღვევო პრემია** – არის თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევემა სადაზღვევო ორგანიზაციას დაზღვევის საფასურად, ანუ, ესაა სადაზღვევო დაცვის შეძენის ღირებულება.

**სადაზღვევო ანაზღაურება** – არის თანხა, ან მომსახურება, რომელსაც გასცემს სადაზღვევო ორგანიზაცია დაზარალებულ პირზე სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას – ესაა საკმარისი ფინანსური, ან სხვა სახის კომპენსაცია, რაც საჭიროა დაზარალებულის დასაბ-

რუნებლად სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულ მატერიალურ მდგომარეობაში.




შედარებით ნაკლებია ზარალების წილი ქონების დაზღვევის სფეროში, მაგრამ თვითონ ეს სექტორი ძალზედ მცირეა. 2008 წელს ქონების დაზღვევის პრემიები სულ 33,22 მილიონი ლარი იყო – ეს მაშინ, როდესაც საქართველოში არსებული ქონება მინიმუმ 70 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ქონებრივი ზარალიც უმნიშვნელოა – სულ რაღაც 3,19 მილიონი ლარი.

კიდევ უფრო ნაკლებია სახმელეთო ტრანსპორტის დაზღვევის მოცულობა – სულ რაღაც 27,53 მილიონი ლარი. ზარალის წილი ამ სფეროში კი შედარებით მაღალია – 14,86 მილიონი ლარი.

**ასეთ ფონზე არაა გასაკვირი, რომ სადაზღვევო კომპანიები მთელი ძალებით ცდილობენ ხელთ ჩაიგდონ ის კლიენტები, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს.**

კონკურენციას ამძაფრებს ისიც, რომ ასეთი მცირე მოცულობის ქართულ ბაზარზე 12 სადაზღვევო კომპანია მოქმედებს.

წლების განმავლობაში ეს კომპანიები მხოლოდ კლიენტების მოძიებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რაც საკმაოდ რთული იყო, რადგან, მცირე ზომის კომპანიას ისედაც უნდო ქართველი მომხმარებელი უფრო მეტად არ ენდობოდა. მაგრამ კომპანიების



უმეტესობა დიდ უცხოურ ჰოლდინგებს მიეკუთვნება - მათი ფილიალების სტატუსი მიიღეს, რითაც ქართველი კლიენტურის ნდობაც დაიმსახურეს. თუმცა, არა იმ მასშტაბით, როგორსაც ელოდნენ.

გარანტირებული სახელმწიფო პროგრამები კი განხეთქილების ვაშლად იქცა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე და კომპანიები პირდაპირ კონფრონტაციაზე გადავიდნენ.



არც თუ ისე დიდი ხნის წინთ - 7-მა სადაზღვევო კომპანიამ ბოიკოტი გამოუცხადა ფარმაცევტულ კომპანია „ავერს“-ს - იანვრის ბოლოდან ეს კომპანიები თავიანთ კლიენტებს „ავერსის“ აფთიაქებში შეძენილი წამლების ხარჯებს აღარ უნაზღაურებენ.

ამ ბოიკოტის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ „ავერსის“ მიერ დაფუძნებულმა სადაზღვევო კომპანიამ „ალფა“ შედაგოვთა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში მიიღო მონაწილეობა.

**ბრალდებები კი ტრადიციული საპირისპიროა - თუ ადრე „ავერს“-ს წამლების მონოპოლიურ გაძვირებაში ადანაშაულებენ, ახლა კი პირიქით - წამლების გაჩუქებაში სდებენ ბრალს.**

ყველა შედაგოვს, რომელიც სახელმწიფო ვაუჩერს „ალფას“ სადაზღვევო პოლისში გადაცვლის, პირველ ეტაპზე საჩუქრად 100 ლარის მედიკამენტები გადაეცემა, მეორე ეტაპზე კი ექიმის მიერ გამოწერილ წამლებზე 50% -იან ფასდაკლებას მიიღებენ. თვითონ ვაუჩერის ღირებულება მხოლოდ 180 ლარია - გამოდის, რომ პოლისის 70% საჩუქარია. **თუმცა როგორც ჩანს, ჩიტი ბრძღვნად ღირს, რადგან აღნიშნულ პროგრამაში 173 ათასი ბენეფიციარი მონაწილეობს.**

ასეთი რაოდენობის მიუხედავად, გულუხვობისგან საერთაშორისო ჰოლდინგებმაც კი შეიკავეს თავი და შემოსავლების შენარჩუნების მიზნით ბოიკოტი იმ კლიენტებსაც გამოუცხადეს, რომელიც „ავერსს“ ეკუთვნოდა - ე.ი. თავიანთ კლიენტებს არ დაუფარა-



ვენ ხარჯებს, თუ ისინი „ავერსის“ კლინიკებში იმკურნალებენ.

**პროვაიდერი კლინიკების ხშირი ცვლილებები ამ ბოიკოტამდეც დიდ პრობლემას წარმოადგენდა კლიენტებისთვის.**

თუ სადაზღვევო კომპანია ჩათვლიდა, რომ ესა თუ ის კლინიკა ხარჯებს ხელოვნურად ზრდინდა, მასთან კავშირსწყვეტდნენ. ამავე დროს, ეს კლინიკა მითითებული იყო იმ პოლისებში, რომლებიც მანამდე გასცეს კომპანიებმა. როდესაც ავადმყოფი პოლისში მითითებულ კლინიკას მიაღწევდა – მას აცნობებდნენ, რომ ეს კლინიკა უკვე აღარ ემსახურებოდა „განაწყენებული“ კომპანიის კლიენტებს. დარჩენილი პროვაიდერების ძებნაში კი ავადმყოფს ზედმეტი დრო და ფული ეხარჯებოდა, და არც მისი ჯანმრთელობა

უმჯობესდებოდა ამ პროცესში.

სადაზღვევო კომპანიებსა და პროვაიდერ კლინიკებს შორის კონფლიქტებს თან დაერთო კონფლიქტები თვით კომპანიებს შორის, რის შედეგადაც კომპანიებზე უფრო მეტად თვით დაზღვეულები დაზარალებიან.

არადა, იდეაში სადაზღვევო სისტემა ურთიერთნდობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. **პირველი სადაზღვევო კომპანიები უბრალოდ მეგობართა წრეს წარმოადგენდნენ, რომლებიც ეხმარებოდნენ ერთმანეთს რაიმე ზარალის ან წარუმატებლობის შემთხვევაში.**

კლიენტებსა და კომპანიებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას პირველ რიგში ხელს უშლის სადაზღვევო თეორიის და პრაქტიკის არცოდ-

ნა კლიენტების მხრიდან, რითაც სარგებლობენ ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი სადაზღვევო აგენტები. **კიდევაც რომ კეთილი ზრახვები ჰქონდეს აგენტს – იგი მაინც იძულებულია გაუფრთხილდეს კომპანიის სახსრებს, რაც კლიენტების მხრიდან დაჩაგვრად აღიქმება.**

მაგალითად, ერთ-ერთ კომპანიას არ აუნაზღაურეს ზარალი, რომელიც მას სეტყვამ მიაყენა – სახურავი დაუზიანა. როგორც ჩანს, კომპანიამ ხელი მოაწერა ბუნდოვან ხელშეკრულებას, სადაც სტიქიური უბედურებები ზოგადად იყო მოხსენიებული. სეტყვას კი სტიქიურ უბედურებად გინდ ჩათვლი, გინდ არა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრაზე ცოტა ვინმე თუ ფიქრობს.

თუმცა არსებობს „საქართველოს სადაზღვევო ინსტიტუტი“, რომელიც მიზნად ისახავს დაზღვეულთა უფლებების დაცვას და სადაზღვევის სფეროში არსებული კონფლიქტების ნაცვლად ნდობისა და ურთიერთპატივისცემის დანერგვას.

ამ ინსტიტუტის თანამშრომლებმა საკმაოდ ღრმად შეისწავლეს დაზღვეულთა უფლებების დარღვევების პრობლემატიკა და მათი ინტერესების დაცვის საინტერესო მეთოდები შეიმუშავეს (ეს მასალები ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე [www.gii.ge](http://www.gii.ge))

მათ, ვისაც ინტერნეტში მუშაობის დრო და საშუალება შეზღუდული აქვს, რამდენიმე საინტერესო რჩევას შევთავაზებთ ამ მასალებიდან.

**1. სადაზღვევო ხელშეკრულების დადებამდე დაწვრილებით შეისწავლეთ დაზღვევის პირობები.**

უმეტეს შემთხვევაში უფლებების დარღვევის მთავარი მიზეზი ზუსტად რომ კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების არცოდნაა.

ამიტომ წინასწარ უნდა გაერკვეთ – **აკმაყოფილებს თუ არა თქვენს მოლოდინებს სადაზღვევო ხელშეკრულების ტიპიური**

**სტანდარტული ნიმუში.**

ასევე კორპორაციული ხელშეკრულების შემთხვევაში პოლისის შინაარსი გააცანით ყველა თანამშრომელს, რომ შემდგომში თავიდან აიცილოთ მათი პრეტენზიები.

**2. სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმებამდე აუცილებლად მოითხოვეთ ნებისმიერი ბუნდოვანი და გაუგებარი პუნქტის ამოღება.**

ასეთი ორაზროვანი პირობები ხშირად ხდება დავის საგანი. სადაზღვევო კომპანია ისე განიხილავს ასეთ პირობებს როგორც მას აწყობს.

**3. ყოველთვის დაიცავით ხელშეკრულების პირობები და მოითხოვეთ მათი დაცვა ასევე სადაზღვევო კომპანიისგან.**

ამისათვის კი დანვრილებით უნდა გაეცნოთ თქვენს უფლებამოვალეობებს, რადგან რომელიმე მათგანის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან უარის მიზეზი.

**4. იმოქმედეთ დოკუმენტებით და წერილობით. აუცილებლად მოითხოვეთ პასუხის წერილობით მიღება სადაზღვევო კომპანიის მხრიდან.**

წერილობითი პასუხი დაგეხმარებათ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო აგენტი შეცდა, ან



არასწორად მოახდინა უარის დასაბუთება.

**5. იყავით მტკიცე და თანმიმდევრული სადაზღვევო უფლებების დაცვისას.**

ხშირ შემთხვევაში სადაზღვევო პირობების შეუსრულებლობის მიზეზი თვით დაზღვეულის პასიურობაა. სადაზღვევო კომპანია პირველ რიგში მათ აქცევს ყურადღებას, ვინც დაჟინებით და აქტიურად მოითხოვს თავისი უფლებების განხორციელებას.

პასიურ კლიენტებს კი ბოლოსთვის იტოვებენ თუ არ იაქტიურეთ ყოველთვის ბოლოში იქნებით.

**6. ნებისმიერ შემთხვევაში,**

**რომელიც მოითხოვს სამედიცინო ჩარევას, დაუყოვნებლივ აცნობეთ ამის შესახებ სადაზღვევო კომპანიას.**


ამისათვის კი პოლისის ადგილმდებარეობა უნდა იცოდეს არა მხოლოდ მისმა მფლობელმა. შეიძლება ეს მფლობელი კომპიაში ჩავარდეს - ამიტომ ახლობლებმა და ნათესავებმა უნდა იცოდნენ, თუ სად ინახავს იგი თავის სადაზღვევო პოლისს.

შეტყობინების დაგვიანება შეიძლება თქვენს წინააღმდეგ ამუშავდეს. ასევე წინასწარ უნდა იცოდეთ, თუ რა დოკუმენტები უნდა წარუდგინოთ სადაზღვევო კომპანიას პოლისის გარდა.

**7. აუცილებლად დროულად და სრულად გადაიხადეთ სადაზღვევო შესატანი.** ამ პირობის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან უარის მიზეზი.

**8. სადაზღვევო კომპანიასთან სამედიცინო დაზღვევის სფეროში მოურიგებლობის, ან კონფლიქტური ურთიერთობებისას თქვენი უფლებების დაცვისა და კონსულტაციების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ:**

ჯანმრთელობის დაცვის მედიაციის სამსახურს [www.him.ge](http://www.him.ge), სასამართლოს, ან კერძო არბიტრაჟს; კორპორაციულ სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში – თქვენი ორგანიზაციის დაზღვევაზე პასუხისმგებელ პირს.



# რატომ ვერ დაძლია საქართველო სიღარიბე

რა არის სიღარიბის მიზეზი? რატომ არიან ერთნი, - რო-მელთა რაოდენობა ადამიანთა მთლიან თანაფარდობაში ასე მცირეა, - ასე მდიდარი, ხოლო დანარჩენი ნაწილი, წარმო-უდგენლად უფრო დიდი თანაფარდობით, ანუ, უზარმაზარი არმია ადამიანებისა, - ასე წარმოუდგენლად ღარიბი? რატომ განსხვავდება ანაზღაურების მხრივ ერთი და იმავე სამუშაოს შესრულება ასე მნიშვნელოვნად?

ამ და ამ სახის უამრავ სხვა საკითხზე ეკონომიკურ თეორი-ას თუმცა გარკვეული პასუხები გააჩნია, მაგრამ, პირველ რიგში, ეს პასუხები არგუმენტაციის მხრივ უკეთესის სურვილს ცოვებენ, ხოლო, მეორე, - უკეთეს შემთხვევაში, მათ პოზიტიური ანალი-ზის ელფერი დაჰქრავს, ვიდრე, ნორმატიულისა.

როგორც ჩანს, სიღარიბის არ-სებობა ობიექტურად არსებული ფაქტია. თუმცა, როგორ დავძლიოთ იგი (თუკი საერთოდ შესაძლებე-ლია მისი დაძლევა), როგორია მი-სი გნოსეოლოგიური ფესვები, - აი საკითხები, რომელიც საუკუნეების მანძილზე აღელვებდა მსოფლიოს საუკეთესო ტვინებს.

ჩვენ ამ ზოგადსაკაცობრიო პრობლემის მხოლოდ ერთი ასპექ-ტით შემოვიფარგლებით. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობით. ანუ, შევეცდებით გავანალიზოთ ის მი-ზეზები, რის გამოც საქართველო ღარიბ-ღატაკთა სიაში მოიაზრება.

**შიდილება თუ არა სიღარიბის დაძლევა.** მეოცე საუკუნეში დატრი-ალებული უამრავი კატაკლიზმების მიუხედავად, რომელიც პრაქტიკუ-ლად მსოფლიოს ქვეყნების უდიდეს უმრავლესობას შეეხო, - ბევრმა მათგანმა მაინც მოახერხა ყველა სიძ-ნელების გადალახვა და მსოფლიო ქვეყნების იერარქიულ ჩამონათვალ-ში მონინავე პოზიციების დაკავება. მართალია, მაგალითების მოსაყვა-ნად საკმაოდ შორს დავგჭირდება წასვლა, მაგრამ ეს მხოლოდ გეოგ-რაფიულად, თორემ ისტორიულად უახლესი პერიოდის მოვლენებიც საკმარისზე კარგად მეტყველებენ ამ ფაქტის სასარგებლოდ.

ამერიკის შეერთებული შტატე-

ბი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ მოახერხა ქვეყანამ (რო-მელიც საუკუნეზე მეტია მსოფლიო გეოპოლიტიკურ ცენტრს წარმოად-გენს), გადაელახა „დიდ დეპრესი-ად“ ნოდებული უმძიმესი ეკონომი-კური კრიზისი ისე, რომ მსოფლიო ლიდერობა არ დაუკარგავს!

გერმანიამ, რომელიც გასულ საუკუნეში ორი მსოფლიო ომის ინიციატორი იყო, ორივე შემთხვე-ვაში იმდენად წარმატებით დააღწია თავი როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ კოლაფსს, რომ დიდი ხანია მსოფლიოს უპირველესი ეკო-ნომიკის მქონე ქვეყნების სამეულში უცვლელად ინარჩუნებს პოზიცი-ებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მეორე მსოფლიო ომის შემ-დგომი პერიოდი. ქვეყანამ მეორე მსოფლიო ომი თავისთვის უმძიმესი შედეგებით დაამთავრა. გარდა იმი-სა, რომ გერმანელთა თითქმის 10 მილიონი მოქალაქის სიცოცხლე წა-ილო კაცთა მოდგმის ამ ენით აუნე-რელმა უბედურებამ, თავად ქვეყანა ნანგრევებად იქცა. თავის ცნობილ ნიგნში „საყოველთაო კეთილდღე-ობის შესახებ“, გერმანული ეკონო-მიკური სასწაულის „მამას“ - ლუდ-ვიგ ერჰარდს, რომლის სახელსაც უკავშირდება გერმანიის ეკონომი-კური აღორძინება, იყო რა ქვეყნის



თამაზ აქუბარდია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ეკონომიკური განვითარების მი-ნისტრი, ხოლო მოგვიანებით გერ-მანიის კანცლერი, სრულიად დაუ-ჯერებელი ციფრები მოჰყავს. მათი გათვლებით ომის შემდგომ გერმა-ნიაში ერთ სულ მოსახლეზე, ხუთ წელიწადში ერთხელ, ერთი თევზი მოდიოდა, თორმეტ წელიწადში ერ-თხელ, - ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ორმოცდაათ წელიწადში ერთხელ, - ერთი კოსტუმი, ყოველ მეხუთე ახალშობილს შეეძლო გახვეულიყო საკუთარ საფენებში და მხოლოდ ერთ გერმანელს, ყოველი სამიდან, ჰქონდა იმის შანსი, რომ საკუთარი კუბოთი დაემარხათ.

დღევანდელი გადასახედიდან სრულიად დაუჯერებელია, რომ სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წი-ნათ გერმანია ასეთ დღეში იყო. ამას, ჩვენი მხრიდან კიდევ უფრო საშინე-ლი ფაქტები უნდა დაეუმატოთ, რო-მელიც მხოლოდ უკანასკნელ წლებ-ში გაჟღერდა და რომლის შესახე-ბაც არც დაზარალებული მხარე და მითუმეტეს, არც ამ საშინელების ჩამდენი მხარე, ხმამაღლა არაფერს ამბობდა. კერძოდ, ომის დამთავრე-ბის პირველ დღეებში გერმანიაში არნახული მარადიურობა მძვინვა-რებდა. იძარცვებოდა ყველაფერი, რისი ძარცვაც კი შეიძლებოდა. მოხდა ქარხნებისა და ფაბრიკების სრული დემონტაჟი; გამარჯვე-



**ბულებმა (ზოგი ძალად და ზოგიც ნებით), ნაიყვანეს პრაქტიკულად ყველა ფიზიკოსი, თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებასთან მეტ-ნაკლებად დაახლოებული მეცნიერი, ინჟინერი, თუ პედაგოგი.**

ყველაფერ ამას ნიუნბერგის გახმაურებული პროცესიც დაემატა, რითაც, თუ მთელი გერმანელი ერი არა, ყოველ შემთხვევაში მათი არც თუ მცირე ნაწილი, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის გასამართლდა. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ გერმანელი ერი, როგორც ეკონომიკურად, ასევე მორალურად, უმძიმეს დღეში აღმოჩნდა. და ეს ყველაფერი მხოლოდ ომის თანამდევ უსამინლეს კანონებს დაბრალდა.

**ცხადია, ამით ჩვენ არ გვინდა გერმანელი მხარე მხოლოდ მსხვერპლის როლში წარმოვადგინოთ. მათ საკმარისზე მეტად ზღვეს ამის გამო.**

რეალური სურათის დახატვა მხოლოდ იმისთვის დაგვიჭირდა, რომ კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვეჩვენებინა, თუ რა გადაიტანა გერმანელმა ერმა. ამ ყველაფრის შემდეგ კი – სულ რაღაც 7 წელიწადში გერმანიამ შეძლო ევროპაში მეორე ეკონომიკა შეექმნა, ხოლო, 1954 წლისათვის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით იგი უკვე მსოფლიოში მეორე ადგილზე იყო.

არანაკლებ მძიმე ვითარებაში იყვნენ სხვა დამარცხებული ქვეყნებიც, – იტალია, იაპონია, თურქეთი. მათაც მოახერხეს არა თუ ფეხზე დადგომა, არამედ, მსოფლიო ეკონომიკაში თავიათი კუთვნილი და ამასთან მოწინავე ადგილების დაკავება. კერძოდ, იაპონია უკვე კარგა ხანია მსოფლიოში სტაბილურად მეორე ადგილს იკავებს, იტალია მსოფლიოს პირველ ათეულშია, ხოლო თურქეთი უკვე ღიად აცხადებს პრეტენზიებს ევროკავშირში შესვლაზე.

ამ ყველაფრის შემდეგ ისმება რიტორიკული კითხვა:

რა დაგვემართა, – ჩვენ, – ქართველებს, რატომ ვერ ავალორძინეთ ღვთითურთხეული ქვეყანა ეკონომიკურად და რატომ ვერ დავიკავეთ ის ღირსეული ადგილი, რომე-

ლიც ჩვენი ნიჭის, ჩვენი პოტენციალის, ჩვენი გაქანების მქონე ერს ეკადრება?!

რაშია საქმე, რატომ ვერ შევძელით ქვეყნის აღორძინება, რომელსაც ამისთვის ყველანაირი რესურსი გააჩნია? რას ვერ ვაკეთებდით და რას ვერ ვაკეთებთ ისე, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ისეთი საშინელი არ იყოს, რომ ქართველი სამშობლოს არ ტოვებდეს და სხვაგან არ ეძებდეს თავშესაფარს ხშირ შემთხვევაში დამამცირებელ მწარე ლუკმას, ხოლო, ის, ვინც ქვეყანაში დარჩა, მუდმივად სხვისი დახმარების შემყურე არ იყოს, მითუმეტეს, რომ ეს დახმარება სულაც არ არის უანგარო, ქართველთა საზარბაზნე ხორცად გამოყენებით დაწყებული, და საქართველოს ზესახელმწიფოთა ინტერესების შეჯახების ეპიცენტრად გადაქცევით დამთავრებული.

**სიღარიბის თეორიული წანამძღვრები.** დავიწყეთ იმით, რომ სიღარიბე ობიექტურად არსებული რეალობაა, რაც ყველაზე ნაკლებადაა დაკავშირებული ცალკეული პიროვნების სიზარმაცესთან, თუ ბეჯითობასთან.

თუ სახეობათა შორის ბრძოლის ბიოლოგიურ კანონზომიერებებს მოვიშველიებთ, არათანაბარი სასტარტო შესაძლებლობები იმითაა ნაკარნახევი, რომ ბიოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად აუცილებელია არსებობდნენ ძლიერი და სუსტები, რათა ერთი სახეობის ძლიერთა მიერ მოხდეს მეორე სახეობის სუსტთა გამოხშირვა ამ უკანასკნელის, როგორც სახეობის, შენარჩუნების მიზნით. რამდენადაც ადამიანთა საზოგადოება ამ საყოველთაო კანონზომიერებათა ჯაჭვიდან ერთის მხრივ გამოსულია, რაც თავისთავად ანომალიას წარმოადგენს, ხოლო მისი ეს ბიოლოგიური ნიშან-თვისება გარკვეული სახით მაინც შერჩენილი აქვს, მთელი მისი სასიცოცხლო ენერჯია გადატანილია თავისი პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისკენ და, რაც ყველაზე არსებითია, ეს დაკმაყოფილება ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდება სხვისი ინტერესების შელახვის გარეშე, ანუ, **პარეტოს**

**კრიტიკიუმის** პერმანენტული დარღვევის გარეშე.

**მმართველობის არსებული მოდელები.** დამოუკიდებლობის მთელი 20 წლიანი პერიოდი აუცილებელია სამ ეტაპად დავყოთ, რაც განპირობებულია ქვეყნის მართვის პიროვნული ფაქტორით ანუ, ვინ მართავდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ქვეყანას. ამ პერიოდის განმავლობაში კი როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანას სამი პრეზიდენტი მართავდა.

პირველი პრეზიდენტის მმართველობა სულ რაღაც ათი თვე გაგრძელდა, რისი მიზეზიც „ერთიანი კავკასიური სახლის“ იდეა იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ერთიანობას. რაც შეეხება ეკონომიკას, – ეკონომიკაში ორი უმთავრესი პარადიგმის შეხამება-შეთავსების უსუსური და შესაძლოა უტოპიური მცდელობის დეკლარირება გახლდათ, ანუ, ე.წ. „სახელმწიფო კაპიტალიზმის“ იდეა, რომელიც მიუხედავად ჩინეთის ცოცხალი მაგალითისა, მაინც მკვდრადშობილი იდეა იყო.

რაც შეეხება მეორე პრეზიდენტს, მისი მმართველობა დაფუძნებული იყო პოლიტოლოგიაში ტერმინოლოგიურად არც თუ მთლად გამართულად დამკვიდრებულ პარადიგმაზე, – პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა, რაც ჩვენი აზრით უნდა გამოითქმებოდეს, როგორც – პოლიტიკა არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების ხელოვნებაა. აქ სიტყვა „გამოყენების“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს მმართველობის შენარჩუნების გამოყენების შესაძლებლობები და სხვა არაფერი. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ეტაპის შემთხვევაში ზუსტად ასეთი პარადიგმის რეალიზების არც თუ საუკეთესო მაგალითთან გვაქვს საქმე.

მეორე პრეზიდენტმა მმართველობის შენარჩუნების ისეთი მოდელი აირჩია, რომელიც სამყაროსავით ძველია. კერძოდ, **მან მთელ ჩინოვნიკურ არმიას ანაზღაურების ისეთი სისტემა შესთავაზა, რომ პრაქტიკულად (თეორიულადაც კი),**

შეუძლებელი გახადა პატიოსანი შრომით ცხოვრება. არსებობა შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც კორუფციის მარადიულ ქაობში ჩაიძირებოდა. სისტემამ აბსოლუტურად ყველა მოიცვა. ხოლო სამართალმცველები შერჩევით სამართალს ახორციელებდნენ. (როგორც წესი, იმათ მიმართ, ვინც არსებული სისტემის წინააღმდეგ გაილაშქრებდა). სწორედ ამის შედეგად გაგრძელდა მმართველობის მეორე ეტაპი თითქმის 11 წელიწადს და რომ არა გარე ძალების აქტიურობა, საუკეთესო შემთხვევაში, იგი სულ ცოტა კიდევ 2 წელი მაინც გაგრძელდებოდა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ მის წიაღში წარმოიშვა ის ძალა, რომელმაც შეცვალა მმართველობის ძველი სისტემა. თუმცა, ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ გარეშე ძალების გარეშე ეს ცვლილება ვერ განხორციელდებოდა (ყოველშემთხვევაში იმ პერიოდში მაინც). მმართველობის ამ სისტემაში ქვეყნის რეალურ განვითარებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. მართლაც, მეორე პრეზიდენტის მმართველობის ბოლო პერიოდში ქვეყნის ბიუჯეტი 1,3 მილიარდ ლარს ძლივს აღწევდა, ხოლო, მთლიანი შიდა პროდუქტი 4 მილიარდზე ნაკლები იყო. ასეთი მიზეზური ციფრები, სტატისტიკის სამსახურის მთლიანი პოლიტიზირებულობის პირობებშიც კი, იმის ილუზიასაც არ ქმნიდა, რომ ქვეყანას განვითარების პერსპექ-

ტივა ექნებოდა. ევროკავშირში შესვლაზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან პოლიტიკურ ფაქტორებს რომ დავანებოთ თავი, ერთ-ერთი პირობა, რომელიც კანდიდატმა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს, – ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდე 5 ათასი ევროა, რაც დღევანდელი გადასახედიდანაც კი, უახლოეს პერსპექტივაში ჩვენი ქვეყნისათვის მიუღწეველი ოცნებაა. საქმე იმაშია, რომ ეს ნიშნავს რეალური (და არა ნომინალური) მთლიანი შიდა პროდუქტის 20-25 მილიარდი ევროს ექვივალენტურ სიდიდეს, რაც ლარებში გადაანგარიშებით 45-50 მილიარდის ექვივალენტურია და ქვეყნის დღევანდელ მშპ-ს ლამის სამჯერ აღემატება.

მოსახლეობის მხრიდან სრული უპერსპექტივობის ყველაზე საშინელი რეაქცია გახლდათ ქართველთა მრავალათასიანი არმიის მიერ სამშობლოს დატოვება, რამაც დღეს უკვე სრულიად პერმანენტული ხასიათი მიიღო.

მესამე პრეზიდენტმა მმართველობის, ფორმით სრულიად განსხვავებული, ხოლო შინაარსობრივად აბსოლუტურად იგივე მოდელი შემოგვთავაზა. **მმართველობის ფორმის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობდა, რომ თუ მეორე პრეზიდენტი საარსებო მინიმუმზე ნაკლებ ხელფასებს ურიგებდა თავის ვასალებს, რათა გაესვარ-** გა-

ეთხვარა თითოეული მათგანი და ამით ისინი მართვადი ჰყოლოდა, მესამე პრეზიდენტმა გამოიყენა ეკონომიკურ თეორიაში უკვე დიდი ხნის წინათ აპრობირებული ე.წ. „ეფექტიანი ხელფასების თეორია“, რომლის პოლიტიკური ინტერპრეტაცია შემდეგნაირად შეიძლება: „ის ვინც ჩემთან არის, მას ყველაფერი აქვს, ხოლო, ვინც ჩემთან არ არის, – არაფერი.“

რამდენადაც არსებობისათვის ბრძოლა ასეთ პირობებში დიდი არჩევანის საშუალებას ადამიანს არ უტოვებს, ხელისუფლება ნალეკა მედროვეთა, ფარისეველთა, ნარკომანთა და არც თუ იშვიათად, ქართული გვარის მქონე, ეთნიკურად არაქართველთა არმიამ, რომლებიც ყველანაირ სიბინძურეს სჩადიან საკუთარი კეთილდღეობისათვის. საყოველთაო კორუფცია შეიცვალა ე.წ. „ელიტარული კორუფციით“, რაც სრულიად ნათლად დაფიქსირდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ნლიურ ანგარიშშიც.

ისტორია, სრულიად ცალსახად გვეუბნება, რომ მმართველობის შემთხვევითი ფორმები უბრალოდ განწირულია დამარცხებისთვის. ცხადია, ასეთ პირობებში ქვეყნის რეალურ განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამდენად, საქართველო სწორედ იმდენ ხანს და სწორედ იმიტომ იქნება ღარიბი ქვეყნების ჩამონათვალში, სანამ მმართველობის რამდენადაც არქაული, იმდენადვე მანკიერი ფორმები არ შეიცვლება რეალურად დემოკრატიული მმართველობით.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქვეყანაში ცვლილებები მიმდინარეობს, ეს ცვლილებები არ ჯდება ქართველთა მენტალობაში და ეწინააღმდეგება მის ბუნებას. ამიტომაც ამ ცვლილებებს ქართველობა უნდობლობით ხვდება და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოხატავს ამას. ამ ფონზე მხოლოდ გაკვირვებას იწვევს ხელისუფლების მიერ არჩეული კურსისადმი ასეთი პედანტური დამოკიდებულება და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ხელისუფლება სადღაც შორს დაწერილი სცენარის კარგი შემსრულებელია.



# მარიამ კუბლაშვილი:

## სიტყვა ადვოკატი პროფესიონალიზმთან, საქმის ერთბაშეობასა და ძლიერებასთან უნდა ასოცირდებოდეს!



**კომპანია „კუბლაშვილი და პარტნიორები“ წელიწადნახევრის წინათ დაფუძნდა და თავის კლიენტებს იურიდიული და საადვოკატო მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პროცესებს პროფესიონალი ადვოკატები წარმართავენ. ისინი ადმინისტრაციულ წარმოებასა და მათ შორის, საგადასახადო დაგების გადაწყვეტაში მონაწილეობენ.**

რთულია, ასეთ მოკლე დროში წარმატებულ ადვოკატთა ათეულში მოხვდე.

კომპანიის გენერალურ დირექტორს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის წევრს მარიამ კუბლაშვილს მიაჩნია, რომ სამოქალაქო სამართალში პროფესორ შალვა ქურდაძის და სისხლის სამართალში პროფესორ გიორგი გორაშვილის თანადგომამ და ძალისხმევამ იგი პროფესიონალად ჩამოაყალიბა. კვალიფიკაციის ასამაღლებლად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ტრენინგებსა და მსტერ კლასებში. მაისის თვეში აშშ-ში მიემგზავრება, რათა კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ კვლავ ჩვეული ენთუზიაზმით დაუბრუნდეს თავის საქმეს.

კომპანია კონკურენტებისგან მნიშვნელოვნად გამოირჩევა. ოფისში შესულ კლიენტს უპირველესად თვალში მოხვდება თანამშრომელთა ასაკი: ფირმის თავად ახალგაზრდა ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ხალასი ენერჯია არაჩვეულებრივ შედეგებს იძლევა: „რატომ ვირჩევ ახალგაზრდებს? ასაკი ხშირად უნდობლობას იწვევს, არადა, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მონდომებული, განათლებული, ახალგაზრდა კადრი საოცრად ისრუტავს თანამედროვე მეთოდებს და საქმეს ენთუზიაზმით აკეთებს. ცხადია, ის აუცილებლად მიაღწევს წარმატებას... მითუმეტეს, ჯანსაღი კონკურენცია მათთვის შესანიშნავი სტიმულია.“ – აღნიშნავს მარიამ კუბლაშვილი.

კომპანიის ხელმძღვანელი დანაებით ამბობს, რომ ადვოკატის პროფესია საქართველოში სათანადოდ არ ფასდებ-

ბა. მიზეზად იგი ზოგიერთი კოლეგის არაკეთილსინდისიერ საქციელს მიიჩნევს, რაც აღნიშნულ პროფესიას სახელს უტეხს.

**მარიამ კუბლაშვილი:** „საგულისხმოა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა უმთავრეს მოთხოვნად წელიწადში 200 ლარის ოდენობით განსაზღვრული სანევრო გადასახადის შემცირება დასახელდა და არა რაიმე პროგრესული, კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ქმედება. ეს კი, სამწუხაროდ, იმაზე მიანიშნებს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადი პროფესიის წარმომადგენლების უმეტესობას საქართველოში ისეთი შემოსავალი აქვთ, რომ მათთვის სანევრო გადასახადის შემცირებაზე აქტუალური არაფერია...“

არსებული არასახარბიელო სიტუაციიდან გამოსავლად მარიამს კოლეგების თვითშეგნების ამაღლება და ადვოკატის იმიჯზე ზრუნვა ესახება, კვალიფიკაციის მინიჭების კრიტერიუმების გამკაცრებას კი აუცილებლად მიიჩნევს. მისი აზრით, ადვოკატის წარმატებას, ცოდნის პარალელურად, პიროვნული თვისებებიც განსაზღვრავს.

**მარიამ კუბლაშვილი:** „მსურს, რომ მონაწილეობა მივიღო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გაძლიერებაში. ჩემს მეგობრებთან ზვიად კორძაძესთან, გორა სვანიძესთან, ქეთევან ქვარცხავასთან, ირაკლი კორძახიასთან, ზაზა ხატიაშვილთან და სხვა იურისტებთან ერთად გავაძლიერო ადვოკატის სტატუსი საზოგადოებაში და ნდობა ჩვენს მიმართ, არასდროს დავიშურებ ენერჯიას სასიკეთო საქმისათვის.“

ასევე, მივესალმები ახალი საპ-

როცესო კოდექსის შემოღებას და დავძენ, რომ მიუხედავად კანონში არსებული ბევრი ჩემთვის მიუღებელი ნიუანსისა, მსაჯულთა სისტემა ადვოკატის როლს სასამართლო სისტემაში საგრძნობლად აამაღლებს.“

კომპანიაში კლიენტების მომსახურება მაღალი დონის პროფესიონალებს აქვთ მინდობილი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს გიორგი ჯიჯეიშვილს (ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის ლიცენზია საერთო სპეციალიზაციით) იურიდიულთან ერთად ეკონომიკური განათლება აქვს მიღებული, რაც მას ნებისმიერი პრობლემის აღქმასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. „ჩვენს სფეროში მომუშავე ადამიანისთვის ამგვარი განათლება აუცილებელია, რათა სამართალურითიერობა ორივე სიბრტყეში წარმოიდგინო. ორივე სფეროს ცოდნა სპეციალისტს გამორჩეულ უპირატესობას აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სხვა პიროვნების აზრის, მისი პოზიციის გათვალისწინება მოუწევს. ეს კი საქმეს ართულებს, რადგან, სამართალწარმოების პროცესების მიმდინარეობისას სხარტ აზროვნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. პიროვნება კი ყოველთვის შენს გვერდით ვერ იქნება, ამიტომ მოგიწევს გადაწყვეტილების მიღება ისეთ საკითხში, რომელშიც კომპეტენტური არ ხარ... ეს კი შედეგზე აუცილებლად იმოქმედებს.“

„კუბლაშვილი და პარტნიორები“ კლიენტს სწორედ ამგვარ კომპლექსურ მიდგომას სთავაზობს. კომპანიის ნებისმიერ თანამშრომელს სამივე მართულებით – სამოქალაქო, სისხლის



ნინო ვაჭარაძე

სამართლისა და ადმინისტრაციული დავების კუთხით შეუძლია პრობლემების მოგვარება. მუშაობის ამგვარი სტილის კიდევ ერთი უპირატესობა დროის ფაქტორიც გახლავთ.

კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: ახალგაზრდა ადვოკატები, რომლებიც კომპანიაში სტაჟირებას გადიან, ერთხმად აღნიშნავენ, რომ ხელმძღვანელი მათ უზარმაზარ ნდობას უცხადებს და დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას აძლევს. თავად მარიამი კი ლიმიტით იხსენებს, რომ სტაჟირების პერიოდში თავად მისი საქმიანობა, უმთავრესად, ქსეროქსის რიგში დგომით შემოიფარგლებოდა.

**ნინო ვაჭარაძე** - სტაჟიორ ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის ლიცენზია საერთო სპეციალიზაციით. კომპანიის უმთავრეს ხიბლად მომსახურების მაღალ დონეს და კლიენტებისთვის დათმობილი დროის განუსაზღვრელობას ასახელებს, რითაც მოქალაქეებს ყველა ფირმაში როდი ანებივრებენ... ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც პრობლემებით გულდამძიმებული მოქალაქე სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება



# KUBLASHVILI & Partners

და მას დახმარება არასამუშაო დროსაც სჭირდება. „ჩვენთვის გამოცდილების მიღება და კლიენტების პრობლემების მოგვარების სურვილი უმთავრესია. მეტი მოგებული პროცესი ხომ მეტი ნდობაა ჩვენს მიმართ!.. ჩვენ საზოგადოებას ვჭირდებით! მაქსიმალურად ვცდილობთ კლიენტის ბედის გადაწყვეტას, მისი პრობლემების მოგვარებას მაქსიმალურ დროსა და ენერჯიას ვახარჯავთ. ჩვენი ახალგაზრდა ხელმძღვანელი – საოცრად მობილიზებული და განათლებული ადამიანი კი გვერდში გვიდგას და დადებითი ენერჯიით გვემუხტავს...“

**თინათინ ვაპუაშვილი** - სტაჟიორ ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (გავლილი აქვს: ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენინგები, სტაჟირება ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებაში. ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა).

„სტაჟირება სხვა კომპანიაშიც გამოვიღია, მაგრამ მარიამ კუბლაშვილთან მიღებულ გამოცდილება შეუდარებლად მიმაჩნია. ჩვენთან სტაჟიორს შეხება აქვს თითოეულ საქმესთან, აქტიურად არის ჩაბმული სასამართლო პროცესში, კონსულტაციებს უტარებს კლიენტს და პასუხისმგებლობასაც კისრულობს. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ხელმძღვანელის გულმოდგინე ზედამხედველობით სრულდება. მარიამი მაქსიმალურად ცდილობს, მაღალკვალიფიციური კადრი გამოზარდოს – ეს ხომ მისი კომპანიის პრესტიჟის საქმეა!.. ჩვენს ოფისში ვერ იპოვით



ტამარა ჩიკვილაძე

ვერც ერთ „გაყინულ“ ადვოკატს, რომელიც ერთხელ მიღებული ცოდნით დაკმაყოფილდა... კვალიფიკაციას მხოლოდ პროცესებზე დასწრებით არ ვიმედობთ: სხვადასხვა სახის ტრენინგებსაც ვესწრებით, რათა კლიენტების პრობლემები გაღრმავებული ცოდნით კიდევ უფრო უკეთ მოვაგვაროთ.“

საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც კომპანიის სპეციალისტები არც თუ ისე სარგებან საქმეებსაც დიდ დროს უთმობენ და ჩვეული გულისხმიერებით ეკიდებიან, რადგან მთავარი ორიენტირი მათთვის ისევე და ისევე წარმატებული შედეგი და კმაყოფილი კლიენტია. სწორედ ამიტომ, რომ ბევრი მათგანი ამ საოცრად შეკრულ გუნდთან დღემდე მეგობრობს.

**ტამარა ჩიკვილაძე**: „მარიამი რამდენიმე წლის წინ საქალაქო-სასამართლოში გავიცანი, როცა ჯერ კიდევ ახალბედა სტუდენტი ჩემი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას ვცდილობდი. დღეს უკვე მარიამი ღირსეული და წარმატებული ადვოკატია. ჩემთვის მის გვერდით მუშაობა კარიერული წინსვლის საწინდარია. შესაძლოა, ერთი შეხედვით ხმამაღალი ნათქვამი იყოს, მაგრამ „კუბლაშვილი და პარტნიორები“ გამორჩეული იურიდიული ფირმაა, რომელსაც მოქალაქეებმა თამამად შეიძლება მიმართონ დახმარებისთვის, თუმცა ეს მართლაც ასეა. კომპანიაში არის საჭირო გარემო, ენთუზიაზმი, ახალგაზრდული შემართება, სწორი ურთიერთდამოკიდებულება და, რაც მთავარია, პროფესიონალიზმი.

ეს არის ყველაფერი ის, რაც ფირმაში შემოსულ მოქალაქეს სჭირდება. მარის ძალისხმევითა და შრომით ჩვენი - სტაჟიორ-ადვოკატების მონდომებული მუშაობით, ფირმა „კუბლაშვილი და პარტნიორებმა“ თავისი ადგილი დაიმკვიდრა საზოგადოებაში.“



# პროფესიონალებს კონკურენსიის არ ეშინიათ!

სად ჯობია  
დავების განხილვა:  
სასამართლოში, თუ  
არბიტრაჟში?  
ამ კითხვაზე  
დასაბუთებული  
პასუხი ბევრს  
აინტერესებს. ამ  
აქტუალურ საკითხთან  
დაკავშირებით  
გამოცდილი  
არბიტრაჟების  
მოსაზრებას გაგაცნობთ.  
ამასთან, იმ კომპანიის  
საქმიანობაზეც გიამბობთ,  
რომელიც მათ 5 წლის  
წინათ დააარსეს.



იურიდიული კომპანია სპს „ხაჩიძე და გორჩელაშვილების საკონსულტაციო ჯგუფი“ გთავაზობთ საადვოკატო და ყველა სახის სამართლებრივ მომსახურებას სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ყველა სახის ხელშეკრულებების შედგენას უძრავ და მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით, ავტორიზებულ მომსახურებას საჯარო რეესტრთან, ასევე, საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მომსახურებას. იურიდიულ ფირმაში საადვოკატო და სხვა სახის სამართლებრივ დახმარებას გაგიწევენ დამფუძნებელი პარტნიორები: თამარ, ლალი და ნანა გორჩელაშვილები და ირაკლი ხაჩიძე, რომლებიც ამავე კომპანიასთან არსებულ საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის არბიტრები არიან. მათ გარდა, კლიენტებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექვსი მოწვეული არბიტრი მოემსახურება.

კომპანია ბაზარზე 2005 წლიდან მოღვაწეობს და მოიცავს იურიდიული მომსახურე-

ბის მწარმოებელ ფირმებს, მათ შორის, არბიტრაჟებს, თუმცა კონკურენციას მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით იოლად უმკლავდება. „ხაჩიძე და გორჩელაშვილების საკონსულტაციო ჯგუფთან“ არსებული საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ლალი გორჩელაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ნდობის ფაქტორს ანიჭებს: „პარალელს სამედიცინო სფეროსთან გავაგებდით: როგორც ვერ ენდობი ექიმს, სანამ არ გაიკითხავ და გამოარკვევ, ვინ არის და რას წარმოადგენს, ასევეა ჩვენს სფეროშიც. თუ არ დარწმუნდი, რომ კვალიფიციურობასთან ერთად ადვოკატი კეთილსაიმედო და წესიერიცაა, მისი აყვანა საკმაოდ სარისკოა, რადგან ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოაჩინო, რომ იგი შენს ნაცვლად, თურმე, მეორე მხარის ინტერესებს იცავს... სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია...“

„ხაჩიძე და გორჩელაშვილების საკონსულტაციო ჯგუფთან“ არსებულ საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერი სირთულის დავა განიხილოს. კომპანიაში მისულ კლიენტებს საჭიროების შემთხვევაში თარჯიმნის ძეხნაც არ მოუწევთ: საერთო სპეციალიზაციის მქონე გამოცდილი ადვოკატი თამარ გორჩელაშვილი თავისუფლად ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

ლალი გორჩელაშვილი: „ისეთი სუსტი სასამართლოს პირობებში, როგორც ჩვენს ქვეყანაშია, არბიტრაჟი შესანიშნავი ალტერნატივაა. თუმცა, ევროპულ კოლეგებთან საუბრისას ნათლად ჩანს, რომ დავებისგან სასამართლოების განსატვირთად დიდი ძალისხმევა არის მიმართული. ერთი ელემენტარული განქორწინების საკითხი, შესაძლოა, სამი წლის განმავლობაში გაიწელოს, ჩვეულებრივი სახელშეკრულებო დავა კი 5-7 წელს გაგრძელდეს... ამ დროს, არბიტრაჟში დავები მოკლე ვადაში, თანაც, მაღალ-

კვალიფიციურად წყდება. საქართველოში დარეგისტრირებული 2 000-მდე არბიტრაჟიდან, ბუნებრივია, ყველა ერთნაირად სანდო და საიმედო ვერ იქნება... ბოლო პერიოდში უამრავი კრიმინალური ამბის მოწმე გაგხდით, რომელთა შედეგად რამდენიმე არბიტრი დააკავეს კიდევ. მსგავსი ფაქტები ავტორიტეტს ულახავს არბიტრაჟს. ამას დაემატა ისიც, რომ, თუ ადრე არბიტრაჟის გადაწყვეტილება ნოტარიულად დამოწმებული იყო, სააღსრულებლო ფურცლის გაცემა არბიტრაჟსვე შეეძლო, ახალი კანონის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა და სააღსრულებლო ფურცლის გაცემა მხოლოდ სასამართლოს მიწვევებით ხდება. ამ საკანონმდებლო სიახლემ გარკვეულწილად დააფრთხო ადამიანები. ბევრ მათგანს ურჩევნია, თუ საბოლოო სიტყვა მაინც სასამართლომ უნდა თქვას ცნობისა და აღსრულების თაობაზე, მაშინ, ისევ სასამართლოს მიაკითხოს დავის გადასაწყვეტად. მაგრამ, რაც არ უნდა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იყოს სასამართლო, იქ დავის განხილვა უზარმაზარ ხარჯთანაა დაკავშირებული და დროშიც იწელება. მაგალითად, საქართველოს სასამართლოს პირობებში ერთ დავას 1-1,5 წელი მაინც სჭირდება, იდეალურ პირობებშიც კი. ეს მაშინ, როცა დროულად ხდება საქმის დანიშვნა, გადაწყვეტილების ჩაბარება, გადაგზავნა ზემდგომ ინსტანციაში... ვფიქრობ, ამ საუკეთესო შემთხვევაზე უკეთესი ალტერნატივა არბიტრაჟი, სადაც საქმის განხილვისთვის საჭირო მაქსიმალურ ვადად 6 თვე ითვლება, თუმცა, უმთავრესად,

ამისთვის 1-1,5 თვეც საკმარისია. სასამართლოში დავის ცნობისა და აღსრულებისთვის კანონმდებლობით 10 დღეა დადგენილი. ეს პროცედურა ხანდახან თვემდეც კი გრძელდება-ხოლმე. გამოდის, რომ საქმეს, რომელსაც სასამართლო იდეალურ პირობებშიც კი წელიწადზე მეტ დროს ანდომებს, ჩვენ მაქსიმუმ 2,5 თვეში ვდებთ. სხვათა შორის, საერთაშორისო კერძო სამართლის იურიდიული ტერმინი „გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება“ ახალმა კანონმა ცოტა განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოადგინა. მას უნდა ვიყენებდეთ იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილებას უცხო ქვეყანა გამოიტანს, მისი აღსრულება კი საქართველოში უნდა მოხდეს, ქართულმა სასამართლომ უნდა სცნოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. ახლა კი ქართულ სახელმწიფოში ქართულ არბიტრაჟში მიღებული გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება. იმედია, ეს ხარვეზი გამოსწორდება. თუმცა, ამ პირობებშიც რომ მოგვიწიოს მუშაობა, ჩვენს კომპანიას ეს არ აშინებს: კვალიფიციურად გადაწყვეტილი საქმის ცნობასა და აღსრულებას სასამართლოში პრობლემა არ შეექმნება. არაკვალიფიციური მიდგომის შემთხვევაში კი მხარე ზარალდება არბიტრაჟში გაწეული ხარჯებისა და დაკარგული დროის გამო, შემდეგ კი ისევ თავიდან უწევს ყველაფრის გაკეთება და იმ არბიტრაჟს მიმართავს, სადაც მაღალი დონის პროფესიონალები მუშაობენ. საგულისხმოა, რომ ჩვენი არბიტრაჟიდან კმაყოფილი მხოლოდ ის პიროვნება კი არ მიდის, რომელმაც მოგემარ-

თა, მოპასუხე მხარეც მაღლობებს გეიხდის-ხოლმე და მერე კლიენტებსაც კი გეიგზავნის... ეს ნამდვილად გევაძაყება. რომ არა კლიენტების კონფიდენციალურობა, ამ ფაქტზე თავადაც სიამოვნებით გიამბობდნენ...”

ლალი გოჩელაშვილის ოცნებაა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში სწორედ თბილისში იყოს ისეთი ავტორიტეტის მქონე არბიტრაჟი, რომელიც პარიზის, ან ლონდონის ცნობილ საერთაშორისო არბიტრაჟებს გაუტოლდებოდა. „თბილისის ნამდვილად იმსახურებს ამას! მართალია, სასამართლოს მდგომარეობა არასახარბიელოა, მაგრამ შედარებაც კი არ შეიძლება იმ ვითარებასთან, რომელიც სომხეთსა და აზერბაიჯანშია. ჩვენ მნიშვნელოვნად ვუსწრებთ მათ სამართლებრივი აზროვნების თვალსაზრისითაც და სასამართლოს სისტემის დონითაც. იქ საბჭოთა პერიოდის უძრაობის ხანა გეგონებათ... მექრთამეობა ყვავის. ასეთ პირობებში მათ ისევ ქართული არბიტრაჟი ურჩევნიათ. ასე რომ, ეს მომავლის საქმეა...“ – იმელოვნებს იგი.

ნანა ბოჩელაშვილი, საერთო სპეციალიზაციის მქონე გამოცდილი ადვოკატი: „კარგად მომზადებულ ხელშეკრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, როცა ის ქონებრივ ურთიერთობებს უკავშირდება. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი იურიდიული, თუ ფიზიკური პირისთვის უმჯობესია, კვალიფიციურ ადვოკატს მიმართოს, რათა მოსალოდნელი პრობლემები თავიდან აიცილოს. ჩვენს სფეროში ყველარისკის აბსოლუტურად გამორიცხვა შეუძლებელია, მაგრამ პროფესიონალი სწორედ ის არის, ვინც ამ რისკს მინიმუმამდე დაიყვანს...“

თბილისი, იპოლიტე ხეივანის ქ. №38/40, II სართული.

ტელ.: (+995 32) 10 47 42  
(+995 90) 325 325

e-mail: gochelashvilisgroup@gmail.com



**ბოჩელაშვილი**  
და კანონმდებლობა

## ინდუსტრიული მშენებლობის ლიდერი კავკასიაში

*რამდენიმე წლის წინ საქართველო სამშენებლო ბუმმა მოიცვა. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ ამ საქმით დაკავებული პირები უპირატესობას საცხოვრებელი და კომერციული ფართების აშენებას ანიჭებდნენ. ამის გამო ბაზარზე თითქმის თავისუფალი დარჩა ნიშა, რომელსაც ინდუსტრიული მშენებლობა ჰქვია. კომპანია „ICES“-მა თავიდანვე სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია, შეკრიბა პროფესიონალი ინჟინრებისა და პროექტ-მენეჯერების გუნდი და დღეისათვის მათი სახით საქართველოსა და კავკასიის რეგიონს აღნიშნული სფეროს ლიდერი ჰყავს...*



„ICES“-ი მომხმარებელს სთავაზობს სამეურნეო, ტექნიკური და საცხოვრებელი ჯიხურების, ანგარების, ავტოფარეხების, ავტოსამრეცხაოების, ავტობოქსების, კოტეჯების, „ენერჯო-ეფექტური“ სახლების, ლითონის კონსტრუქციების, საწარმოო სახეების, ხილისა და ბოსტნეულის შესანახი საწყობების როგორც მშენებლობას, ასევე, პროექტირებას, არქიტექტურას, დიზაინს, რემონტს, კონსტრუქციების აწყობასა და მონტაჟს. კომპანია „Turn-key“ პრინციპით, ანუ, „გასაღების ჩაბარებით“ მუშაობს და მშენებლობისთვის საჭირო იურიდიულ საკითხებსაც თავად აგვარებს. „ICES“-ი ასევე აწარმოებს იზოთერმულ კარებს, ტემპერატურულ ფარ-

დებს, სამაცივრე დანადგარებს, თაროების სისტემებს – „სტელაჟებს“, ინდუსტრიულ იატაკებს, დაინტერესებულ პირებს კი ბანანის დამწიფების ტექნოლოგიას სთავაზობს. „ICES“-ი ერთადერთი კომპანიაა კავკასიის რეგიონში, რომელიც პოლიურეთანის სენდვიჩ-პანელებს ამზადებს. ეს გახლავთ საუკეთესო თბოიზოლაციური და შეუცვლელი მასალა სამაცივრე საწყობებისათვის.

2009 წლიდან კომპანია „ICES“-ი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საპროექტო-საინჟინრო და არქიტექტურული ფირმის – LEO A Daly-ს პარტნიორია კავკასიისა და შუა აზიის რეგიონებში. ასევე გახლავთ International Assotiation of Cold-ის

წევრი. „ICES“-ი გლობალური გაციების სისტემების მწარმოებელი იტალიური კომპანია ZANOTTI-სა და კონტროლირებადი ატმოსფეროს დანადგარების შემქმნელი პოლანდიური ფირმის – Besseling Group-ის ექსკლუზიური წარმომადგენელია. კომპანიაში ინერგება ISO 9001:2008 სტანდარტი 9001:2008.

**ბოჩა იაკობაშვილი**, კომპანია „ICES“-ის კომერციული დირექტორი: „8 წლიანი გამოცდილება, ძლიერი საინჟინრო და საპროექტო ჯგუფი, ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირება გვაძლევს საშუალებას, კომპანია ინდუსტრიული სფეროს გამოკვეთილი ლიდერი იყოს.“

რასაკვირველია, საცხოვრებელი და კომერციული ფართების მშენებლობა გაცილებით მომგებიანი იყო, რამაც სფეროში მომუშავე ფირმების ორიენტაცია განაპირობა. ჩვენ კი თავიდანვე დაინტერესებული ვიყავით ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით და წარმოების ამოქმედებით, განსაკუთრებით, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მიმართულებით. ჩვენი სფერო სპეციფიკურია: თუკი მუდმივად სიახლეების პულსზე არ გვედგება ხელი, დამკვეთი კმაყოფილი ვერ იქნება. სწორედ ამ მიზნით გავდივართ ტრენინგებს. ახლაც ერთ-ერთი პოლანდიური ფირმის წარმომადგენლები გვსტუმრობენ, რომლებსაც აქვთ ექსკლუზიური პროდუქტი: საღებავის მსგავსი პროდუქცია, რომელსაც მაცივ-



რებსა და ხილის საწყობებში გადაბმის ადგილებში იყენებენ სრული პერმეტულობისა და იზოლაციისთვის. ეს მის ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად

აუმჯობესებს. იდეას დამკვეთთან ერთად ვამუშავებთ, მასთან შეთანხმებით ხდება დაპროექტებაც. ყველა პროექტს ვმართავთ პროექტ-მენეჯმენტის პროგრამაში, რაც დამკვეთს მშენებლობის პროცესში ვადებისა და გრაფიკის გაკონტროლების საშუალებას აძლევს. ეს აუმჯობესებს საწყობის, თუ მაცივრის ფუნქციონირებას.“

„ICES“-მა გორში ხილისა და ბოსტნეულის სამაცივრე საწყობი ააგო თავისი საოფისე შენობით, ფეხბურთის მოედნითა და სხვა ინფრასტრუქტურითურთ. კომპანიის სპეციალისტები აპროექტებენ უკრაინის ერთ-ერთი უდიდეს კომერციულ საწყობს და ლოჯისტიკის ცენტრს ილიხევსკში.

„ICES“-ის დამკვეთები არიან კომპანიები: „პოპული“, რომელსაც ცოტა ხნის წინ კომპანიამ სასაწყობო და საწარმოო ფართი აუშენა; „გუდვილი“, რომელიც ახალ სავაჭრო ცენტრ „ქარვასლაში“ მაღაზიის გახსნას აპირებს, სადაც მაცივრებს სწორედ „ICES“-ი დაამონტაჟებს; „საბაჟო ტერმინალი ლილო-1“, „არომა“, „ეკოფუდი“, „გაერთიანებული ტელეკომი“, „პე-ეს-პე“, „ჰაიდელბერგცემენტი“...

მისამართი: იუმაშვეის ქ.№14  
ტელ/ფაქსი: +995 32 24 36 55  
ელ-ფოსტა: info@ices.ge





# BP-ში განათლების ინვესტირება პრიორიტეტული მიმართულებაა



PR

საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, რომ კომპანია „BP“ ფართო სოციალური ინვესტირების პროგრამებს რამდენიმე მიმართულებით ახორციელებს. 2007 წელს კი გაჩნდა იდეა – კომპანიას ინვესტირება განათლების სისტემაში ახალი მიმართულების უზრუნველყოფაში მიემართა.

„თავისუფალ უნივერსიტეტში“ შარშან კომპანია „BP“-ს მხარდაჭერით პროექტების მართვის კოლეჯი (PMC) გაიხსნა. სასწავლებელი საქართველოს კერძო და სახელმწიფო სექტორების წარმომადგენლებს მართვის კომპლექსურ და ინტეგრირებულ სასწავლო პროგრამას სთავაზობს, რომლის უმაღლეს ხარისხს უზრუნველყოფს „BP“-ს მიერ მოწვეული კომპანია **ESI International**-ი – მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაცია პროექტების მართვის სწავლების სფეროში. სასწავლებელმა პირველი საზეიმო გამოსაშვები საღამო ახლახან, 30 აპრილს „თბილისი იმენო-პოლში“ გამართა. პროექტების მართვის მაგისტრის სერტიფიკატები კოლეჯის 82 კურსდამთავრებულს გადაეცა.

პროექტების მართვის კოლეჯის სასწავლო პროგრამა შეიძლება მოდულისგან შედგება: 1) პროექტების მართვა, პროექტების ხელმძღვანელობა; 2) პროექტების დაგეგმვა და ხარჯების კონტროლი; 3) რისკების მართვა; 4) პროექტების წარმართვა და კომუნიკაცია; 5) ხარისხის კონტროლი პროექტების მენეჯერებისთვის, 6) პროექტების მართვის პრაქტიკული გამოყენება და 7) მოსამზადებელი კურსი „პროექტების მართვის პროფესიონალის“ (PMP®) გამოცდისთვის – წოდება, რომელსაც გასცემს „პროექტების მართვის ინსტიტუტი“, რომელიც გახლავთ მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი პროფესიული გაერთიანება. მსოფლიოში აღიარებული პროექტის მართვის მაგისტრის

რის სერტიფიკატს, რომელსაც ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი გასცემს, კურსდამთავრებულები პროგრამის შედივე მოდულის წარმატებით გაელის შემთხვევაში მიიღებენ. **ბიორბი ბონბლიაშვილი**, „BP“-ს ბიზნესის ხელშეწყობისა და ენერჯეტიკის პროგრამების კოორდინატორი: მიგვაჩნია, რომ განათლებაში ინვესტირება ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან, მას დადებითი გრძელვადიანი ეფექტი ახლავს თან. თანაც, ვფიქრობთ, ჩვენი გამოცდების გათვალისწინებით შეგვიძლია საქართველოში რაღაც ახალი და თანამედროვე შემოვიტანოთ. კოლეჯის გახსნას წინ უსწრებდა საგანგებო კვლევა: 50 სხვადასხვა კომპანიაში, მათ შორის, „BP“-ში





ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი სიცარიელე ბიზნესის ცოდნის კუთხით სწორედ პროექტების მართვის პროფესიონალებს ცოდნაში იყო. საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითების შესწავლის, საქმიან წრეებთან მოლაპარაკებების, აშშ-ში მდებარე „BP“-ს პროექტების მართვის აკადემიასთან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, ველოსიპედი თავიდან არ გამოგვეგონებინა და პროექტების მართვის მსოფლიოში წამყვანი სატრენინგო ორგანიზაციისთვის – ESI International-ისთვის მიგვემართა. ახალი პროექტით ქართული კომპანიებიც დაინტერესდნენ და მისი დაფინანსების სურვილიც გამოთქვეს, მაგრამ აგვისტოს ომმა სიტუაცია შეცვალა... ჩვენ მაინც მივიღეთ გადაწყვეტილება, არ გაეჩერებულა იყავით და პროექტი საკუთარი ძალებით ავაშორებდით.

პროექტების მართვის კოლეჯში სწავლება მთლიანად ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, ამიტომ სასწავლებელში სწავლის მსურველები ამ ენას სრულყოფილად უნდა ფლობდნენ. სასურველია პროექტების მართვის სფეროში მინიმუმ ორწლიანი გამოცდილებაც. მართალია, კოლეჯში სწავლა საკმაოდ ძვირი ჯდება, მაგრამ კომპანია „BP“-ს დამსახურება მხოლოდ საქვეყნოდ ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციის მოზიდვით არ შემოფარგლულა: პირველ

წელს ერთწლიანი სწავლის საფასურის (10,180 აშშ დოლარი) 70 პროცენტი თავად დაფარა, სტუდენტებს კი მხოლოდ 30 პროცენტის გადახდა მოუწიათ. წელს სუბსიდირების ოდენობა 65/35-ზე შეიცვალა. მომავალი წლისთვის „BP“ და სტუდენტი, ან მისი დამკვირვებელი კომპანია სწავლების საფასურს თანაბრად გადაინაწილებენ. სუბსიდირების ოდენობის კლება იმითაა გამოწვეული, რომ ამ სამწლიანმა პროექტმა მდგრადობას მიაღწიოს და პროექტების მართვის კოლეჯმა არსებობა გააგრძელოს. საგულისხმოა, რომ პროექტის ხელმძღვანელობა ყველანაირად ცდილობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც სწავლების საფასურის დაკლებას შეუწყობს ხელს. მაგალითად, დაგეგმილია ქართველი სპეციალისტ-ტრენერების მომზადება, რომლებიც კურსს ESI International-ში გაივლიან, შემდეგ კი წარმატებით ჩაანაცვლებენ ზოგიერთ უცხოელ ინსტრუქტორს. სწავლების საფასურს ხომ, გარკვეულწილად, სწორედ მათ მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯები ზრდის...

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის სერტიფიკატის გარდა, კოლეჯის კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ ჩააბარონ ე.წ. “პროექტების მართვის პროფესიონალის” ტესტი (PMP®). როგორც გიორგი გონგლიაშვილი განმარტავს, ეს არ არის სამეცნიერო

ხარისხი, თუმცა, მთელს მსოფლიოში ფასობს და სერიოზული თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ ვაკანსიებში აუცილებელ მოთხოვნებს შორის ვგხვდებით. „ეს კიდევ ერთი საშუალებაა, რომელიც ქართველებს პროექტების მართვის სფეროში მსოფლიო დონის ექსპერტებად ჩამოყალიბების შანსს აძლევს“.

აღნიშნულ მოსაზრებებს კიდევ უფრო ამყარებს პროექტის მენეჯერი ქეთი ალექსიძე: „გარდა იმისა, რომ თავად პროგრამა ძალიან სერიოზულია, ჩვენი სურვილია, შევქმნათ პროექტის პროფესიონალ მენეჯერთა გუნდი. თითოეული სტუდენტისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ის კავშირები, რომლებსაც ისინი ჩვენთან სწავლის პერიოდში ამ სფეროს პროფესიონალებთან ამყარებენ. ამგვარი ურთიერთობები გამორჩეულად სასარგებლოა გამოცდილების გაზიარების კუთხით. პრაქტიკული საგარჯიშოებით გაჯერებული ინტერაქტიული მეთოდოლოგია ისეა აგებული, რომ სტუდენტს სახლში მოსამზადებლად თითქმის აღარაფერი რჩება. ყველა ჩვენი სტუდენტი საქართველოს სხვადასხვა წამყვანი კომპანიის წარმომადგენელია. კოლეჯის დაარსებისას არსებობდა გარკვეული ეჭვი – რამდენად გადაიხდიდნენ კომპანიები ამხელა თანხას ეკონომიკური კრიზისის პირობებში. უნდა ვაღიაროთ, რომ კომპანიების მიერ სტუდენტების დაფინანსების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. იყო შემთხვევა, როცა ერთმა კომპანიამ რამდენიმე კაცის სწავლების საფასურიც კი გადაიხადა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ საქმიანი ადამიანები ამგვარ ცოდნას მათი ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებლად მიიჩნევენ“.

ერთი სიტყვით, „BP“-ში განათლების სფეროში ინვესტირება პრიორიტეტული მიმართულებაა.

საკონტაქტო ინფორმაცია:  
 ნუცუბიძის I მ/რ  
 ტელ.: (+995 32) 72-81-64  
 მობ.: (+995 77) 20-10-20  
 k.aleksidze@pmc.com.ge  
 www.pmc.com.ge



# სამენარჩეო რისკ-მენეჯმენტი

რისკი ბიზნესის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია, ხოლო, რისკების მართვა იმ მასშტაბური სამუშაოს ნაწილია, რომელსაც კომპანიის მენეჯმენტი ღირებულების შესაქმნელად ასრულებს.

XX საუკუნის დასაწყისში წარმოებისა და მოხმარების მასშტაბების ზრდასთან ერთად გაიზარდა საწარმოო ავარიებისა და კატასტროფების რაოდენობა და მასშტაბები, რამაც მოგვიანებით აქტუალური გახადა „ეკოლოგიური კატასტროფის“ საშიშროება. საერთაშორისო კვლევების თანახმად, 1960-1992 წლებში მსოფლიო საზოგადოების ეკონომიკური (მატერიალური) ზარალის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდებოდა სტიქიური უბედურებებისა და ტექნოლოგიური კატასტროფების შედეგად.

ამდენად, თანამედროვე საზოგადოება სულ უფრო ნათლად აცნობიერებს, რომ ცივილიზაციის განვითარების შემდგომი ეტაპი შეუძლებელია პოტენციურად საშიში საწარმოების მკაცრი კონტროლის გარეშე განხორციელდეს. „უსაფრთხო“ წარმოების მიდგომამ დასაბამი მისცა მეცნიერების ახალი სფეროს - **რისკ-მენეჯმენტის** განვითარებას.

პირველად ყველაზე სერიოზული კვლევები, რისკების შეფასების მეთოდების (საუბარია საშიში წარმოების რისკების) შესაქმნელად, განხორციელდა ცნობილი კატასტროფის შემდეგ, რომელიც **კლიფლენდში** (აშშ) გახსნაცავში მოხდა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი სამრეწველო კატასტროფები სტიმულს აღწევდა რისკ-მენეჯმენტის შემ-

დგომ განვითარებას.

**სამრეწველო რისკების გვერდით თანდათან იზრდება ფინანსური რისკების მნიშვნელობა.** დღეს საფონდო ბირჟები თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანაში არსებობს და ყველა მათგანი განვითარებისა და ფუნქციონირების სხვადასხვა თავისებურებებით ხასიათდება.

**უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ფინანსური ნოვაციების სიმრავლე გამოიწვია რამდენიმე ფაქტორმა: მცოცავ გაცვლით კურსზე გადასვლა;**

მნიშვნელოვანი ეტაპი ფინანსურ სექტორში დაიწყო **ბრეტონ-ვუდსის** სისტემის (ფიქსირებული გაცვლითი კურსის) კოლაფსის შემდეგ. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ფულად ტრანსაქციებში გადამწვევტ როლს სწორედ ოქრო ასრულებდა და ყველა ფულადი ერთეულის საერთაშორისო ღირებულება მისი ოქროსთან (ფიქსირებული) დამოკიდებულებით განისაზღვრებოდა.

1968-1970 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ დანერგა **მცოცავი გაცვლითი რეჟიმი**, რომლის დროსაც საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე ფულადი ერთეულის ღირებულება განისაზღვრება. მართალია, მცოცავ გაცვლით რეჟიმს აქვს რიგი უპირატესობები, მაგრამ

ამავე დროს გაცვლითი კურსების მნიშვნელოვანი რყევები გახდა კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა ყველა საერთაშორისო ტრანსაქციისთვის.

ამ განუსაზღვრელობის წარმოშობის საპასუხოდ წარმოიშვა ფიუნერსული კონტრაქტები (Exchange-Traded Foreign-Exchange future contracts by the Chicago Mercantile Exchange). გაცვლითი კურსის განუსაზღვრელობა საპროცენტო განაკვეთებზეც გავრცელდა, რის შედეგად აღნიშნული პროდუქტი საფინანსო ბაზრებზე მნიშვნელოვნად განვითარდა. შედეგად წარმოიშვა, მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტრუმენტი - **სავაჭრო-გაცვლითი ოფციონები** (Exchange-Traded options – Chicago Mercantile Exchange). ორივე ინსტრუმენტი განვითარებად დროის ერთსა და იმავე პერიოდში დაიწყო.

**კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება;**

ინფორმაციული რევოლუცია, განსაკუთრებით კი კომპიუტერების განვითარება, ფინანსური ნოვაციების დიდი რაოდენობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. 1970-იანი წლების შემდეგ კომპიუტერული სისტემები მნიშვნელოვნად განვითარდა და კაცობრიობის არსებობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გახდა. დღეს ყველა მნიშვნელოვანი ფინანსური და სავაჭრო ოპერაციები კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება.

**მსოფლიო ეკონომიკური ზრდა;**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ნოვაციების სიმრავლისა 1970-იანი წლების შემდეგ ფინანსური ზრდის ფაზის გრძელვადიანი პერიოდია. საპირისპირო მდგომარეობა იყო ხანგრძლივადიანი ეკონომიკური სტაგნა-

ციის დროს, რომელიც დაიწყო 1930-იან წლებში და მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში 1950-იანი წლებამდე გაგრძელდა. ხანგრძლივადიანი დეპრესიის დროს არ არსებობდა მოთხოვნა ახალი ფინანსური ინსტრუმენტების და ბაზრების განვითარებაზე და ამავე დროს სახელმწიფოს მხრიდან გაზრდილმა რეგულაციებმა ფინანსური ინსტრუმენტების მიწოდების მოტივაციაც შეასუსტეს.

**გლობალიზაციის პროცესი;**

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ნაციონალური და მსოფლიო ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება რადიკალურად შეიცვალა, გამოიკვეთა ძირითადი ტენდენციები: **ნაციონალური ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია ერთიან გლობალურ ბაზრად, რაც იწვევს როგორც ოპერაციების რაოდენობის, ისე, ბაზრების ზრდას; კაპიტალი ოპერატიულად, ბარიერების გარეშე გადადის ერთი ბაზრიდან მეორეზე, რის შედეგად კიდევ უფრო იზრდება ბაზრების ურთიერთდამოკიდებულება; მიმდინარეობს მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტებში კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი და შესაბამისად ბაზრები უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ცალკეული მონაწილის ქცევაზე.**

**რეგულირება და დერეგულირება;**

„დიდი დეპრესიის“ შემდეგ ფინანსური რეგულირების ზრდა უარყოფითად აისახა ფინანსური ბაზრების განვითარებაზე. თუმცა, მეორე მხრივ, დღეს ფართოდ გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა წარმოშობას რეგულირებამ მისცა სტიმული. ესენია **სვოპები, ვეროლოლარები, ვერობონდები** და სხვა.

ობლიგაციებს, რომელთა განთავსება ხორციელდება უცხოური ემიტენტის მიერ მოცემული ქვეყნის საფინანსო ბა-

ზარზე და გამოხატულია ამავე ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში, **უცხოურ ობლიგაციას** უწოდებენ. ხოლო, ისეთ საერთაშორისო ობლიგაციებს, რომლებიც გამოხატულია ერთ ვალუტაში, მაგრამ ერთდროულად იყიდება რამდენიმე ქვეყანაში, **ვერობლიგაციად** მოიხსენიება. ამიტომ საერთაშორისო ობლიგაციების ბაზარი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც უცხოური და ვერობლიგაციების ბაზრების ერთობლიობა.

**რისკ-მენეჯმენტის პროდუქტების ევოლუცია;**

დღეს, საფასო რისკს შეუძლია არამარტო ზეგავლენა იქონიოს ფირმის კვარტალურ, ან წლიურ მოგებაზე, არამედ, განსაზღვროს მისი არსებობა. გაცვლითი კურსის, საპროცენტო განაკვეთების, საქონლის ფასების არაპროგნოზირებადი ცვლილებები – ისეთი რისკებია, რომელთა იგნორირება არ შეიძლება.

ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და რისკ-მენეჯმენტის პროდუქტების წარმოშობა შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა: უცხოური გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და საქონლისა და ნედლეულის ფასები უფრო სარისკო გახდა.

ფინანსური გარემოს ცვლილებებმა 1970-იანი წლების შემდეგ ახალ ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოთხოვნა განაპირობეს.

როდესაც ფინანსურ გარემოში დიდია განუსაზღვრელობა, ჩნდება **რისკ-მენეჯმენტის** ახალი პროდუქტები და ჰიბრიდული ფასიანი ქაღალდები (ჰიბრიდულს უწოდებენ ფასიანი ქაღალდებს, რომლებსაც აქვს სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის მახასიათებელი, მაგალითად, ხმის უფლების მქონე ობლიგაციები და სხვა). ფინანსური ნოვაციების შედეგად, ფინანსურ ინსტიტუტებს

შეუძლიათ უფრო ზუსტად შეაფასონ და მართონ თავიანთი საინვესტიციო პორტფელი, შეამცირონ რისკი და ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენონ იგი მათსავე სასარგებლოდ. ვინაიდან, შეუძლებელია საფასო განუსაზღვრელობის ელიმინირება, ინვესტორებისთვის უფრო ოპტიმალური გზაა მართონ რისკი, ვიდრე, მუდმივად ეცადონ საფასო ცვლილებების პროგნოზირებას.

რაც შეეხება უშუალოდ **სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტს**, ეს შედარებით ახალი მიდგომაა ბიზნესრისკებთან მიმართებაში და დაკავშირებულია ისეთ ტერმინებთან, როგორცაა: **კორპორატიული რისკ-მენეჯმენტი, ბიზნეს რისკების მენეჯმენტი, სტრატეგიული რისკ-მენეჯმენტი, ინტეგრირებული რისკ-მენეჯმენტი** და სხვა.

**სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის უამრავი განმარტება შეიძლება მოვიყვანოთ. თუმცა, მათ ძალიან ბევრი საერთო აქვთ, რომლებზეც დაყრდნობით შეიძლება გამოვიყვანოთ სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის ძირითადი მახასიათებლები: (1). სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი ორგანიზაციის მენეჯმენტის ნაწილია, რომელიც მიმართულია რისკების შემცირებაზე; (2) სხვადასხვა რისკების მართვა და მონიტორინგი ხორციელდება არა ინდივიდუალურად, არამედ კოორდინირებულად და ერთიანი სტრატეგიით. შესაბამისად, ეფექტიანი სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის პირობებში კომპანიას შეუძლია გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობა მოიპოვოს. (3). სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი ზრდის კომპანიის ღირებულებას კომპანიის მფლობელებისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის.**

სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი, ცხადია, ტრადიციული რისკების მართვის კონცეფციებს

ეყრდნობა, თუმცა, მთავარი განსხვავება ის არის, რომ სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი საწარმოს ყველა რისკის ინტეგრირებული მიდგომით მართვის საშუალებას იძლევა. ტრადიციული რისკ-მენეჯმენტისგან განსხვავებით, რომელიც ფიზიკური და ფინანსური აქტივების დაცვაზეა ფოკუსირებული, სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი ორიენტირებულია საწარმოს აქტივების მთლიან პორტფელზე, რომელშიც შედის ფიზიკური და ფინანსური აქტივები, ასევე, მომხმარებელთა, დასაქმებულთა და მომწოდებელთა აქტივები (როგორცაა სტრატეგიები, ბრენდი, ინოვაციური პროცესები და სხვა).

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტისადმი. 2008 წელს კონსალტინგურმა კომპანიამ Deloitte ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანი იყო სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის განხორციელების მდგომარეობის გამოვლენა სხვადასხვა ბიზნესებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 151 სხვადასხვა სექტორის კომპანიამ (ძირითადად მსხვილი კომპანიები, წლიური შემოსავლით 1-20 მილიარდი აშშ დოლარი) ჩრდილოეთ ამერიკიდან, სამხრეთ აფრიკიდან და ევროპის ქვეყნებიდან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია:

- სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტისადმი ინტერესი იზრდება, კომპანიების 56%-მა სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის პროგრამები ბოლო 2 წლის განმავლობაში დანერგეს;

- რეგულირება და მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის განვითარებაში;

- სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის მნიშვნელობას ყველა კომპანია განსხვავებულად ხსნის და სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის ბენეფიტების არასრულად ცოდნა მის ეფექტიან დანერგვას აფერხებს;

- სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტის პროგრამები ორიენტირებულია პროცესებსა და სტრუქტურებზე და ისინი არ არის სრულად ინტეგრირებული ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან (სტრატეგიული დაგეგმვა; კაპიტალის ალოკაცია და სხვა); ამასთან, ეს პროგრამები ფოკუსირებულია არსებული აქტივების რისკებზე და არა მომავალი ზრდის შესაძლებლობებზე;

- კომპანიების უმრავლესობას არა აქვს კრიტიკული რისკების მართვის შესაბამისი

ცოდნა და გამოცდილება.

სამეწარმეო რისკ-მენეჯმენტი მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რისკ-მენეჯმენტის განვითარებას ძირითადად საფინანსო ორგანიზაციები ცდილობენ. თუმცა, ბევრი ბიზნესმენი და მეწარმე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, ნაკლებად იცნობს ამ სფეროს და რისკების შემცირების მარტივ მექანიზმებსაც არ იყენებს, რაც მათი განვითარების შესაძლებლობას ზღუდავს.

სამეწარმეო საქმიანობის რისკების კვლევა აქტუალური საკითხია, რომლის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ კვლევის მთავარი მიზანი იქნება არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის რისკების შეფასებისა და მართვისადმი მეცნიერული მიდგომის და საზღვარგარეთ აპრობირებული მოდელების კვლევა, არამედ, რისკ-მენეჯმენტის ისეთი სისტემის განსაზღვრა, რომელიც ქართულ რეალობას შეესაბამება.

**მარინა ავალიშვილი**

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

**ANNOTATION**

**DEVELOPMENT OF ENTERPRISE RISK MANAGEMENT AS SCIENCE**

**Marina Avalishvili**

PhD Fellow, University of Georgia

Enterprise Risk Management is a relatively new term that is quickly becoming viewed as the ultimate approach to risk management. A number of factors have contributed to the development of enterprise risk management such as globalisation process, development of financial instrument, recent advances in computing power, etc.

There has been a significant increase in interest in Enterprise Risk Management (ERM). It is clear that development of the enterprise risk management is important for all developing countries including Georgia

to improve business performance and increase companies' value for shareholders and society. Special survey should be conducted to determine risks in different business sectors and risk management instruments should be developed. Studying of enterprise risk management is vital for science and education system in Georgia and research will be much more valuable if we concentrate on defining the risk management system that would be easy to introduce and use in Georgian businesses.

# ეკონომიკური პოლიტიკის არსი, მიზნები და ამოცანები



**უშახვი სამადაშვილი,**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურად აქტიური ადამიანის დამოუკიდებელ, რაციონალურ და ოპტიმალურ გადაწყვეტილებას (არჩევანს). ამგვარი გადაწყვეტილებისთვის საჭიროა ეკონომიკური ცოდნა, რათა სწორად შევაფასოთ ეკონომიკური პროცესების (პოლიტიკის) რეალურობა და პრაგმატულობა. უნდა ვერკვეოდეთ ეკონომიკური პოლიტიკის არსში, სახეობებში, მიზნებში, რეალიზების მექანიზმში, ინსტრუმენტებში და სხვა კატეგორიებში.

**ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ ეკონომიკური გადაწყვეტილება ნორმატიულ ეკონომიკურ თეორიას ეფუძნება.** ძირითადად, ეკონომიკური პოლიტიკის ქვეშ მოიაზრება მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყოფენ ფულად-საკრედიტო, საგადასახადო-საბიუჯეტო, სავალუტო, სოციალურ და სხვა მიმართულებებს.

**განვითარებული საბაზრო ეკონომიკის** ქვეყნებისთვის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაცია მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდას, სრულ დასაქმებას, დაბალ ინფლაციას, დადებით საგადასახდელო ბალანსს, ეკონომიკური ეფექტიანობის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას, ყველა სამეურნეო სუბიექტისთვის თავისუფლების მაღალი ხარისხის მინიჭებას, გარემო ბუნების დაცვა-გაუმჯობესებას. **გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის** ჩამოთვლილ მიზნებს ემატება კერძო სექტორისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამეურნეო ცხოვრების ლიბერალიზაცია და სხვა.

**ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგება.** ასე, მაგალითად, აქტიური ბრძოლა ინფლაციის წინააღმდეგ ჩვეულებრივ გულისხმობს ეკონომიკური ზრდის დაცემას და უმუშევრობის გამწვავებას. სწორედ ამიტომ, სიგუ-

აციიდან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების პრიორიტეტები, შეიძლება შეიცვალოს. ეს, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ მოცემულ სიტუაციაში რომელი მათგანია ყველაზე საჭირობო და სასწრაფო გადასაწყვეტი.

**ეკონომიკური პოლიტიკა არის** სამეურნეო პროცესებზე სახელმწიფოს გემოქმედების ღონისძიებათა ერთობლიობა საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი მიზნების რეალიზებისათვის. **მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება იყოს ავანტიურისტული, ვოლუნტარისტული, პოპულისტური და რეალისტური.** იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკაში უარყოფილია საზოგადოების მოთხოვნები, ქვეყნის რეალური შესაძლებლობები, ობიექტური კანონზომიერებანი და მასში მხოლოდ პოლიტიკის შემუშავების სურვილები და ინტერესები დომინირებს, **სახეზეა ვოლუნტარისტული პოლიტიკა;** როცა პოლიტიკა ვირტუალური, არარეალური და უპერსპექტივოა, საქმე გვაქვს **ავანტიურიზმთან;** როცა პოლიტიკაში პრევალირებს არა ის, რაც ეკონომიკურად მიზანშეწონილია, არამედ ის, რაც ბევრისთვის მოსაწონია (ვთქვათ, დღევანდელ საქართველოში პენსიების სამჯერ გაზრდა, ან საკუთრების ნაციონალიზაცია) – **ეს პოპულიზმია.**

საზგასახმელია, რომ **რეალური ეკონომიკური პოლიტიკა არის არა სურვილების, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობების სინთეზი.** რეალური პოლიტიკის არსი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ და პრაგმატულ გამოყენებაშია. სწორედ ამაშია ეკონომიკური პოლიტიკის პრაგმატიზმის არსი.

ეკონომიკური პოლიტიკა აღმოცენდა სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად. ასე მაგ: **მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების პირობებში ეკონომიკური პოლიტიკა** გულისხმობდა გადასახადების აკრეფას, ფულის მიმოქცევის რეგულირებას და აგრარული საკითხების მოწესრიგებას. კაპიტალიზმის **ჩასახვის სტადიაზე, როდესაც ჯერ კიდევ სუსტი იყო მეწარმეობა,** გამოიყენებოდა პროტექციონისტული, ანუ სამამულო წარმოების მფარველობის (დაცვის) პოლიტიკა, რომლის თეორიულ საფუძველს შეადგენდა **მერკანტილიზმი;** კაპიტალიზმის **ჩამოყალიბების ეტაპზე, როდესაც მეწარმეთა კლასი ჩამოყალიბდა და მოღონიერდა,** შემოდებული იქნა ფრიგრედერული, ანუ ვაჭრობისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც საფუძველად დაედო **აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის თეორია.**

ნებისმიერი პროგრესის მაძიებელი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზანი მაკროეკონომიკური და სულიერი დოვლათის, ანუ მთლიანი ეროვნული პროდუქტის გრძელვადიანი სტაბილური ზრდის საფუძველზე მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობის მიღწევაა, რაც ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებით რეალიზდება. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაზე და მასთან დაკავშირებულ სოციალურ მოვლენებზე სახელმწიფოებრივი გემოქმედების პროცესია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება გარკვეული თეორიების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილისა და თავისებურებების საფუძველზე შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური მიზნებისა და მათი მიღწევის სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობა. სხვათაშორის, ეკონომიკური პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური მიზნებისა და მათი მიღწევის (აღმინისგრაფიული, სამართლებრივი და ეკონომიკური) მეთოდების ერთობლიობა.

მასასადამე, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების საწინდარი არსებული მდგომარეობის მაკროეკონომიკური ინდიკატორების შესწავლა-ანალიზი და ობიექტური შეფასება. **პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს:** რა მდგომარეობაშია ეკონომიკა? რა ხდება ეკონომიკაში და რატომ ხდება? აქედან გამომდინარე ღიაგნობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს **ნორმატიული ეკონომიკური ანალიზი** და მომავლის პროგნოზი, ანუ განისაზღვროს: რა გეინდა, რა მდგომარეობაში გვსურს ვიხილოთ ეკონომიკა და რა უნდა ვიღონოთ მიზნის მისაღწევად.

ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანი რეალიზების პრობლემა იმაშია, რომ მისი შემუშავება, განხორციელება და ეფექტის მი-

ღება მოითხოვს დროის გარკვეულ ინტერვალს (დროის ლაგს), რომლის განმავლობაშიც ეკონომიკაში სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს კიდევ. ამდენად, „დროის ლაგის“ შემცირება ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა.

**ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტად მოიაზრება:** სახელმწიფო (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება), ავტონომიური და ადგილობრივი ინსტიტუციონალური წარმონაქმნებით; არასახელმწიფოებრივი კავშირები (დამოუკიდებლად მოქმედი პროფკავშირები, მეწარმეთა კავშირი). ამ სუბიექტების მოქმედების არეალი და შესაძლებლობები განსხვავებულია. სახელმწიფოს მინიჭებული აქვს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება. კავშირებს და გაერთიანებებს კი შეუძლიათ დაემყარონ მხოლოდ თავის ეკონომიკურ ძალას – მათ საკანონმდებლო ძალაუფლება არა აქვთ. თანამედროვე პირობებში ვხვდებით მესახელმწიფოებრივი რეგულირების ინსტიტუტებსაც, მაგალითად, ევრო პარლამენტს, ევროკავშირის ცენტრალურ ბანკს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

**ამჟამად საქართველოში ეკონომიკურ პოლიტიკაზე აქტიურად მოქმედი მთავარი სუბიექტებია:** ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და ეროვნული ბანკი. აქედან, ეროვნული ბანკი პროფესიული ორგანოა, დანარჩენი კი – პოლიტიკური. ქართული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში გარკვეული წვლილი შეაქვთ, აგრეთვე, მეწარმეთა დარგობრივ კავშირებს, პოლიტიკურ პარტიებსა და პროფკავშირებს.

**ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები და მათ შორის წინააღმდეგობების აღაღების გზები**

როგორც აღვნიშნეთ, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყუ-

რადლება უნდა დაეთმოს მაკროეკონომიკური მიზნების სწორად განსაზღვრას. თანამედროვე მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის ხელისუფლების წინაშე დგას შემდეგი მაკროეკონომიკური მიზნები:

**1. ფასებისა და ვალუტის კურსის სტაბილურობის შენარჩუნება.** ფასების სტაბილურობაში იგულისხმება ინფლაციის ისეთი დაბალი დონე, რომელსაც საწარმოები და ფიზიკური პირები პრაქტიკულად უგულებელყოფენ ყოველდღიური გადაწყვეტილების მიღების თუ გარიგებებისა და ხელშეკრულებების დადებისას. **განვითარებულ ქვეყნებში** ინფლაციის ასეთ დაბალ, ოპტიმალურ დონედ მიჩნეულია 1-3%. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, ის რომ ევროკავშირში გასაწვერიანებელი კანდიდატი ქვეყნებისათვის ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად წლიური ინფლაციის 2%-იანი ლიმიტია განსაზღვრული.

ცხადია, საქართველოს მყიფე და არასტაბილურ ეკონომიკურ გარემოში ინფლაციის ასეთი დაბალი 2%-იანი მაჩვენებლის დაწესება მიზანშეწონილია, რადგანაც იგი ღეფლაციას გამოიწვევს, საწარმოთა ლიკვიდურობას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის და ქვეყნის ეკონომიკას ხელშეწყობის ნაცვლად ღიდ მიანს მიაყენებს. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, 2012 წლამდე ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ინფლაციის წლიური ტემპი არაუმეტეს 6%-ისა. რაც შეეხება უფრო გრძელვადიან პერსპექტივას, ინფლაციის მიზნობრივი ზღვარი, ალბათ, 3-4%-მდე შემცირდება;

**2) ეკონომიკური ზრდა.** ეს არის ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის გადიდება საზოგადოების მოთხოვნებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ოღონდ ამგვარმა ეკონომიკურმა ზრდამ არ უნდა გამოიწვიოს პროდუქციის ხარისხის გაუარესება და ეკო-

ლოგიური წონასწორობის დარღვევა.

ჩვეულებრივ, ცხოვრების დონის შესაფასებლად იყენებენ მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის ღირებულებას, ანუ საშუალო შემოსავლებს (საქართველოში ეს მაჩვენებელი 2008 წლისათვის შეადგენს 4351 ლარს). საშუალო შემოსავალი გარკვეულწილად არამუსკი მაჩვენებელია. რაც იმას ნიშნავს, რომ რეალურად ზოგს 4351 ლარზე მეტი და ზოგს ნაკლები შემოსავალი აქვს. აღნიშნულის გამოა, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 40% სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ე. ი. მათი შემოსავლები საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. არადა, ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორებიდან გამომდინარე, ქვეყანა მყარად ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საარსებო მინიმუმს დაბლაა მოსახლეობის მაქსიმუმ 10%-ის შემოსავლები და მისი მოქალაქეები გამოიმუშავენ იმდენ შემოსავალს (მოსახლეობის ერთ სულზე არა ნაკლებ 5000 აშშ დოლარი), რომლითაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ ბაზარზე მდგრად მოთხოვნას და, მეორე მხრივ, ქმნიან დანაზოგებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მათი მფლობელების სასარგებლოდ და ეროვნული ეკონომიკის განვითარების დასაფინანსებლად.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშპ მოსახლეობის ერთ სულზე საარსებო მინიმუმზე (არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები მინიმალურ ფასებში) დაბალია, აღამიანებს ნაკლებ მიუწვდებათ ხელი განათლებამე, სამედიცინო მომსახურებაზე, უწევთ შიმშილობა, არასათანადოდ ჩაცმა-დახურვა და ავადმყოფობა. ცხადია, ბევრი ამ დუხჭირ ცხოვრებას ვერ უძლებს, ნაწილი - გადის ქვეყნის საზღვრებს გარეთ საშოვარზე, რის შედეგადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, რაც ადეკვატურად აისახება მშპ-ზე. მიზეზთა გამო, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან

დღემდე საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 1 მილიონით შემცირდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში 1994 წლიდან დღემდე ცხოვრების დონის ამაღლება უკავშირდება არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას, არამედ მოსახლეობის რაოდენობის სწორედ ამგვარ შემცირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების ამოცანაა მშპ-ის ზრდის უზრუნველყოფა ეკონომიკური აღმაშენებლობის, ანუ საქონლისა და მომსახურების მოცულობის გადიდების გზით, რაც მოითხოვს ბიზნესის განვითარებას. თავის მხრივ, ბიზნესის განვითარება - დამატებით გრძელვადიან ინვესტიციებს, გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვა კი - პროგნოზირებად პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას ეფუძნება. შევნიშნავთ, რომ სტაბილურობის ნებისმიერი დარღვევა აფერხებს ინვესტიციებს, ინვესტიციების სიმწირე - ბიზნესის განვითარებას. ბიზნესის განვითარებლობა იწვევს სამუშაო ადგილების, საქონლის წარმოებისა და შემოსავლების შემცირებას, ყოველივე ეს კი-სიღარიბესა და ცხოვრების დონის გაუარესებას. ამგვარად, უნდა გავაცნობიეროთ, რომ საჭიროა არა მადესტაბილიზებული აქციების გამართვა, არამედ ბიზნესის განვითარებისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა. ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფასთან ერთად აუცილებელია ნაზარდი შემოსავლის სამართლიანი განაწილება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სიღარიბის დაძლევა და მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკური ზრდა და სოციალური სამართლიანობა ბერკეტიანი სასწორის ორი პინაა, რომლებიც ერთმანეთს უნდა აწონასწორებდნენ.

სამუშაო უზრუნველყოფა, მოგვარე ეკონომიკური ზრდის ილუზია იქმნება უხარისხო საქონლის და მომსახურების, სამხედრო პროდუქციის წარმოებისა და ეკოლოგიის ინტენსიური დაბინძურების ხარჯზე.

ხშირად, ეკონომიკური ზრდის მიზნით განხორციელებული წარმოების ავტომატიზაცია და საზღვარგარეთ ე.წ. მეორე ეკონომიკის ჩამოყალიბება ქვეყნის შიგნით იწვევს უმუშევრობის ზრდას;

3) სრული დასაქმების უზრუნველყოფა - უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის, ანუ 5-6%-ის ფარგლებში მოქცევა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც სურს მუშაობა და შრომისუნარიან ასაკშია, საჭიროა მათი სამსახურით უზრუნველყოფა. რაგომდაც, დღეს საქართველოში 40 წელს გადაცილებული ადამიანები დაკარგულ თაობად ითვლება. არადა, სიბრძნე და გამოცდილება სწორედ ამ ასაკიდან გროვდება. რასაკვირველია, ახალგაზრდა თაობას მეტი ენერჯია და რისკი აქვს, მაგრამ აკლია სიბრძნე და გამოცდილება. სწორედ ამიტომ, საჭიროა ამ ენერჯიისა და სიბრძნის არა გათიშვა და თაობებს შორის დაპირისპირება, არამედ გაერთიანება, ერთ კალაპოტში მოქცევა.

ქვეყნის კეთილდღეობა დიდადაა დამოკიდებული, აგრეთვე, დასაქმების დონის ზრდაზე ანუ უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე (5-6%) შემცირებაზე. სწორედ ამიტომ ყველა ნორმალური ქვეყანა სერიოზულად ეკიდება უმუშევრობის საკითხებს. უმუშევრობის მაჩვენებელი გამოხატავს შრომისუნარიან მოქალაქეთა პროცენტს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში. თუ ეს მაჩვენებელი ბუნებრივი დონის ფარგლებშია, ყველა ბედნიერად გრძნობს თავს. მაგრამ თუ უმუშევრობა ბუნებრივ დონემე მაღალია, მოსახლეობა შიშობს არ დაკარგოს სამუშაო ადგილი. ეკონომისტთა თვალსაზრისით, დასაქმება შეიძლება ჩაითვალოს 100 პროცენტთან, თუ უმუშევრობის დონე არ აღემატება 5-6 %-ს. ე.ი. როდესაც სახეზეა მხოლოდ ფრიქციული უმუშევრობა (ამ დროს უმუშევარი ეძებს შედარებით უკეთეს სამუშაო ადგილს) და სტრუქტურული უმუშევრობა (ამ დროს მუშაკი იძულებულია აითვისოს ახალი სპეციალობა, აიმაღლოს კვალი-



ფიკაცია და ა. შ.). ასე, რომ ბუნებრივი (ფრიქიული და სტრუქტურული უმუშევრობა) საზოგადოებაში პროგრესული პროცესების მომასწავებელია. საგანგაშოა ციკლური უმუშევრობა, რადგანაც წარმოების დაცემისათვის არის დამახასიათებელი და ყველაზე ხანგრძლივია. ამჟამად საქართველოში უმუშევრობის დონე შეადგენს დაახლოებით 16%-ს. სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში შედარებით დაბალი ხელფასებისა და ფართოდ მთარული სიდარბე-სილაგაკისა;

4) სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა. ნებისმიერი წვერი საზოგადოებისა სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იქნას მინიმალური საარსებო საშუალებებით მაინც.

5) სავაჭრო ბაზანსის შენარჩუნება და ამ გზით მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევა. რადგანაც ექსპორტი იმპორტის საფუძველია, ამდენად მიზანშეწონილია ექსპორტი სჭარბობდეს იმპორტს, ან მათ შორის იყოს ტოლობა. ექსპორტის მრდით ქვეყანაში შემოედინება, ხოლო იმპორტის მრდით კი პირიქით – გაედინება სავალუტო ნაკადები.

გემოთ ჩამოთვლილი მიზნები მოგჯერ ერთმანეთის რეალიზაციას უწყობენ ხელს, გარკვეულ სიტუაციაში კი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. მაგ: დასაქმების

მრდა უზრუნველყოფს ეკონომიკურ მრდას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას და ა. შ. მაგრამ სრულმა დასაქმებამ, როდესაც იგი უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის ქვემოთ ჩამოვა, შესაძლებელია გამოიწვიოს ინფლაცია, ანუ ფასების დონის მკვეთრი მრდა. ან კიდევ, შემოსავლების სამართლიანი განაწილების მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკის ეფექტიანობის დაქვეითება და ა. შ. ამიგომ სახელმწიფოს ეკონომიკურ ხელი-სუფალთა ამოცანაა სწორად განსაზღვრონ ქვეყნის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული მიზნები და დასახონ გზები მათ მისაღწევად.

**ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების რეალიზაციის ინსტრუმენტარიუმი**

მაკროეკონომიკური მიზნების რეალიზაციისათვის ქვეყნის ეკონომიკური ხელისუფლება იყენებს მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტებს, ესაა:

1) ფულად-საკრედიტო, მონეტარული პოლიტიკა, ანუ ძვირი ან იაფი ფულის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკებთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ეკონომიკური აქტიურობის შემღვდისა ან წახალისებისათვის;

2) საბიუჯეტო-საგადასახადო, ფისკალური პოლიტიკა, რომელიც გადასახადებისა და ხარჯების ცვალებადობით ეკონომიკური აქტიურობის რეგულირებას გულისხმობს.

3) სოციალური პოლიტიკა, როგორც ადამიანთა ცხოვრების (მრომისა და დასვენების) პირობების შენარჩუნება-გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების სისგემა. იგი გულისხმობს მინიმალური ხელფასის დაკანონებას, უმუშევრებზე შემწებობების დაწესებას, საზოგადოების უალრესად გაჭირვებულ წევრებზე გრანსფერების, ბავშვებზე დახმარებებისა და ა.შ. გაცემას;

4) საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, ანუ საბაჟო ტარიფებით, ქვოტებით, ლიცენზიებითა და ვალუტის კურსის ცვალებადობით ქვეყნის საგარეო ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა.

როგორც დავინახეთ, ეკონომიკური პოლიტიკა არის სახელმწიფოს ქმედება მიმართული მაკროეკონომიკური მიზნებს შორის არსებული წინააღმდეგობების (კონფლიქტების) გადაჭრისაკენ. სწორედ ამიგომ, ქვეყნის განვითარების დონიდან და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე უნდა შემუშავდეს მიზნების პრიორიტეტების გარკვეული სისგემა და გონივრულად შეირჩეს მათი რეალიზაციის ინსტრუმენტარიუ-

**АНОТАЦИЯ**

**СУШНОСТЬ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ, ЦЕЛИ И ЗАДАЧИ**

Ушанги Самадашвили,  
Доктор экономических наук, профессор

Экономическая политика основана на нормативной экономике. Под этим термином подразумевают экономическую политику страны, точнее - ее правительства. В экономической политике выделяют отдельные направления, называя их также политикой, например денежно-кредитная, налогово-бюджетная, валютная и т.д.

В ходе реализации экономической политики страна преследует различные цели. Для развитой рыночной экономики это прежде всего экономический рост, полная занятость, низкая инфляция, положительный

платежный баланс, повышение экономической эффективности, рост благосостояния населения и другие цели. В переходной экономике к ним добавляются создание частного сектора и рыночной инфраструктуры, либерализация хозяйственной жизни и др. Но проблема заключается в том, что многие цели экономической политики противоречат друг другу. так, активная борьба с инфляцией обычно означает падение экономического роста и усиление безработицы. Поэтому в зависимости от ситуации приоритетность целей в экономической политике может меняться.

# ჭიდავ ერთხელ დემობრაფიისა და დემობრაფიული სტატისტიკის შესახებ

მეცნიერება



**მერაბ ხვალაშვილი,**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

დემოგრაფია დამოუკიდებელი მეცნიერება თუ იგი დემოგრაფიული სტატისტიკის სინონიმია? ამ კითხვაზე პასუხი საუკუნეების განმავლობაში არ არსებობდა. „დემოგრაფია“ მხოლოდ სტატისტიკის დარგად განიხილებოდა.

დღემდე, ყველა, თვით ამ სტრიქონების ავტორიც დემოგრაფიულ სტატისტიკას და მოსახლეობის სტატისტიკას სინონიმებად მიიჩნევდა.

დემოგრაფიული სტატისტიკა დემოგრაფიულ პროცესებს ასახავს და მოსახლეობის სტატისტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მოსახლეობის სტატისტიკა მოიცავს მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ, ეკონომიკურ, ეროვნულ, კონფესიურ და სხვა მახასიათებლებს.

ცნობილი ქართველი სტატისტიკოსის და დემოგრაფის **გ. გამყრელიძის** განმარტებით: „მოსახლეობის სტატისტიკის, როგორც მეცნიერების შესწავლის საგანია საზოგადოების განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში აღებული მოსახლეობა, როგორც სოციოლოგიური მასა, და მასში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები, განხილული ისეთ ნიშანთა მიხედვით, რომლებიც სტატისტიკურ შესწავლას ექვემდებარებიან“. დემოგრაფიულ პროცესებში **გ. გამყრელიძე** განიხილავს შობადობას, სიკვდილიანობას, ქორწინებას, განქორწინებას და მიგრაციას. რამდენადაც დემოგრაფია სწავლობს დემოგრაფიულ პროცესებს, პრაქტიკულად, დემოგრაფიის და დემოგრაფიული სტატისტიკის საგანი ერთნაირად განიხილავდა.

დემოგრაფიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების შესახებ აზრი არსებობდა უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფრანგ და იტალიელ მეცნიერებში. უკრაინელი დემოგრაფის, აკადემიკოს **მ. გ. პტუხას** ცნობით

ესენია: **გ. რუმელინი (1863), ე. ენგელი (1866), მ. ბლოკი (1878), ა. გიიარი (1855), ლ. ბერტილონი და ჟ. ბერტილონი (მამა და შვილი – 1880, ლ. ბერტილონი იყო ა.გიიარის სიძე), რ. ბენინი (1906) და სხვები.**

დემოგრაფიის დამოუკიდებელ მეცნიერებად აღიარება მოხდა გასულ საუკუნეში. ამ პერიოდში დისკუსია მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: 1. რატომ შეფერხდა დემოგრაფიის გამოყოფა სტატისტიკიდან და 2. რა არის დემოგრაფიის დამოუკიდებელ მეცნიერებად აღიარების ძირითადი არგუმენტი. განვიხილოთ ორივე მიმართულება ცალ-ცალკე.

**1. რატომ შეფერხდა სტატისტიკისგან დემოგრაფიის გამოყოფა?**

ცნობილი რუსი სტატისტიკოსი და დემოგრაფი **აბოიარსკი** წერდა: „მისი (სტატისტიკის – მ.ხ.) როლი იმდენად დიდია, რომ ეს გახდა დემოგრაფიის და ხალხთმოსახლეობის სტატისტიკის ერთმანეთში არასწორად არევის მიზეზი. ხალხთმოსახლეობის სტატისტიკა წარმოადგენს დემოგრაფიის ერთ-ერთ ნაწილს“.

ჯერ თავად **ტერმინი – „ხალხთმოსახლეობა“** (ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც არის დამკვიდრებული). ბოიარსკის აზრით ტერმინ „მოსახლეობისგან“ ის იმით განსხვავდება, რომ ლაპარაკია ხალხისაგან შემდგარ მოსახლეობაზე. თუმცა შეიძლება

დემოგრაფიაში ლაპარაკი იყოს ხალხის გარდა სხვა, მაგალითად მწერების ან მცენარეების მოსახლეობაზე? რუსულ დემოგრაფიულ ლიტერატურაში ტერმინი „ხალხთმოსახლეობა“ საყოველთაოდაა გავრცელებული, ხოლო დემოგრაფი **ლ.დარსკი** ისე გაიტაცა ამ დაკონკრეტებამ, რომ შემოგთავაზა ტერმინი – „აღამიანთა მოსახლეობა“, რომელიც საბედნიეროდ, არაფის აღარ გაუმეორებია. ქართული ენისთვის ტერმინი „ხალხთმოსახლეობა“ საჭირო არ არის იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ ცნება „მოსახლეობა“, ქართულში დაკავშირებულია სახლთან, ხოლო სახლის აშენება შეუძლიათ მხოლოდ ადამიანებს. ამასთან, ადამიანების გარკვეულ ერთობლიობას მხოლოდ მაშინ ეწოდება მოსახლეობა, თუ აქვთ თვითშენარჩუნების უნარი.

რაც შეეხება სტატისტიკის **„დიდ როლს“**, ის ისტორიულად ასრულებდა, ასრულებს და შეასრულებს „დიდ როლს“. **სტატისტიკის და სტატისტიკური მეთოდების გარეშე დემოგრაფია ვერ იარსებებდა**, რამდენადაც სტატისტიკა დემოგრაფიული პროცესების შესახებ ინფორმაციის აბსოლუტურ უმეტესობას იძლევა, ხოლო სტატისტიკური მეთოდები წარმოადგენს დემოგრაფიული ანალიზის ძირითად მეთოდს. **არ შეიძლება იყოს პროფესიონალი დემოგრაფი, სტატისტიკის თეორიის და დემოგრაფიული სტა-**

აპრილი 2010

ტიტისტიკის ცოდნის გარეშე, რადონის პროფესიონალიც არ უნდა იყოს ის ნებისმიერ მოსახლერე დარგში.

რაც შეეხება დემოგრაფიულ სტატისტიკას, როგორც დემოგრაფიის შემადგენელ ნაწილს. თუ დემოგრაფიული სტატისტიკა დემოგრაფიის შემადგენელი ნაწილია, მაშინ როგორაა დღემდე ის როგორც მეცნიერულად, ისე პრაქტიკულად იმავდროულად სტატისტიკის შემადგენელი ნაწილი? მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ინფორმაციას დემოგრაფიულ პროცესებზე ხომ სტატისტიკური სამსახურები მოიპოვებენ? უფრო მეტიც, დასაქმების სტანდარტული კლასიფიკაციით, რომელიც წარმოადგენს შრომის საერთაშორისო სტატისტიკის სტანდარტს, დემოგრაფიის პროფესია მიეკუთვნება სტატისტიკის პროფესიების ჯგუფს. ამიტომ ადრეც მიღებული იყო და დღესაც ვსარგებლობთ ზოგიერთი მეცნიერის ტიტულად: სტატისტიკოსი და დემოგრაფი.

დემოგრაფიულ ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, რომ დემოგრაფია წარმოადგენს დემოგრაფიული სტატისტიკის საფუძველს, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ პირიქით, დემოგრაფიული სტატისტიკა წარმოადგენს დემოგრაფიის საფუძველს.

დემოგრაფიის დამოუკიდებელ მეცნიერებად აღიარებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებმა. 1919 წელს ქიევიში აკადემიკოს მ.გ. პტუხამ დაარსა მსოფლიოში პირველი დემოგრაფიის ინსტიტუტი, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის გაუქმებამდე 1939 წლამდე. დემოგრაფიის ინსტიტუტი არსებობდა ქლენინგრადშიც, რომელიც გაუქმდა უფრო ადრე, 1934 წელს. ამ ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერმა პროფესორმა ვ.ვ. პავესკმა, როცა გაიგო ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, რამდენიმე საათში გულის შეტევით 41 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დემოგრაფიული მოვლენების საბჭოურმა ფალსიფიკაციამ, დემოგრაფიული კვლევები საბჭოთა კავშირში რამდენიმე ათეული წლით შეაფერხა. ფაქტობრივად,

რეპრესიები დემოგრაფიული მეცნიერების წინააღმდეგ განხორციელდა. ამ პროცესზე სტატისტიკურ-დემოგრაფიული ინფორმაციის შეზღუდვამაც იმოქმედა. დემოგრაფიული ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო, მოსახლეობის აღწერა საბჭოთა კავშირში 1939 წლის შემდეგ მხოლოდ 1959 წელს ჩატარდა.

ჟურნალ „ვესტნიკ სტატისტიკი“-ს (სტატისტიკის მოამბე) ფურცლებზე 1968-1970 წლებში დემოგრაფიის და დემოგრაფიული სტატისტიკის ურთიერთობის საკითხზე მწვავე დისკუსია გაიმართა. დისკუსიაში მონაწილე 20 ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი სტატისტიკოს-დემოგრაფებიდან 19-მა დემოგრაფია ჩათვალა დამოუკიდებელ მეცნიერებად, რომელიც დემოგრაფიული სტატისტიკით სარგებლობს, ხოლო ერთმა (პ.გ. პოლიაჩინი) დემოგრაფიულ სტატისტიკასთან გააიგივა. საინტერესო იყო ამ უკანასკნელის არგუმენტი: 1950-იან წლებში მოსკოვში გამოიცა სახელმძღვანელო „დემოგრაფიული სტატისტიკა“ პროფ. ა. ბოიარსკის და პ. შუშერინის ავტორობით. 1967 წელს მოსკოვში პროფ. ა. ბოიარსკის ხელმძღვანელობით ავტოროთა კოლექტივმა გამოსცა სახელმძღვანელო „დემოგრაფიის კურსი“. პოლიაჩინმა გამოაქვეყნა ორივე სახელმძღვანელოს სარჩევები თავების და პარაგრაფების ჩამონათვალით, რომლებიც პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვეოდნენ.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასასრული და 70-იანი წლების დასაწყისი ერთი მნიშვნელოვანი გარემოებით ხასიათდება. დემოგრაფიამ, როგორც სასწავლო დასციპლინამ უნივერსიტეტის კარები შეაღო. აი რას წერს ამის შესახებ მსოფლიოში ცნობილი ფრანგი დემოგრაფი ალფრედ სოვი: „ცოდნის ეს დარგი ისე დიდხანს ვითარდებოდა მარტოხელა მკვლევარების მიერ, რომ მისთვის შეიძლებოდა გვეწოდებინა – „მივიწყებული მეცნიერება მასწავლებლებისა და მოსწავლეების გარეშე“. მან მხოლოდ უკანასკნელ წლებში შეაღო მორიდებულად უნივერსიტეტის კარი, მაგრამ ბევრ ქვეყ-

ნაში ის ძველებურად რჩება კარს მიღმა“.

დემოგრაფიამ, როგორც სასწავლო დისციპლინამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი ასევე მორიდებულად 1970-იანი წლების დასაწყისში შეაღო. 1970 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტატისტიკის და ზოგიერთი სხვა სპეციალობაზე დემოგრაფიის კურსი 2007 წლამდე იკითხებოდა.

დღეს დემოგრაფია, რომელიც ერთ-ერთი საინტერესო და კონკურენტუნარიანი საგანია, იგ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში საერთოდ აღარ იკითხება. უფრო მეტიც, 2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი დემოგრაფიის კათედრა 2006 წელს გაუქმდა. (კათედრა ფუნქციონირებდა ისტორიის ფაკულტეტზე და ემსახურებოდა ისტორიისა და უნივერსიტეტის სხვა მუშაობის პროფილის ფაკულტეტებს).

რა არის ძირითადი არგუმენტი დემოგრაფიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ცნობისათვის. ეს ძირითადი არგუმენტი: სტატისტიკა პასუხს გვაძლევს კითხვაზე თუ როგორია დემოგრაფიული პროცესების დონე, დინამიკა, სტრუქტურა, ე.ი. სტატისტიკით კეთდება დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი ანალიზი, მაგრამ ვერ გვაპასუხობს კითხვაზე თუ რატომ იცვლება დემოგრაფიული ტენდენციები, რა ფაქტორები მოქმედებენ დემოგრაფიული პროცესების დონესა და დინამიკაზე.

დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედებენ სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნული, რელიგიური და სხვა ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ დემოგრაფიულ განწყობას, ე.ი. ადამიანების დამოკიდებულებას დემოგრაფიული პროცესების მიმართ. აღნიშნული საკითხები შეისწავლება სოციოლოგიური მეთოდებით.

საქართველოში დემოგრაფიული პროცესების სოციოლოგიური გამოკვლევები ცალკეული მეცნიერების, კათედრების, ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალურად, უხისტემოდ ტარდ-



ბა, ისიც საჭიროების შემთხვევაში, საერთო სახელმწიფოებრივი მიდგომების გარეშე, რაც მის საიმედოობისა და მომცველობის თვალსაზრისით არსებითად განასხვავებს სახელმწიფო სტატისტიკის მიერ დემოგრაფიული პროცესების შესახებ ქვეყნის მასშტაბით მოპოვებული ინფორმაციისაგან. საუკეთესო გამოსავალი ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში იქნებოდა ის, რომ სახელმწიფო სტატისტიკას თავის თავზე აეღო ქვეყნის მასშტაბით დემოგრაფიული პროცესების სოციოლოგიური შესწავლა, ერთიანი პროგრამით, მეთოდოლოგიით, გარკვეული პერიოდულობით. მაგალითად, 5 წელიწადში ერთხელ, რომელიც მოგვცემდა რეპრეზენტატულ, დროში შესადარ სტატისტიკურ-სოციოლოგიური გამოკვლევების საიმედო მასალას ქვეყნის მასშტაბით.

სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება გარკვეულ ფინანსებთანაა დაკავშირებული, რაც ქვეყნის მასშტაბით მისი პერიოდულად ჩატარებაზე უარის თქმის მიზეზი შეიძლება გახდეს. მაგრამ არსებობს საკმაოდ კარგი გამოსავალი. სახელმწიფო სოციოლოგიური გამოკვლევები ჩატარდეს ქვეყანაში არსებულ და მოქმედ შინამეურნეობის კვლევის ქსელზე დაყრდნობით. თუ ასეთი რამ არსებობს სხვა ქვეყნებში, შეიძლება მათი გამოცდილების გაზიარება და თუ არ არსებობს, მაშინ საქართველოს მსოფლიო სტატისტიკურ-დემოგრაფიულ პრაქტიკაში შესაძლებლობა ეძლევა პირველმა განახორციელოს ეს პროექტი. რა თქმა უნდა, ასეთი პროექტის განხორციელებაში კერძო პროექტებით მონაწილეობა აქტუალურია არ კარგავს. მათი მიზანი პრობლემის ცალკეული ასპექტების სიღრმისეული შესწავლა გახდება, ეს კი გაამ-

დიდრებს სახელმწიფო სტატისტიკურ-სოციოლოგიური კვლევებით მიღებულ შედეგებს.

საინტერესოა სოციოლოგიური კვლევით მიღებულ მასალების დამუშავების საკითხი. **საქმე ისაა, რომ აღნიშნული მასალების დამუშავება ხდება სტატისტიკური მეთოდებით, პირველ რიგში დაჯგუფებით, ე.ი. მოპოვებული მასალების გაერთიანებით ერთგვაროვან ჯგუფებად მათთვის დამახასიათებელი სტატისტიკური ნიშნების მიხედვით. გამოიყენება როგორც მარტივი, ისე კომბინაციური დაჯგუფებები. ეს უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ კავშირი დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ ფაქტორებსა და შედეგებს შორის.**

სოციოლოგიური კვლევის მასალების დაჯგუფებით ვიღებთ დემოგრაფიული მოვლენების მახასიათებელ აბსოლუტურ სტატისტიკურ სიდიდეებს, რომლებიც სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლის საფუძველია. ყველაზე გავრცელებული სტატისტიკური მაჩვენებლებია: შეფარდებითი და სტრუქტურის მაჩვენებლები, განსაკუთრებით საშუალო სიდიდეები, როგორცაა ოჯახში ბავშვების საშუალო ფაქტობრივი, იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რიცხვი, შობადობის საშუალო პროცენტული და ინტერგენტიკური ინტერვალები, ქორწინებაში შესვლის საშუალო ფაქტობრივი და იდეალური ასაკი და ა.შ. ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლებია სტატისტიკური მაჩვენებლებია და არაფისში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ამდენად, დემოგრაფიაში ძირითადი ინფორმაციული უზრუნველყოფა ხდება სტატისტიკის საშუალებით. დემოგრაფიის ძირითადი მეთოდი არის სტა-

ტისტიკის მეთოდი. სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები მუშავდება სტატისტიკის მეთოდით და გამოითვლება მოვლენების მახასიათებელი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა. ამ ჩამოთვლილს დავამატოთ ისიც, რომ დემოგრაფიის ძირითადი ენა არის სტატისტიკის ენა.

როგორც ჩანს, სიმართლესთან ძალიან ახლოს ვიყავი 1986 წელს, როდესაც ვწერდი: „იმდენად დიდია დემოგრაფიაში მოსახლეობის სტატისტიკის (ვიგულისხმობ დემოგრაფიული სტატისტიკის) როლი, რომ ზღვარი მათ შორის ზოგჯერ პირობით ხასიათს ატარებს“.

**ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ დემოგრაფიას დემოგრაფიულ სტატისტიკასთან აქვს საზიარო კვლევის საგანი, არ გააჩნია კვლევის საკუთარი მეთოდი – ასეთს წარმოადგენს სტატისტიკური და სოციოლოგიური მეთოდების კომპლექსი. დამოუკიდებელ მეცნიერებას უნდა ჰქონდეს კვლევის საკუთარი საგანი და მეთოდი.**

და მაინც რის საფუძველზე ვაღიაროთ დემოგრაფია დამოუკიდებელ მეცნიერებად?

**„წარმოადგენს რა სტატისტიკის ყველაზე უფლებს დარგს, დემოგრაფიულმა სტატისტიკამ თავისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე დააგროვა კვლევის იმდენი თეორიულ-მეთოდოლოგიური გამოცდილება და ემპირიული მასალა, რომ იმსახურებს დამოუკიდებლობას“.** თუმცა დემოგრაფია დემოგრაფიული სტატისტიკის გარეშე, როგორც მეცნიერება, ვერ შედგება.

**შესაბამისად, დემოგრაფია წარმოადგენს სტატისტიკური მეცნიერების შემადგენლობაში არსებულ დამოუკიდებელ მეცნიერებას.**

# სასურსათო უსაფრთხოების გლობალური პრობლემები

კაცობრიობა ახალ ათასწლეულში შიმშილისა და არასაკმარისი კვების სერიოზული საფრთხეებით შევიდა. 21-ე საუკუნის დასაწყისში აგროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც, გარემოს დაცვის, ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენებისა და მრავალ სხვა აქტუალურ საკითხთან ერთად, მსოფლიოს გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება.

FAO-ს ერთ-ერთი გამოკვლევის მონაცემების თანახმად, დღეისათვის მსოფლიოში დაახლოებით 815 მლნ. ადამიანი იტანჯება შიმშილისა და არასრულფასოვანი კვებისაგან, 1,0 მლრდ-მდე მხოლოდ საბაზისო მოთხოვნილებებს (2150 კკალ. დღე-ღამეში) იკმაყოფილებს და შიმშილის ზღვარზე იმყოფება; 2,0 მლრდ კაცზე მეტი იტანჯება ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტების (იოდის, რკინის, ვიტამინების და სხვ.) არასაკმარისი მოხმარებით გამოწვეული ე.წ. „შიმშილის ფარული ფორმებისაგან“; მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარი

(დაახლოებით 3,0 მლრდ. კაცი) განიცდის საკვები ცილების ნაკლებობას, მისი დაახლოებით მეექვსედი ნაწილი კი მოკლებულია უსაფრთხო სასმელი წყლის გამოყენებას.

თანამედროვე ეტაპზე სასურსათო პრობლემის სპეციფიკა უნდა განვიხილოთ გლობალურ, კონტინენტურ და ეროვნულ დონეებზე მისი გადაწყვეტის აუცილებლობის გათვალისწინებით. არსებული სასურსათო სიტუაცია მოითხოვს საგანგებო ზომების მიღებას როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა, ასევე მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობის დონეზეც; შიმშილთან და არასრულფასოვან კვებ-

ბასთან ბრძოლის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. ეს, უწინარეს ყოვლისა, დღის წესრიგში აყენებს სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი უკვე დამკვიდრებული და პერსპექტიული ტენდენციების გამოვლენას.

სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები, შემზღუდავ ფაქტორთა გათვალისწინებით, არ იძლევა სურსათისა და სანეღლეულო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ვარაუდის შესაძლებლობას შორეულ პერსპექტივაშიც კი.

FAO-ს ექსპერტთა გაანგარიშებით, სასურსათო რესურსების რამდენადმე ზრდის მიუხედავად, სურსათის მიწოდება მსოფლიო მასშტაბით მაინც არასაკმარისი იქნება. კერძოდ, 2030 წლისათვის მარცვლეულის წარმოება გაიზრდება 20%-ით და მიაღწევს 2150 მლნ. ტონას, ანუ მასზე მოთხოვნის 80%-ს. ხორცის წარმოება გაიზრდება 50 მლნ. ტონით და მიაღწევს 230 მლნ. ტონას (მოთხოვნის 76%-ს). ზღვის პროდუქტების წარმოება შენარჩუნდება 100 მლნ. ტონის დონეზე (მოთხოვნის 60%). ამასთან, საპროგნოზო მაჩვენებლებით დგინდება, რომ თუ 1950-1985 წლებში სასურსათო რესურსების ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 30 მლნ. ტონას, 1985-2005 წლებში კი – 12 მლნ. ტონას, მაშინ 2006-2030 წლებში იგი უკვე 9 მლნ. ტონას არ გადააჭარბებს.

ამავე ექსპერტთა აზრით, უახლოეს მომავალში სურსათზე მოთხოვნა არსებითად გაიზრდება, რამდენადაც პლანეტის მოსახლეობა გაორმაგდება და 2030 წლისათვის მიაღწევს 8,9 მლრდ კაცს. კვების კალორიულობისა და ხარისხის ამაღლებისკენ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მისწრაფება კიდევ უფრო გაამწვავებს სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფასთან



დაკავშირებულ სიტუაციას.

სპეციალისტთა ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, თუ ამოსავალ პუნქტად მხოლოდ პლანეტის მოსახლეობის აღნიშნულ ზრდასა და კვების თანამედროვე ნორმებს მივიჩნევთ, მაშინ მარცვლეულის დეფიციტი 2030 წლისათვის 526 მლნ. ტონა იქნება, ზღვის პროდუქტების - 68 მლნ. ტონა, ხორცისა კი - 40 მლნ. ტონა. მაშასადამე, სურსათზე მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის ბალანსის უზრუნველყოფა უახლოესი 20-30 წლის განმავლობაში კვლავ პრობლემატური იქნება.

რიგი ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკა თვალსაწიერ მომავალში დიდად იქნება განსაზღვრული სასურსათო პრობლემის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გამწვავებით. ამგვარი პესიმისტური ვარაუდისათვის ყველანაირი საფუძველი არსებობს:

**ჯერ ერთი,** სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში დაშვებულ შეცდომებთან, აგრეთვე ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევასთან დაკავშირებით, მსოფლიო შევიდა მოსახლეობის ერთ სულზე სურსათის წარმოების მოცულობის შემცირების გრძელვადიან პერიოდში. მარცვლეულით ყველაზე მაღალი უზრუნველყოფა (345 კგ მოსახლეობის ერთ სულზე) მიღწეულ იქნა 1989 წელს, მაგრამ უკვე 1993 წლისათვის იგი შემცირდა 303 კგ-მდე, 2030 წლისთვის კი მოსალოდნელია მისი დაცემა 240 კგ-მდე, ანუ, 1989 წლის დონის 69%-მდე. 2030 წლისათვის

ზღვის პროდუქტების მოპოვება მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 12 კგ-ს, ნაცვლად 28 კგ-ისა 1990 წელს.

**მეორე,** სასურსათო რესურსების წარმოების მოცულობისა და სურსათით პლანეტის მოსახლეობის უზრუნველყოფის საერთო შემცირებასთან ერთად, გაძლიერდა დისპროპორცია მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით. 1950 წლიდან 2000 წლამდე მარცვლეულის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე აშშ-ში გაიზარდა 32 %-ით და შეადგინა 1160 კგ, დასავლეთ ევროპაში - 2-ჯერ (500 კგ-მდე), აფრიკის ქვეყნებში შემცირდა 27%-ით (118 კგ-მდე). ექსპერტთა ვარაუდით, 2030 წლისათვის მარცვლეულის საშუალოსულადობრივი წარმოება ჩინეთში შეიძლება სანახევროდ (164 კგ-მდე) შემცირდეს, ინდოეთში-15%-ით (158 კგ-მდე), პაკისტანში-30%-ით (90 კგ-მდე) და ირანში - 31%-ით (140 კგ-მდე).

**მესამე,** მცირდება სტაბილურობის დონე სასურსათო ბაზარზე, რომელიც განისაზღვრება კონიუნქტურული რყევების შემარბილებელი და ფასების შემაკავებელი რეზერვების არსებობით. 1987 წელს მსოფლიოში მარცვლეულის მარაგებმა შეადგინა 104 დღე, 2007 წელს კი - მხოლოდ 64 დღე. წარმოების მოცულობათა საპროგნოზო შემცირება კიდევ უფრო გაამწვავებს მდგომარეობას სასურსათო ბაზარზე და გააძლიერებს მის კონიუნქტურულ რყევებს.

**და ბოლოს,** სურსათის ძირითად სახეობებზე მსოფლიო

ფასების თანდათანობითი შემცირების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, დაიწყო მათი არსებითი ზრდის პროცესი. თავდაპირველად გაძვირდა ზღვის პროდუქტები, შემდეგ ეს ტენდენცია გაგრძელდა სურსათის სხვა სახეობებზეც. მეცნიერთა გაანგარიშებით, მომავალი 20 წლის განმავლობაში ფასი ხორბალზე გაიზრდება 66%-ით, სიმინდზე - 37%-ით და ბრინჯზე - 30%-ით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე დგება სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ყველა ქვეყნისათვის ურთიერთმისაღები პერსპექტივის განსაზღვრის ამოცანა. ასეთ სიტუაციაში აუცილებელია ერთიანი საერთაშორისო სტრატეგია, მრავალი ქვეყნის შეთანხმებული მოქმედება და რიგი ვალდებულებების მიღება, რომელთა შესრულება, რა თქმა უნდა, მარტივი საქმე არ იქნება.

ამასთან დაკავშირებით, 1992 წელს მსოფლიოს 1500-ზე მეტმა წამყვანმა მეცნიერმა, მათ შორის ნობელის პრემიის 102 ლაურეატმა ხელი მოაწერა მეორანდუმს („მეცნიერები აფრთხილებენ კაცობრიობას“) რესურსების გამოყენებისადმი და მიწაზე ცხოველქმედების უზრუნველყოფისადმი დამოკიდებულების შეცვლის მოწოდებით.

**1994 წელს გაერო-ს ხალხთა მოსახლეობის ფონდმა შესთავაზა კაცობრიობას პერსპექტივაში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა, მიწის რესურსების ნგრევის აღკვეთისა და 2050 წლისათვის ხალხთა მოსახლეობის 7,3 მლრდ. კაცამდე სტაბილიზების გზით. ამ პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო იქნება 61,2 მლრდ. აშშ დოლარი, რომლის დიდი ნაწილი უნდა წარიმართოს სახნავი მიწების დაცვისა და ტყეების აღდგენის ღონისძიებებზე.**

1996 წლის ნოემბერში მსოფლიო სამიტის მონაწილეებმა რომში მიიღეს სასურსათო უსაფრთხოების დეკლარაცია და ხელი მოაწერეს მოქმედებათა გეგმას 2015 წლამდე პერიოდისთვის. ფორუმის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ინდუს-



ტრიულმა ქვეყნებმა, რომელთა განვითარება განსაკუთრებით დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს გარესამყაროზე, ამ ზარალის კომპენსირება უნდა მოახდინონ თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0,7%-ის გამოყოფის გზით იმ ერების სასურსათო დახმარების მიზნით, რომლებიც ამას საჭიროებენ. **აშშ-მა მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას, დაიკავა განსაკუთრებული პოზიცია და განაცხადა, რომ იგი, როგორც ადრე, დახმარებას გაუწევს იმას, ვისაც საჭიროდ ჩათვლის და იმ მოცულობით, როგორცაც მიიჩნევს მიზანშეწონილად.**

საგულისხმოა, რომ თანამედროვე პერიოდში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისადმი სტრატეგიულ მიდგომებში. 70-იან წლებში ითვლებოდა, რომ სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის კვალობაზე სასურსათო პრობლემა გადაწყდება გლობალური მასშტაბით, შესაბამისად, იგი აღარ იარსებებს ეროვნულ დონეზეც, ე.ი. იკავებოდა „ზოგადიდან კერძოსაკენ“ მიდგომა. 1972 წელს თათბირის მონაწილეებმა სტოკჰოლმში განაცხადეს მსოფლიო მასშტაბით სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის განზრახვის შესახებ, რათა უკვე საუკუნის ბოლომდე ბოლო მოეღოთ შიმშილისათვის ამ საკითხის გან-

ხილვაში მონაწილეობის მიმღებ 170 ქვეყანაში. შემდგომ წლებში გაჩნდა ახალი მიდგომა, რომლის თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებლად ითვლება მხოლოდ ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე, ხოლო, მისი მეშვეობით – გლობალური მასშტაბითაც, ე.ი. პრობლემის გადაწყვეტა მოიაზრება უკვე „კერძოდან ზოგადისკენ“. ეს დაკავშირებულია შემზღულად ფაქტორთა არსებობასთან, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციებს და არ იძლევიან პერსპექტივაში სასურსათო რესურსების ზრდის მაღალი ტემპების ვარაუდის შესაძლებლობას.

თათბირის მონაწილეები რიო-დე-ჟანეიროში 1994 წელს, იხილავენ რა მომავალი, 21-ე საუკუნის პრობლემებს, აღნიშნავენ, რომ მდგრადი განვითარების გარანტია, სიღარიბესთან ბრძოლა, სასურსათო უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომელთა შესრულება უმჯობესია პროგრამების, გეგმებისა და სასურსათო პოლიტიკის შემუშავების გზით.

როგორც ვხედავთ, ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმების დოკუმენტები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და გადმოიცემა პრინციპით „**იზრუნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად**“. მაშასადამე, სასურსა-

თო პრობლემის გადაწყვეტა უკვე მოიაზრება არა გლობალურ, ან კონტინენტალურ მასშტაბებში, არამედ, მხოლოდ ეროვნულ დონეზე.

ამრიგად, მსოფლიო სოფლის მეურნეობის განვითარებაში სირთულეების გადრმაგებასთან დაკავშირებით სასურსათო პრობლემა, მართალია, ნელა, მაგრამ სულ უფრო გამოკვეთილად იძენს უსაფრთხოების პრობლემის ნიშნებს, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მსოფლიო თანამეგობრობის შეთანხმებული პოლიტიკისა და ერთობლივი პრაქტიკული საქმიანობის პირობებში. თუმცა, ეს არც თანამედროვე პირობებში და არც უახლოეს პერსპექტივაში გლობალურ დონეზე არ მოიაზრება რეალურად. ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველმა ცალკეულმა ქვეყანამ უნდა გადაჭრას საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერისა და გარანტიების შექმნის პირობებში.

**მერაბ ვანიშვილი**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ჯუღელი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**ANNOTATION**

**GLOBAL PROBLEMS OF FOOD SECURITE**

**Merab Vanishvili** – The professor of the Tbilisi technical university  
**Georgy Djygely** – Doktorant of the Tbilisi technical university

In article appearance of historical basis and reality of food problems are discussed. According some examples from separate periods of ancient time, middle and modern history it is proved that food problem is one of the most ancient and global problem.

The importance of food providing problem, inspite of some achievement of experts and specialists in XX century, hasn't been disappeared.

In the nearest 20-30 years the problem of the balance

between need and satisfaction of food will be still problematic.

Foreseeing limited factors of agricultural developing in the world, some alternative directions, admitted variants and strategic decisions are studied and valued. The most real is named "From private to common". According to this the decision is real only on the level of separate countries and with the help of them on the global level.

# სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სახელმწიფო მხარდაჭერის ზოგადი ასპექტები

სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანწილად შერბილდეს სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკის სხვა დარგებს შორის საქონელმიმოცვლის არა-ექვივალენტურობის შედეგები. ამასთან, იგი უზრუნველყოფს აგრარული სფეროს ფუქციონირების ეფექტიანობას ქვეყანაში. განვითარებულმა ქვეყნებმა, სადაც სახელმწიფო მართვის ორგანოები სავრცობენ ფინანსურ სახსრებს გამოყოფენ სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში მატალ შედეგებს მიაღწიეს.

სოფლის მეურნეობის განვითარების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მაღალი გადახდისუნარიანი მოთხოვნის დონე არ წარმოადგენს აგრობიზნესის მომგებიანობის გარანტიას. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სწორედ ის ქვეყნები, სადაც მაღალია ცხოვრების დონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მაქსიმალურ მხარდაჭერას უწევენ. ასე მაგალითად, აშშ-ში იგი ტოლია 46,5 მილიარდი დოლარის, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 1%-ის, ევროკავშირის ქვეყნებში – 121,4 მილიარდი აშშ დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1,3%), იაპონიაში – 48,7 მილიარდი აშშ დოლარის (მთლიანი შიდა პროდუქტის 1,4%). უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების საზოგადოება სოფლის მეურნეობასა და სასურსათო ბაზარს განიხილავს, როგორც სისტემას, რომელსაც არ გააჩნია თვითრეგულირების უნარი, ხოლო სახსრებს რომელიც გამოიყოფა სოფლის მეურნეობისათვის – როგორც საბაზრო ეკონომიკის პირობებში დარგის გარდაუვალი დანაკარგების ბუნებრივ კომპენსაციას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს მასშტაბურ მხარდაჭერას უწევენ იმ ქვეყნებში, სადაც აგრობიზნესის წარმოებისთვის განსაკუთრებით კარგი

ბუნებრივ-კლიმატური პირობებია. აღნიშნულის ტიპური მაგალითია – ნორვეგიისა და მაღალტექნოლოგიური იაპონიის ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებულია ნახშირწყალბადების მოპოვებაზე.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წესებით, შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ იმ სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებებზე, რომლებიც ახდენენ უარყოფით გავლენას კონკურენციაზე, ან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების შემოსავლებზე. მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში სახელმწიფოს გავლენა აგრარულ სექტორზე მიღებულია გაიზომოს მხარდაჭერის აგრეგირებული ღონისძიებების ინდექსის დახმარებით. იგი წარმოადგენს – ყველა სახის სახელმწიფო მხარდაჭერის, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ ფერმერთა შემოსავალზე, მთლიანი თანხის ფარდობას, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებასთან (ნახ. 1).

კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში სახელმწიფო მხარდაჭერა მიჩნეულია კონკურენტული ბრძოლისა და გასაღების ბაზრებისათვის ბრძოლის წარმართვის ძირითად ინსტრუმენტად. **საქმე იმაშია, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები, განსხვავებით წარმოების სხვა დარგებისგან, პრაქტიკულად თანაბრად ხელმისაწვდომია მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის.**


ამიტომ, განვითარებული ქვეყნები განზრახ არღვევენ ფასების საბაზრო პარიტეტს, ამცირებენ ფასს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და ასეთი სახით აძევენ კონკურენტებს ბაზრიდან.

დასავლეთის ქვეყნების ფერმერთათვის სახელმწიფო დახმარება შემოსავლების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია – უპირველესად წარმოებულ პროდუქციაზე ფასების შემცირების დანაკარგების კომპენსაციის ხარჯზე. აშშ-ში და ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ცალკეულ სახეებზე სახელმწიფო სუბსიდიები პროდუქციის სარეალიზაციო ფასში აჭარბებს 70%-ს (ნახ. 1). 2004 წელს ფინეთის ფერმერული მეურნეობების შემოსავლების გამოკვლევაში აჩვენა, რომ დოტაციის წილი მეცხოველეობიდან ამონაგების სტრუქტურაში შეადგენს 40%-ს, ხოლო მემცენარეობაში კი – თითქმის 60%-ს.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების სახელმწიფო მხარდაჭერის მნიშვნელოვან ინსტრუმენტია იმპორტისაგან შიდა სასურსათო ბაზრის დაცვა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, საშუალო შეწონილი საიმპორტო ტარიფები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე განვითარებად ქვეყნებში შეადგენს 18,7%-ია, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში – 13,36%, ხოლო, განვითარებულ ქვეყნებში – 43,1%. საქართველოში შესაბამის პროდუქციაზე საშუალო სატარიფო განაკვეთი კი მხოლოდ 10,7%-ის ტოლია.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ აგრარული წარმოება საქართველოში, ეფექტიანობის ერთნაირი დონის პირობებში, მოითხოვს გაცილებით დიდი რაოდენობის საწარმოო რესურსებს, ვიდრე, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ეს განპირობებულია როგორც ბუნებრივი, ასევე,





ნახ. 1. ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებაში სახელმწიფო სახსრების კუთრი წილი, %-ში.

სოციალური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განსხვავებებით. დასაფლეთის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ჩამორჩენა (ბუნებრივი ფაქტორების გამო), ძალიან ძნელი აღმოსაფხვრელია, შეუძლებელი თუ არა. ყოველივე ზემოთ თქმული, შიდა ბაზრის სუსტ საბაზო დაცვასთან ერთად ზღუდავს საქართველოს სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, როგორც მსოფლიო, ისე, შიდა ბაზარზე.

საქართველოს სინამდვილეში სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დახმარების დასაშვები დონის განსაზღვრისთვის ჩემის აზრით მიზანშეწონილია ისეთი

კრიტერიუმის გამოყენება, როგორცაა: სახელმწიფო ხარჯების დონე 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე გაანგარიშებით, და ეტალონად შეგვიძლია ავიღოთ კანადა. ამჟამად კანადაში 1 ჰა-ზე სახელმწიფო გამოყოფს დაახლოებით 188 აშშ დოლარს, ხოლო, საქართველოში სხვადასხვა შეფასებით გამოიყოფა 8-დან 14 აშშ დოლარამდე.

ქართველი ეკონომისტები სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მოქმედ ფორმებში მნიშვნელოვან დისბალანსზე მიანიშნებენ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლების სახელმწიფოს მხარდაჭერის ძირითადი აქცენტი კეთდება დანახარჯების სუბსიდირებაზე. ფასების რეგულირების პრობლემებს, აგრარული ბაზრის კონიუნქტურის სტაბილიზაციას და ფასების პა-

რიტეტს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე სამწუხაროდ უმნიშვნელო ყურადღება ეთმობა.

წამყვან აგრარულ ქვეყნებში მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენება სტიმულირდება სპეციალური მიწის პრემიის სისტემით. იგი გულისხმობს ფიქსირებული თანხის ყოველწლიურ გადახდას ყოველ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებულ სავარგულზე. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე მიწის პრემიის ოდენობის ვარიაციებით, შესაძლებელია არა მხოლოდ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიერ დაკავებული ფართობების, არამედ, აგრარული სფეროს განვითარების დარგთა შორის პროპორციების რეგულირება.

და ბოლოს: სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ცალკეული ფორმებისა და მექანიზმების მომზადება და გამოყენება საქართველოში შეუძლებელია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმებისა და წესების გაუთვალისწინებლად. ამასთან, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლის ეფექტიანი სახელმწიფო მხარდაჭერა, ასევე შეუძლებელია მსოფლიოს წამყვანი აგრარული სახელმწიფოების გამოცდილების გამოყენების გარეშე.

**ნიმო სამჭკუაშვილი**

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მასწავლებელი, დოქტორანტი

**ANNOTATION**

**GENERAL ASPECTS OF GOVERNMENT SUPPORT AGRICULTURE**

**Nino Samchkuashvili. Doctorate of GSAU**

World experience of agricultural development shows that the high level of domestic purchasing power of the population does not guarantee the profitability of agribusiness. In practice it is countries with the highest standards of living and income to devote the maximum amount of support to agricultural producers. Under the rules of the World Trade Organization (WTO), the restrictions apply only to the state support measures, which have a distorting effect on competition or income of agricultural producers. In practice, the world's economic state in the agricultural sector is generally measured by the index of USAID (the aggregate

measure of support) - ratio of the sum of all types of government support, directly affecting the incomes of farmers, to the value of gross agricultural output.

In classical economic theory of public support recognized as the major instrument of competition and struggle for markets. The fact that agricultural technology, in contrast to the aviation, missile, etc., almost equally accessible to all countries. Therefore, developed countries deliberately violate market parity prices, understating the price of agricultural products and squeezing, thus competing with the market.

# ეკონომიკური სასწაული, თუ სწორად შეჩვენული ეკონომიკური მოღვაწე

თემატიკა

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო რამოდენიმე ავტორის პუბლიკაცია, სადაც სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარ მკვეთრ ეკონომიკურ ზრდას „ეკონომიკური სასწაული“ უწოდეს. გერმანიაში, იაპონიაში, „ახალგაზრდა აზიურ ვეფხვებად“ წოდებულმა სინგაპურმა, ტაივანმა, ჰონკონგმა შედარებით მოკლე პერიოდში ეკონომიკურ ზრდაში მართლაც „სასწაულს“ მიაღწიეს.

წინამდებარე ნაშრომში ავტორი, ამ ქვეყნების და საქართველოს, საბაზრო ეკონომიკის ლიანდაგზე გადასვლის წინ, რამდენიმე სასტატო პოზიციას ავლებს პარალელს.

დარწმუნებულნი ვართ სტატია საინტერესო იქნება ჟურნალის მკითხველისთვის.



**თამაზ ვაშაკიძე,**  
აკადემიური დოქტორი

პირველ რიგში მკითხველს მოგახსენებთ, რომ არავითარ „სასწაულზე“ საუბარი არ არის. არის მხოლოდ, პროფესიონალების მიერ, არსებული რეალური მდგომარეობის სწორად გააზრება და ამა თუ იმ ეკონომიკური მოღვაწის სწორი შერჩევა და რეალიზაცია.

ასე მაგალითად, 1947 წელს გერმანიის მდგომარეობა ეკონომიკაში და სოციალურ სფეროში თითქოსდა გამოუვალად ჩანდა.

საწარმოო შენობებისა და სამრეწველო მოწყობილობის 20%, სატრანსპორტო ნაგებობების 40% და საცხოვრებელი ბინების 25% დანგრეული იყო. ინფლაციამ 600%-ს გადააჭარბა. 1937 წლის საზღვრებთან შედარებით, ტერიტორიის 25% დაიკარგა. ქვეყანას ელოდებოდა 20 მლრდ. დოლარიანი რეპარაციები. კონფისკაცია ჩაუტარდა გერმანიის ქონებას საზღვარგარეთ. ომის შემდეგ გერმანიის სამეურნეო სიმძლავრეების 50% დაკარგული იყო.

კვების პროდუქტები და ფართო მოხმარების სხვა საგნები საბარათო სისტემით ნაწილდებოდა. პრაქტიკულად არ მოქმედებდა ფულადი სისტემა.

**იაპონიაში,** 1945 წელს, ომამდელთან შედარებით, წარმოების მოცულობამ მხოლოდ 28% შეადგენდა. 1947 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 3.5 ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე 1938 წელს. ქვეყანამ ომში მატერიალური სიმდიდრის 40% დაკარგა, ხოლო მძიმე მრეწველობის მანქანა-დანადგარების 30% განადგურდა. ინფლაციამ 5000%-ს მიაღწია. ტერიტორიის 10%-ზე მეტი დაკარგული იყო. ასეთ მძიმე მდგომარეობას დაემატა დანარჩენი მსოფლიოსაგან იზოლირება და ნედლეულის წყაროების არქონა.

**საქართველოში** 1993 წელს ინფლაციამ 8500%-ს მიაღწია, მოშლილი იყო საფინანსო-საკრედიტო სისტემა. 1993 წლის მარტიდან დაიწყო საქართველოს ეკონომიკის დამანგრეველი და მოსახლეობისადმი დანაშაულებრივი პრივატიზაციის პროცესი. 1997 წელს მშპ-ს მოცულობამ 1988 წელთან მიმართებაში 35% შეადგინა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებამ შესაბამისად – 15 და 53%. თუ 1987 წელს ქვეყნის მშპ - ში მრეწველობის ხვედრითი წილი 29% შეადგენდა, 1997 წელს ეს მაჩვენებელი 9%-დე დაეცა,

მსუბუქ მრეწველობაში კი შესაბამისად 22 პროცენტთან 1,5%. ქვეყანას დაკარგული აქვს ტერიტორიის 20%.

ნობელის პრემიის ლაურეატი, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის აღიარებულმა ლიდერმა, **ფ. ფონ ჰაიეკმა** ვერ უარყო სახელმწიფოს როლი ქვეყნის განვითარებაში და აღნიშნა: **როდესაც სახელმწიფო უმოქმედოა, შეუძლებელია საზოგადოების მოწყობის რაციონალური მოღვაწის ჩამოყალიბება.**

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს და ეკონომიკას აკავშირებს ნაციონალური მაგალითების ურთიერთობების ტიპოლოგიზაცია, რომელიც ურთიერთკავშირშია გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან შემოდგომულ ტერმინთან „**ნაციონალური ეკონომიკური განვითარების მოდელი**“

სხვადასხვა ავტორი ტერმინ „**ეკონომიკური განვითარების მოდელი**“ წარმოქმნისა და განმარტების განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევა. შესაბამისი მაგალითების მოყვანით, გთავაზობთ შემდეგ კლასიფიკაციას:

**პირველობა,** აშშ მოქმედ მოდელს მივანიჭეთ, სადაც

2010  
პერიდი

თვითრეგულირებადი ეკონომიკა, სახელმწიფოს საკუთრების და ეკონომიკაში პირდაპირი ჩარევის დაბალი დონით ხასიათდება და მთლიანად ეყრდნობა საბაზრო მექანიზმებს. ამ მოდელის ძირითადი უპირატესობებია:

- ბაზრის კონიუქტურის ცვლილებაზე სწრაფად ორიენტირებული, მაღალი მოქნილობის მქონე ეკონომიკური მექანიზმი;

- კაპიტალის რენტაბელური ჩადების ფართო არეალი, რაც განპირობებულია სამეწარმეო აქტივობის მაღალი დონითა და ორიენტაციით ინოვაციებზე.

ვფიქრობთ, რომ ამ მოდელის გამოყენება უფრო ეფექტიანი იქნება იმ ქვეყნებში, სადაც საწარმოო ძალების განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალიან მაღალ საფეხურზეა აყვანილი.

საბაზრო ეკონომიკის რიგით მეორე მოდელად მიმაჩნია იაპონური მოდელი, რომელსაც ახასიათებს:

- ნაციონალური იდეის მიზნების მიღწევა შრომის, კაპიტალის და სახელმწიფოს ერთიანი ძალისხმევით;

- წარმოებაში კოლექტივიზმის და პატერნალიზმის სულის;

- აქცენტირებული ყურადღება ადამიანურ ფაქტორზე და ინოვაციების დანერგვაზე.

ეს მოდელი გავრცელებულია შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზი-

ის უმეტეს ქვეყნებში.

მესამე მოდელია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში შექმნილი ე.წ. „სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა“, რომელსაც პირველი ორიდან რამდენიმე პარამეტრი განასხვავებს:

- „შერეული ეკონომიკა“, რომელშიც სახელმწიფო საომოდ დიდი წილით არის წარმოდგენილი;

- მაკროეკონომიკური რეგულირება ხორციელდება როგორც ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო, ასევე სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრით და დასაქმების რეგულირებით;

- ქვეყნის ეკონომიკაში კონკურენტუნარიანი გარემოს შესანარჩუნებლად, სახელმწიფო უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის, განსაკუთრებით კი, მცირე საინოვაციო მეწარმეობის მხარდაჭერას;

- მშპ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი წილი;

- მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის განვითარებული სისტემა, რომლის ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს;

- საწარმოო დემოკრატიის ინსტიტუტის ფუნქციონირება.

- რიგით მეოთხე მოდელი - ლათინურამერიკულია, რომელსაც ახასიათებს:

- სახელმწიფოს მძლავრი, მაგრამ ხშირად არაადეკვატური

რი ჩარევა ეკონომიკაში;

- კორუფცია, საზოგადოების კრიმინალიზაცია, განსაკუთრებით სამეურნეო სფეროში;

- წარმოების ორიენტაცია ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე და იაფ სამუშაო ძალაზე.

აქ გამონაკლისს ალბათ ჩილე წარმოადგენს.

მეხუთე მოდელი - აფრიკული, რომელიც საბაზრო ურთიერთობების და საკუთრების ფორმების სიმრავლეზეა დამოკიდებული. აფრიკის ქვეყნებში შეინიშნება სამეურნეო პროცესების მართვის მცირემცოდნეობა და უსუსურობა. განვითარებული ქვეყნების ჩარევის გარეშე აფრიკელები თანამედროვე ეკონომიკურ სისტემას ვერ შექმნიან.

დამახასიათებელი პარამეტრებიდან შეიძლება გამოვყოთ:

- არაკვალიფიციური შრომის დაუზოგავი ექსპლუატაცია; სახელმწიფოს მხრიდან, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, ეკონომიკაში პირდაპირი ფართომასშტაბიანი ჩარევა;

- დემოკრატიისა და შესაბამისად შრომითი ურთიერთობების განვითარებლობა;

- ზოგადად ეკონომიკის ძალზე დაბალი ეფექტიანობა.

გამონაკლისი - სამხრეთაფრიკული რესპუბლიკა და ნაწილობრივ ეგვიპტე.

ჩემის აზრით, რიგით მეხუთე და მეოთხე მოდელები, საქართველოსთვის დამახასიათებელი ინტერპრეტაციებით, უკვე გავიარეთ, ხოლო, თუ რაიმე რეციდივებს აქვს ადგილი, სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველო, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სასტარტო წინაპირობებით, ძალიან არ განხვავდებოდა გერმანიის, ან იაპონიის ომის შემდგომ მდგომარეობისგან. რასაკვირველია ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ ქვეყნებში უკვე არსებობდა კაპიტალიზმი.



რამდენად ჰგავს საქართველოში ჩატარებული „შოკური თერაპიის“ რეფორმები, გერმანიაში **ლ. ერჰარდის** რეფორმებს?

გარკვეული მსგავსება არის – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ფასების განთავისუფლება, მაგრამ **რეფორმების შედეგები პოლუსურად განსხვავებულია.**

მოგვსენებათ, რომ გერმანიის სწრაფი აღორძინების ფენომენი „**მარშალის გეგმის**“ და **ლ. ერჰარდის** რეფორმების ერთობლიობაში დევს. „**მარშალის გეგმის**“ მიხედვით დახმარება ევროპის სხვა ქვეყნებმაც (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და ა.შ.) მიიღო. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება დასავლეთ გერმანიაზე იყო მიმართული. ასე მაგალითად, „**მარშალის გეგმის**“ რეალიზაციის (1948-1951) პირველ წლებში გერმანიამ აშშ-დან იმდენი დახმარება მიიღო მარცვლეულის, მანქანა-დანადგარების და ფულადი სახსრების სახით, რამდენიც ერთად მიიღეს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა, ხოლო, იტალიაზე 3.5 ჯერ მეტი იყო. „**მარშალის გეგმით**“ მიღებული ფულადი სახსრები თითქმის 2 მლრდ დოლარს შეადგენდა, რაც გერმანიის ცალკეულ მოქალაქეზე 150 ახალ დოლარს (DM) უდრიდა. ამ თანხიდან ცალკეულ მოქალაქეს ხელზე გადაეცა ჯერ 40 DM, შემდეგ კი დაუმატეს 20,

ხოლო საწარმოებს, რეფორმის შემდეგ მხოლოდ პირველი ხელფასის გასაცემად, დაურიგდა ნაღდი ფული.

„**მარშალის გეგმით**“ მიღებული ფონდები ინვესტირებულ იქნა კერძო და სახელმწიფო სამრეწველო სექტორში. ამ პროცესში ძალზე დადებითი როლი ბანკებმა ითამაშეს, რომლებიც თავის თავზე იღებდნენ კომერციულ რისკს და დაკრედიტებული ფირმების მართვის დეტალების მონიტორინგით, აქტიურად მონაწილეობდნენ ინდუსტრიალიზაციის პროცესებში. „**მარშალის გეგმით**“ შემოსული თანხების მართვისათვის 1948 წელს დააფუძნეს საკრედიტო გარანტიების ბანკი (KFM), რომლის კაპიტალი მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ამ ბანკმა დიდი როლი შეასრულა **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში**, რისთვისაც გასცათ თითქმის 100 ათასი გარანტია, საერთო თანხით 10 მლრდ DM. ამ გარანტიების საფუძველზე (საერთო მოცულობით 14 მლრდ DM), რეალიზებულ იქნა კომერციული კრედიტები, სალიზინგო კონტრაქტები და ინოვაციების ვენჩურული დაფინანსება. „**მარშალის გეგმის**“ რეალიზაციის მსვლელობისას აგრეთვე შეიქმნა სახელმწიფო ფონდი – ERP, ხოლო 1950 წელს - გერმანიის საკომპენსაციო ბანკი, რომელიც ERP სახსრებს განაგებდა. **უმნიშე-**

**ნელგანესია ის ფაქტი, რომ „მარშალის გეგმით“ შემოსული დახმარება გამოიყენებოდა მაქსიმალური ეფექტიანობით და ყოველი დახარჯული დოლარიდან უკუგებამ 10-20 დოლარი შეადგინა.**

თავის ნაშრომებში და გამოსვლებში **ლ. ერჰარდი** ამტკიცებდა, რომ ადამიანის პირადი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის მუდმივი სწრაფვა, ერთობლიობაში მის სოციალურ პასუხისმგებლობასთან, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალაა, რომელსაც ეფუძნება სოციალური საბაზრო ეკონომიკა. ამასთან, **ლ. ერჰარდი** ეკონომიკური აღორძინების ბერკეტებად მიიჩნევდა თავისუფალ კერძო ინიციატივას, კონკურენციას და სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას სამეურნეო საქმიანობაში.

**ლ. ერჰარდი** ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ცენტრიდან პირდაპირ ადმინისტრირებას და მონოპოლიებში გაერთიანებას ყველაზე ნაკლებად დაქვემდებარებულია მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელსაც უმთავრესი როლი ენიჭება კონკურენტული ურთიერთობების გამყარებაში. თუმცა, თუ მცირე ბიზნესს მივუდევით მხოლოდ ფისკალური თვალსაზრისით, მისი განვითარებისთვის „ძალზე სახიფათო მიმართულება“ იქნება შერჩეული.

გუიქრობ, გერმანიის აღორძინების მამამთავრის ეს პოზიცია უნდა გაითვალისწინონ საქართველოში რეფორმების ჩამტარებელმა თეორეტიკოსებმაც და პრაქტიკოსებმაც.

მე-2 მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, გერმანიაში, ისევე როგორც სხვა დასავლეთევროპულ ქვეყნებში, საზოგადოების ცალკეული წევრების პრობლემებზე ორიენტირებული ბიზნეს-ინტერესების ჰუმანური ფასეულობების გადაფასება განხორციელდა. იმ დრო-



ისათვის ეს ახალი სტანდარტი, შემდეგ პრინციპებზე იყო აგებული:

• საზოგადოებისა და მოქალაქეების ინტერესები მთლიანობაში არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კომპანიის ეკონომიკური მიზნები;

• ვინაიდან ბიზნესის სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტია. იგი დამოკიდებულია არა მარტო მომხმარებლის, არამედ, ქვეყნის ყველა მოქალაქის შეხედულებებზე;

• ნებისმიერი სამეწარმეო ობიექტის თანამშრომლები წარმოადგენენ არა მიზნის მისაღწევ ინსტრუმენტს, არამედ, სტრატეგიული პარტნიორები არიან, რომელთანაც აუცილებელია პერსონიფიცირებული კავშირები დამყარდეს.

ხემოთ აღნიშნულიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა გამოდინარეობს, რომელსაც საქართველოში ჩატარებული რეფორმების პრაქტიკის გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია:

1. ომის შემდგომ გერმანიაში, მიუხედავად მაკროეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელობისა, ლ. მრჰარდის რეფორმები დაიწყო ეფექტიანი ფულადი სისტემის, მოსახლეობისათვის თანაბარი სასტარტო პოზიციების და შესაბამისი ინსტიტუციონალური სტრუქტურების შექმნით.

კერძოდ, მცირე ბიზნესის განვითარების მხარდაჭერამ უზრუნველყო ის მასობრივი დემოკრატიული სოციალური ბაზა და იმ სამეურნეო სუბიექტის ჩამოყალიბება, რომლებმაც გერმანიის ეკონომიკურ ტრასფორმაციას შეუქცევადი მახასიათებელი მიანიჭა.

ცხადია, რომ საქართველოში ჩატარებულმა პრივატიზაციამ, მისი ჩატარების აზრის რეალური სოციალური კონტექსტიდან გამომდინარე, თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა.

2. გერმანიაში, მცირე და

საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერაში იგულისხმებოდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სასტარტო შანსების გათანაბრებაზე მიმართული პოლიტიკა.

ჩვენში კი, არა თუ პოლიტიკა, არამედ არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ არსებობს და საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის არანაირი საკანონმდებლო ბაზა არ გააჩნია.

მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის აუცილებელია სპეციალური ზომების მთლიანი კომპლექსის განხორციელება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

საქართველოში არსებულ ეკონომიკურ სისტემას არ შეუძლია უზრუნველყოს ეფექტიანი დასაქმება, მოსახლეობის ნორმალური კვლავწარმოება და ქვეყნის მდგრადი მომავალი.

რა გავაკეთოთ და როგორ მოვიქცეთ?

ჩემის ღრმა რწმენით უნდა გავიაროთ გერმანიის მე-2 მსოფლიო ომის შემდგომი გზა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ბ-მა ურუხამაძე მარტსოვმა, საზოგადოებას ორი წლის წინ, წარუდგინა საქართველოში განსახორციელებელი ანტიკრიზისული პროგრამა, რომელშიც შემოთავაზებულია ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ნუსხა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, წარმოდგენილია ლ.მრჰარდის მიერ განხორციელებული რეფორმების მსგავსი ნაბიჯები: მოსახლეობისთვის, სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად, სასტარტო კაპიტალის სახით 1000\$ ეკვივალენტი ლარის უნაღდო ანგარიშზე დადება, „დაიწყე შენი საქმე“ პროგრამის მიხედვით ბიზნესის წარმართვის ეკონომიკური საწყის-

ების საყოველთაო შესწავლა, ბიზნეს-გეგმების შედგენისა და ექსპერტული შეფასების საკონსულტაციო ცენტრების გახსნა და ა.შ. პრეზენტაციას ესწრებოდა ქართული ეკონომიკური სკოლის და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა უმეტესობა. პროგრამის მიმართ რაიმე მნიშვნელოვანი შენიშვნები არ გამოთქმულა.

რამდენად აქტუალურია 65 წლის შემდეგ ლ. ერხარდის „კეთილდღეობა ყველასათვის“?

ლ. ერჰარდის ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი ო.შლეხტი: სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება მაშინ უფრო იძენს მნიშვნელობას, როდესაც საზოგადოების განვითარების დონე მაღალია...

კიოლის უნივერსიტეტის პროფესორი ხ. ვატირინა: „მოქალაქეებმა დამოუკიდებლად უნდა აკონტროლონ სოციალური საბაზრო სისტემის აღმინისტრაციული ორგანოები და ყველა გადაწყვეტილება თვითონვე უნდა მიიღონ..“

ტიუბინგის უნივერსიტეტის პროფესორი ბ. ჰაპპი: სოციალური საბაზრო მეურნეობა წარმოადგენს მოქნილ, ცვლილებების განხორციელების შემდეგ კონცეფციას.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ბუშტინი: საუკეთესო სოციალური წყობა არსებობს არა იქ, სადაც საზოგადო პროდუქტის გადანაწილებით მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ფართო სოციალური მხარდაჭერა, არამედ იქ სადაც ასეთი მხარდაჭერა ესაჭიროება მოქალაქეთა მინიმალურ რიცხვს.

ვფიქრობთ, დასმულ კითხვას პასუხი გაეცა.

ერთი სიტყვით, კეთილდღეობის მიღწევა არა მხოლოდ ფასეულობების გადანაწილების მექანიზმითაა შესაძლებელი, არამედ, მოქალაქეების აქტიური და ინიციატივიანი საქმიანობით.

# საჭიროა ახალი მაკროეკონომიკური პოლიტიკა

მაკროეკონომიკა ინდუსტრიული საზოგადოების ეპოქისათვის დამახასიათებელი ფენომენია. მაკროეკონომიკური ამოცანების გადანყვევისათვის აუცილებელია ინტელექტუალური მზადყოფნა - პერსონალის მომზადება, და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება მიზნობრივი პროგრამების საშუალებით.

ინტელექტუალურ მზადყოფნის არსია იმ რეალობის აღიარება, გაცნობიერება და გათვალისწინება, რომელიც ტრადიციულსგან განსხვავებით, ახალი მაკროეკონომიკის და შესაბამისად, ახალი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასთანაა დაკავშირებული.

მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში წინა პლანზე საფინანსო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, საერთოდ, ფინანსური სტაბილიზაციის პრობლემა იყო წარმოებული, მისი ნეოლიბერალური ასპექტებით.

პოსტინდუსტრიული განვითარების პირობებში ვითარება კარდინალურად იცვლება. პოსტინდუსტრიული განვითარება თბიქტურად მაკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკური პოლიტიკის სრულიად ახალ ტიპს აყალიბებს. ამ ნოვაციის გაუთვალისწინებლობა იწვევს იმას, რომ მაკროეკონომიკური განვითარება ტრადიციული კრიტერიუმებით ფასდება, რაც არასწორ დასკვნებს განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მათზე აგებული მაკროეკონომიკური პოლიტიკაც წინასწარ დასახული მიზნების ნაცვლად სულ სხვა შედეგებს იძლევა.

ქვეყანაში თანდათან მკვიდრდება პოსტინდუსტრიული განვითარების შესაბამისი მაკროეკონომიკა, რომელიც შემდეგი ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება: **პოსტ-მოდერნისტული და პოსტკაპიტალისტური ფასეულობების დამკვიდრება; არამატერიალუ-**

**რი, ცოდნისეული, ინფორმაციული, ინტელექტუალური სიმდიდრის დაგროვება; ქსელური კავშირების გაფართოება; სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის, შედეგიანობის პრიორიტეტულობა; თანასწორუფლებიანი, პარტნიორული, მონაწილეობითი, არასაბაზრო თანამშრომლობითი ურთიერთობების გავრცელება; არაკონფორმაცია. კომპრომისული და კონკურენტული ურთიერთობების თანაარსებობა, კვლავწარმოების ციკლის გამოსვლა სახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებიდან, ზესახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი კვლავწარმოებითი ციკლების გაფართოება სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ტრანსნაციონალური კომპანიების ქსელის საფუძველზე; უპირატესად განახლებადი და ეკოლოგიური რესურსების გაფართოებულ კვლავწარმოებაზე გადასვლა.**

შესაბამისად, პოსტინდუსტრიული ეკონომიკის დამკვიდრების კვალობაზე მაკროეკონომიკური რეგულირების სრულიად ახალი მოდელი და მექანიზმი ყალიბდება. მისი თავისებურებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდუსტრიულ სტადიაზე მაკროეკონომიკური რეგულირების მთავარი შედეგი, რაც ეკონომიკური ზრდით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობითა და დინამიკით გამოიხატება. ქვეყნის ადგილი და როლიც საერთაშორისო ეკონომიკაში უპირატესად ამ მაჩვენებლებით

აისახება. პოსტინდუსტრიულ სტადიაზე რეალური ეკონომიკის მნიშვნელობა უდიდესია, მაგრამ მაკროეკონომიკური რეგულირების შედეგიანობის განსაზღვრისათვის წინა პლანზე გამოდის ცხოვრების ხარისხი, ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი, ქვეყნის წვლილი მსოფლიოს ინტელექტუალურ პოტენციალში, ინფორმაციული სექტორის ეფექტიანობა, უპირატესობანი ინტელექტუალურ წარმოებაში, და სხვ. რაშიც არა მარტო ფინანსური სფერო, არამედ, ცოდნის წარმოების სფეროც იგულისხმება.

ტრადიციული მაკროეკონომიკური რეგულირება უპირატესად მკვეთრად შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების სტიმულირების ინსტრუმენტებით ხასიათდება. პრიორიტეტულობას იძენს ახალი ცოდნის, ინფორმაციის, ინოვაციების, მათ საფუძველზე წარმოებული პროდუქციის გაცვლა. ყალიბდება მსოფლიოს ერთიანი ინფორმაციული, ტექნოლოგიური, ინოვაციური სივრცე, შესაბამისი ბაზრების, ბირჟების ქსელით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პოსტინდუსტრიული გამოწვევების შესაბამისად, ყალიბდება აქტიური მაკროეკონომიკური პოლიტიკის ახალი პრიორიტეტები, რომელთა რეალიზაცია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებელი პირობაა. ეს პრიორიტეტებია:

● **სოციალურ-ეკონომიკური ბანკოტარების პოლიტიკა, ცხოვრების მაღალი ხარისხის მისაღწევად, გლობალიზაციის პირობებში საქართველოს თავისთავადობის შესანარჩუნებლად;**

● **სოციალური პოლიტიკა, ადამიანური კაპიტალის განვითარების უზრუნველსაყოფად;**

● **ეკოლოგიური პოლიტიკა, გარეგანი ბუნებრივი შეზღუდვების საკომპენსაციოდ;**

● **მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკა, ინოვაციური განვითარების დასამკვი-**

დრებლად;

● **საბარემო-ეკონომიკური პოლიტიკა, გლობალურ ეკონომიკაში წარმატებული ინტეგრაციისთვის;**

● **საფინანსო-საბაზისა-დო პოლიტიკა, წარმოების ფინანსური რესურსების უზრუნველყოფისა და სტიმულირებისთვის;**

● **ფულად-საპრედიტო პოლიტიკა, ეროვნული ვალუტის გამყარებისთვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.**

ამ პრიორიტეტებთან ერთად ობიექტურად ყალიბდება საეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, ფუნქციონალური და დარგობრივი პრიორიტეტების სახით. ამ ასპექტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ადამიანური კაპიტალის პრიორიტეტს ენიჭება, რაც, თავის მხრივ, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, ინფორმაციის, მართვის სფეროების განვითარების უპირველეს პრიორიტეტულობას გულისხმობს. სხვა პრიორიტეტი ფიზიკური კაპიტალის მაღალგანვითარებულობის მიღწევაა. აქ მთავარია ენერგეტიკული რესურსებით ქვეყნის მეურნეობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით განახლებადი ენერჯის წყაროების საფუძველზე. თანამედროვე პირობებში განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ გეოეკონომიკური რესურსების გამოყენება გვევლინება. ამიტომ ფუნქციონალურ პრიორიტეტთა შორის გეოეკონომიკური რესურსების გამოყენებაც უმნიშვნელოვანესია, რომელიც ადამიანურ და ფიზიკურ კაპიტალთან შეიძლება უკავშირდებოდეს.

თანამედროვე პირობებში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტების წარმატებული რეალიზაცია. თუმცა, ფრაგმენტული მეთოდებით ამ მიზანს ვერ მივაღწევთ. ამისათვის აუცილებელია ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველ-

ყოფს ნებისმიერ ეკონომიკურ გარემოში მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული ნაკადების მართვას, დაგეგმვასა და კონტროლს. სისტემური მიდგომისა და ეკონომიკური კომპრომისების საფუძველზე სინერგიული ეფექტის მიღების მიზნით.

ტრადიციული მაკროეკონომიკური რეგულირებისგან განსხვავებით ასეთი (ლოგალისტიკური) მაკროეკონომიკური პოლიტიკისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სუბიექტის ინტერესების შეხამება მათ შორის, კომპრომისის მიღწევის გზით. ამასთან, ეკონომიკური გარემოდან გამოსვლა და მასთან ერთად სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური ასპექტების გათვალისწინება, რაც ნამდვილი სინერგიული ეფექტის მიღების შესაძლებლობას იძლევა;

ასეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს ისეთი მწვავე პრობლემების გადაწყვეტას, როგორცაა:

● **სახელმწიფო და საბაზრო რეგულირების დაპირისპირება;**

● **საბაზრო და არასაბაზრო ურთიერთობების დაპირისპირება;**

● **ბაზრისა და დემოკრატიის დაპირისპირება;**

● **სახელმწიფოსა და ტრანსნაციონალური კომპანიების დაპირისპირება;**

● **ეროვნული თავისთავადობისა და გლობალიზაციის დაპირისპირება;**

● **რეალური და ვირტუალური ეკონომიკის დაპირისპირება.**

სახელმწიფო მინიმალურად უნდა ერეოდეს მეურნეობრიობის მიმდინარე პროცესებში, რადგანაც ამ შემთხვევაში ბაზარი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას უზრუნველყოფს. სამაგიეროდ, სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებისათვის, რასაც ბაზარი ერიდება უკუგების გადავადების გამო. გლობალიზაციის პირობებში, პოსტსოციალისტური

ტრანსფორმაციული პროცესებისას აშკარად დადასტურდა, რომ საბაზრო ურთიერთობები ულმობლად, ეკონომიკურად, ხშირად ბარბაროსულად ანადგურებს, ასუსტებს, ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს და ანგრევს დემოკრატიას. ასეთ პირობებში მათ შორის მედიატორის როლის შესრულება მხოლოდ ძლიერ და ეფექტიან სახელმწიფოს შეუძლია.

ტრანსნაციონალური კომპანიები ზოგჯერ ისე ძლიერნი არიან, რომ წარმოება და ოპერაციები ხშირად ქვეყნის ფარგლებს გარეთ გააქვთ და ამით ეროვნულ სახელმწიფოს ასუსტებენ. ბოლო ათწლეულებში ნეოლიბერალურმა გლობალიზაციამ ეროვნულ თავისთავადობას აშკარა საფრთხე შეუქმნა, რაც, თუ ასე გაგრძელდა, კატასტროფით ემუქრება კაცობრიობას. ამიტომ უადრესად აქტუალური გახდა ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისა და გლობალიზაციის რეგულირებადი პროცესების, თავსებადობის ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ შესაბამისი კომპრომისების საფუძველზეა შესაძლებელი.

ასევე უდიდესი საფრთხის შემცველია რეალური ეკონომიკის, განსაკუთრებით ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე, ფინანსური ეკონომიკის სპეკულაციური ზრდა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის კოლოსალური გაფართოების სახით. შედეგად ირღვევა უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური ქვეყანაში, მათ შორის თანაფარდობა რეალურ და ფინანსურ ნაკადებს შორის, იშლება რეალური წარმოების ეფექტიანი დაფინანსებისა და მოტივაციური მექანიზმები, ხოლო ე.წ. ფინანსური ბუშტის გასკდომის შემთხვევაში შედეგები კატასტროფული აღმოჩნდება.

**მელიტონ ბასია,**

სსაუ-ის სრული პროფესორი

**აკაკი მანჯაპიკა,**

ასისტენტ, პროფ.

**დალი ბაიდაური,**

ასისტენტ, პროფ.

# საერთაშორისო ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

*საერთაშორისო ტურიზმი დღეისათვის საგარეო ეკონომიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებული დარგია. განუჩევლად იზრდება მისი გავლენა, როგორც მსოფლიო ეკონომიკაზე მთლიანად, ასევე, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკაზე.*



ეროვნულ ეკონომიკაში ტურიზმი მსხვილ დამოუკიდებელ დარგად იქცევა, რომლის მოღვაწეობაც მიმართულია მოსახლეობის სპეციფიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ.

ნიმანდობლივია ისიც, რომ ტურიზმი მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საქართველოს, ფლობს რა უნიკალურ ბუნებრივ რესურსებს და თვითმყოფად უძველეს კულტურას, ტურიზმის განვითარებისათვის უზარმაზარი გამოუყენებელი პოტენციალი გააჩნია.

სტატისტიკური და ემპირიული მონაცემების ანალიზიც მოწმობს, რომ დღითიდღე იზრდება ინტერესი ქართული ტურისტული პროდუქტისადმი.

ქვეყანა სულ უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება ბიზნესმენების, სპორტსმენების, ექსტრემალური დასვენების მსურველთათვის, იმათთვისაც, ვინც დაინტერესებულია დიდი აბრეშუმის გზის ქვეყნების გაცნობითაც.

რადგანაც საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მთიანია, ამიტომ სწორედ ისინი გვევლინებიან ყველაზე მიმზიდველ რესურსებად უცხოელ ტურისტებისთვის.

ბუნებრივი ღირსშესანიშნაო-

ბის გარდა, საქართველო მდიდარია ისტორიული კულტურული ძეგლებით, რომელთაც მსოფლიო მნიშვნელობა გააჩნიათ, ტრანზიტული ტურების ორგანიზაცია სწორედ ამ რეალობითაა დაინტერესებული.

მსოფლიო ტურისტული ინდუსტრია მზარდი გლობალიზაციის პირობებში წარმოადგენს პრიორიტეტულ ინტერესს და დიდ პერსპექტივას საქართველოსათვის. ბუნებრივი უნიკალური პოტენციალისა და კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით საქართველო აუცილებლად ჰარმონიულად უნდა ინტეგრირებდეს მსოფლიო ეკონომიკის ტურისტულ სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის ინტენსიურ განვითარებას. ამასთან, იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლების მყარმატებას, რაც თავის მხრივ, ტურისტულთან მონათესავე დარგების განვითარების სტიმულირებაც იქნება. თანმიმდევრული გახსნილი პოლიტიკის რეალიზაციისა და განხორციელებული საბაზრო რეფორმების წყალობით, დღევანდელ პირობებში, უკვე შეიქმნა ისეთი ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურა, რომელშიც, თუმცა, კერძო სექტორი ჭარბობს, ქვეყანაში დღეისთვის არსებული

ინფრასტრუქტურა, ჯერ-ჯერობით ვერ პასუხობს აქტიურად განვითარებადი ტურიზმის მოთხოვნებს.

2008 წლის მდგომარეობით, საქართველოში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 1290,1 ათას კაცს შეადგენდა, ანუ 3,0%-ით მეტი, ვიდრე 2007 წელს. (შემოსავალის მხრივ პირველ ადგილზეა თურქეთი – 27,2%, მეორეზე სომხეთი – 26,7% და ა.შ.).

ტურისტთა ძირითადი ნაკადების ჩამოსვლა კერძო ფირმების ხელშეწყობით ხდება. ეს კერძო ტურისტული ინდუსტრიის სექტორი საქართველოში 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა, როცა შეიქმნა რეალური პირობები კერძო მენარმეობის არსებობისათვის.

ტურისტული გადაადგილებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ტურისტულ ინდუსტრიაში. საქართველოს ამ მხრივ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია, რაც ხელს უწყობს ძირითადი ამოცანის რეალიზაციას – გახდეს ქვეყანა ხელმისაწვდომი უცხოელი ტურისტებისათვის. ამისათვის აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება. უპირველესად, აუცილებელია შეიქმნას პირობები საავიაციო გადაზიდვების ბაზარზე კონკურენტუნარიანი ავიაკომპანიების ფუნ-



ქციონირებისათვის, ამაღლდეს ფრენის საამიმდობა და მგზავრთა მიმართულეებების ხარისხი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კეთილმოეწყო მომსახურების მაღალი დონისათვის აუცილებელი ავტოტრასები, გაუმჯობესდა გზის საფარი, ამაღლდა უსაფრთხოების ხარისხი, აღიჭურვა ტრასები მაჩვენებლებითა და ინფორმაციული ტაბლოებით (უცხო ენაზე). თანამედროვე სტანდარტების უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველადი აუცილებლობის საგზაო სერვისის ობიექტების მშენებლობას: გზისპირა სასტუმროები, ფასიანი სადგომები, გართობისა და დასვენების ობიექტები.

ტურიზმის დაჩქარებული განვითარებისათვის სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ფუნქცია იმისა, რომ კოორდინება გაუწიოს ეკონომიკის ტურისტული დარგის განვითარებას. აუცილებელია სახელმწიფო მმართველობის სისტემის რეფორმა, რომელიც გამიზნული იქნება ბიუროკრატიული ნორმების შეცირებისკენ. აგრეთვე უნდა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც მიმართული იქნება ამ სფეროში მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ.

საქართველოს უძველესი დროიდან ამიერკავკასიის ხალხთა ცივილიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს დასავლეთსა და აღმოსავლეთს-ევროპასა და აზიას შორის. თვითმყოფადი უნიკალური გავლენის ქვეყანაა და ამასთანავე დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურათა შეთვისებაც მკვეთრად გამოკვეთილი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ადათნესებში.

დღეისათვის საქართველო სულ უფრო მიმზიდველი ხდება ექსტრემალური დასვენების მოყვარულთათვის, განსაკუთრებით ბიზნესმენებისა და სპორტსმენებისთვის. აგრეთვე, ისტორიული სიძნელეებით დაინტერესებული ადამიანებისათვის.

ერთი სიტყვით, თავისი უნიკალური გარემოსა და მსოფლიო

დონის ისტორიულ-კულტურული ღირსეანისმანობების წყალობით საქართველოს საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველო ტურისტული თვალსაზრისით მრავალპროფილიანი ქვეყანაა. უბნების მიხედვით ტურისტული ობიექტები შეიძლება დასპეციალდნენ სპორტულ, სამონადირეო, სამთო-სათხილამურო, ალპინისტურ და სხვა სახეობებში. შეიძლება ჩართულ იქნას ექსკურსიები ისტორიული ღირსეანისმანობების დასათვალისწინებლად. ეთნოგრაფიული ხასიათის ღონისძიებები და სხვ.

მართალია, დღეისათვის არსებული ინფრასტრუქტურა არ პასუხობს აქტიურად განვითარებადი ტურიზმის მაჩვენებლებს, მაგრამ შეიძლება იგი გამოდგეს ბაზისად თანამედროვე ინფრასტრუქტურის ფორმირებისათვის, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს უპასუხებს და ეკოლოგიურ მოთხოვნილებებსაც დააკმაყოფილებს.

უკანასკნელ წლებში, ქვეყანაში სტაბილურობის გაძლიერების კვალდაკვალ ტურისტული ნაკადების პროგრესული მატება სულ უფრო ძლიერდება. თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდა, მაშინ უახლოეს წლებში საქართველოში ტურიზმი არნახულ დონეს მიაღწევს. ამის წინამძღვრები უკვე არსებობს.

რამდენადაც საქართველოს დიდ ტერიტორიას იკავებს მთიანი მხარე, სწორედ ისინი წარმოადგენენ მიმზიდველ რესურსებს ტურისტებისათვის და მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით ხასიათდება. უმაღლესი მწვერვალები, მყინვარები, კლდეები და საოცარი ხეობები ფასდაუდებელი შთაბეჭდილებების წყაროა და ალპინიზმის, სამთო-სათხილამურო ტურიზმის, მღვიმეთმცოდნეობის განვითარებას განაპირობებს.

მსოფლიო ბაზრის განვითარების გათვალისწინებით, საქართველოს ტურისტულ სივრცეში შეიძლება შემდეგი სახეების გამოყოფა:

1. საკურორტო - რეკრეაციო-

ნალური ტურიზმი, ანუ დასვენება პანსიონებში, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, ძირითადად ზღვისპირეთსა და ბორჯომი - ახალციხის რეგიონსა და კავკასიის მთიანეთში.

2. ტურიზმი დიდი აბრეშუმის გზის შესატყვისად, რომელიც მოიცავს მარშრუტების სხვადასხვა ვარიაციებს ისტორიულ-კულტურული და ეთნოგრაფიული მიმართულებით, რომელთაც ძირითადად სატრანზიტო გავლის სტატუსი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე.

3. სამთო-სათავადასავლო ტურიზმი. ალპინიზმი, ტრეკინგი, ნადირობა, ტურები, რომლებიც დაკავშირებულია ფლორის, ფაუნის, გეოგრაფიის, გეოლოგის, არქეოლოგიის შესასწავლად.

ჩვენის აზრით, ტურიზმის ეს სახეები ყველაზე პერსპექტიული და მიმზიდველია უცხოელი ტურისტებისათვის. ამასთან, აქვს მაღალი ეკონომიური უკუგება დროის შედარებით მცირე მონაკვეთში.

ამგვარად, ტურიზმის განვითარების მთავარი მიზანია ეკოლოგიური და სოციალურად ორიენტირებული, მაღალრენტაბელური და კონკურენტუნარიანი ტურისტული ინდუსტრიის ფორმირება, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ტურისტების ფართომასშტაბიანი მოთხოვნები. ეკონომიკის აღნიშნული დარგის სათანადოდ განვითარება კი იძლევა ახალ სამუშაო ადგილებს, როგორც ძირითადად, ასევე ტურიზმის მონათესავე ეკონომიკის დარგებისათვის.

ა. ცინცაქა,

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, აკადემიური დოქტორი

ბ. ნატროშვილი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

გ. ნატროშვილი,

ვეტერინარული მედიცინის აკადემიური დოქტორი

# ბიზნარდეს კონკურენტი უენი

ზოგისთვის ალბათ მოძველებულად ჟღერს მონოღება: **და-იხლოვე მოკეთებები, მტრები ჯი უფრო მეტად.**

თუმცა გლობალიზაციის პროცესი ისეთი ტემპებით ანგრევს ბარიერებს და ისე მჭიდროდ აახლოებს სხვადასხვა ეკონომიკურ სუბიექტებს, რომ ეს შეგონება შეიძლება ობიექტურ რეალობადაც ჯი იქცეს.

ყველასათვის ნათელია, თუ როგორ გართულდა კონკურენცია პროტექციონისტური პოლიტიკის გლობალური შესუსტების შედეგად. არსებულ სიტუაციაში ძნელია ისეთი სიახლის მოფიქრება, რაც მნიშვნელოვან უპირატესობას უზრუნველყოფს – რადგან, დიდია ალბათობა იმისა, რომ ანალოგიური ინოვაცია უკვე სხვებმაც მოიგონეს.

ამიტომ, აუცილებელია ყველა შესაძლო კონკურენტის არა მხოლოდ ახლოს „გაცნობა“, არამედ მათთან მუდმივი „ურთიერთობების“ დამყარებაც იმ მიზნით, რომ ყოველ წუთში იცოდე, რა მდგომარეობაა მთელს დარგში.

ამისათვის უნდა მოახდინოთ შემდეგი მონაცემების ანალიზი:

## 1. კონკურენტების უპირატესობები, სისუსტეები და საფრთხეები

იმისათვის, რომ კარგად იცოდეთ ვისთან გაქვთ საქმე, პირველ რიგში უნდა გაერკვე არა საქონლის მახასიათებლებში, არამედ, იმაში, თუ ვინ აწარმოებს ამ საქონელს შეისწავლეთ კონკურენტების დამფუძნებლები, მფარველები, კომპანიის პერსონალი – მათი ფილოსოფია, საქმიანი სტილი, ბიზნეს-მოღვაწეობის თავისებურებანი და ა.შ.

კონკურენტების „პიროვნული“ გაცნობის შემდეგ დააკვირდით მათ პროდუქციას და შეთავაზებებს, შეისწავლეთ მყიდველების დამოკიდებულება და მოლოდინები ამ ბრენდების მიმართ.

ამის შემდეგ აიღეთ თქვენი პროდუქცია და შეადარეთ ყოველგვარი წინასწარი კეთილგანწყობების გარეშე.

## საკუთარ სიმპათია – ანტიპათიებზე უფრო მეტად მყიდველების პრეფერენციები და მოლოდინები უნდა გაითვალისწინოთ.

ასეთი ანალიზის შედეგად თქვენ გექნებათ შესაძლებლობა მოიფიქროთ ის ახალი თვისებები, რაც არც კონკურენტს და არც თქვენს პროდუქციას არ გააჩნია.


საკუთარი შესაძლებლობების ცოდნა კონკურენტების პოტენციალთან შედარებით საშუალებას იძლევა, რომ საღად და ზუსტად შეაფასოთ სიტუაცია ბაზარზე და ეფექტური სტრატეგია შეიმუშაოთ.

საკუთარი ძლიერი და სუსტი

მხარეების დადგენის შემდეგ – ეცადეთ, რომ საზოგადოების ყურადღება მთლიანად ძლიერ მხარეებზე გადაიტანოთ თან ისე, რომ მომხმარებელს სისუსტეების არსებობაზე.

თუ თქვენი კონკურენტები აღმოაჩინენ თქვენს სუსტ მხარეებს, მაშინ ისინი აუცილებლად შეეცდებიან მათ აფიშირებას. აქედან გამომდინარე, თქვენი კლიენტურა ისე უნდა იყოს აგტირებული, რომ კონკურენტების ეს ინფორმაცია ცილისნამებად უნდა ჩათვალონ!

თუ ეს სუსტი მხარეები მაინც დამტკიცდა, მაშინ უნდა დაარწმუნოთ მომხმარებლები, რომ ეს ნაკლოვანებები აუცილებელი მსხვერპლია იმ დადებითი თვისებების გაძლიერებისთვის, რომლებიც სრულიად ახდენენ სისუსტეების კომპენსირებას.



შესაბამისად ერთმნიშვნელოვანი ხარვეზებისა თუ სისუსტეების არსებობა ა-პრიორი არ უნდა იყოს დაშვებული.

ამავე დროს, ეცადეთ აღმოაჩინოთ კონკურენტების ისეთი ნაკლოვანებები, რომლებსაც გამართლება არა აქვთ – ეს ფაქტები ფარული იარაღი იქნება თქვენს ხელში იმ შემთხვევისთვის, თუ PR კომპანია მეტისმეტად გამწვავდა.

## 2. დისტრიბუციის ალტერნატიული მეთოდები

თანამედროვე სუპერმარკეტების დახლებზე გვერდიგვერდ აწყვია ერთი და იგივე ფასის და ხარისხის პროდუქცია. ხშირ შემთხვევაში ეს პროდუქცია თანაბრად ცნობილ ბრენდებს ეკუთვნით, რომლებიც მსგავსი ეფექტურობის სარეკლამო კამპანიას აწარმოებენ. ასეთი მსგავსება ბევრ მომხარებელს აბნევს და ისინი იწყებენ ალტერნატივის ძებნას.

ასეთი ალტერნატივა შეიძლება იყოს სრულიად ახალი და უცნობი მარკის პროდუქცია, რომელსაც კლიენტი უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო ყიდულობს – რომ შეადაროს უკვე მოყვრილებულ სხვა ბრენდებს.


ასეთი ალტერნატივა შეიძლება იყოს უკვე აღიარებული პროდუქციის რაიმე ახალი თვისება – ასეთი ახალი თვისების გასინჯვაში კლიენტი ზედმეტი ფასის გადახდასაც არ მოერიდება.

ალტერნატივა შეიძლება იყოს უბრალოდ შეფუთვა ახალ ფერებში და ა.შ.

ამიტომ, ასეთ სიტუაციაში აუცილებელია დისტრიბუციის ეფექტური სამსახური, რომელსაც კარგად ეცოდინება მომხმარებლის ფსიქოლოგია. ამასთან, რომელიც ზუსტად გამოიცნობს, თუ რა ალტერნატივა უნდა შესთავაზონ კლიენტებს, რომ მათ თქვენს პროდუქციას მინიჭონ უპირატესობა.

## 3. ახალი კონსურენტები

თანამედროვე ეკონომიკაში არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ ახალი კონკურენტები.



ზოგი ახალი საწარმო ისეთ ნოუ-ჰაუს ფლობს, რომელიც ფუნდამენტურად აღემატება არსებულ უპირატესობებს. ყველაზე მარტივი მაგალითია, თუ როგორ გააუქმა მობილურმა ტელეფონებმა პეიჯერები. ასეთი რადიკალური ცვლილებები იშვიათად ხდება, მაგრამ ნოუ-ჰაუები მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა, თუნდაც რომ მცირე მასშტაბით დაინერგონ საწყის ეტაპზე.

ასეთ შემთხვევაში მტერთან დამეგობრება სჯობს – შესთავაზეთ მათ თქვენი დისტრიბუციის ქსელები, ახალი სიმძლავრეების ერთობლივი შექმნა და ა.შ.

ხშირ შემთხვევაში გასაღების ორგანიზება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე, თვით წარმოება – ამიტომ, შეიძლება ახალი მოთამაშე მოერიდოს ზედმეტ ხარჯებს.

თუ ახალ კონკურენტთან მორიგება ვერ მოხერხდა, მაშინ, თქვენს ხელში რჩება საფასო უპირატესობები, რადგან, ინოვაციების დანერგვა საკმაოდ ძვირი ჯდება, რაც აისახება ახალი პროდუქციის ფასზე.

საერთოდ, თვისობრივად ახალ მოთამაშესთან ურთიერთობა საკმაოდ რთული საკითხია – უნდა შემუშავდეს სრულიად ახალი სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეტყვისა და უკან დახვევის ყველა შესაძლო ვარიანტი.

ამისათვის ძალიან კარგად უნდა იცნობდეთ საკუთარ ბიზნესს, კონკურენტის ბიზნესს კი უფრო უკეთესად.

მოამზადა  
კობა ბინაძემ

# სს „უნივერსალ სერვისი“

**ასრულებს ყველანაირ შიკაბეზას,  
მონტაჟს და უნევის ტექნიკურ  
მომსახურებას გარანტიით**



1. ყველა სახის კონდიციონერებს;
2. ყველა მოდიფიკაციის ფრეონზე და ამიაკზე მომუშავე სამაცივრე დანადგარებს;
3. სავაჭრო-ტექნოლოგიურ დანადგარებს;
4. საყოფაცხოვრებო (საოჯახო) მაცივრებს;
5. ზომა-წონის ხელსაწყოებს;
6. ელექტრონულ და მექანიკურ სალარო-საკონტროლო აპარატებს;
7. წვენების გასაცივებელ აპარატურას, გაზიანი წყლების, გამაგრილებელი სასმელების ფრეზერებს, ყინულის დამამზადებელ დანადგარებს;
8. ელ. ძრავების კაპიტალურ შეკეთებას;
9. ამზადებს კამერებს, ყველა სახის ვიტრინას და კარადა-მაცივრებს, სამწვადეებს, ცომის გასაბრტყელებელ დანადგარებს, სხვადასხვა სახის ლითონის ნაკეთობებს, სავენტილაციო დანადგარებს;
10. ავტომანქანების კონდიციონერების დატუმბვა-შეკეთებას. სავალი ნაწილების, ძრავის გარემონტებას. დიაგნოსტიკა, კემპი, ზეთების შეცვლა და სხვ.

**სს „უნივერსალ სერვისი“ დასაქმებულნი არიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომლებიც მზად არიან მოგემსახურონ ხარისხიანად და გარანტიით, გააგინიონ კონსულტაციები. წარმოებას აქვს 60-წლიანი გამოცდილება. ის ქვეყანაში ერთადერთი სამაცივრე და სავაჭრო-ტექნოლოგიური დანადგარების მომსახურებისა და მონტაჟის სპეციფიკური წარმოებაა.**

**შიკაბეზი შესასრულებელ სამუშაოებზე მიიღება  
შემდეგ მისამართზე:**

**ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი,  
რ. აგლაძის ქ. №37 (ყოფილი ელიავას ქ.)  
ტელ.: 34-49-14; 35-10-97; 35-14-63; 35-04-74.**

